

585
1994



ISSN 0203 - 2023

1994

№№ 16-17

საქართველოს პარლამენტის
უწყებები

91

თბილისი



საქართველოს პარლამენტის უწყებები

№16-17(633-634)

მარტი-აპრილი

1994 წელი

შ ი ნ ა რ ს ი

296. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ

297. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდება

298. საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აპარტიდული და რასისტული საკანონმდებლო პრაქტიკის შესახებ

299. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში ცვლილებების შესახებ

300. საქართველოს პარლამენტის დადგენილება თენგიზ აბულაძის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

301. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

302. საქართველოს რესპუბლიკის კანონი “საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

303. საქართველოს პარლამენტის დადგენილება “ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის გამარტივებული პროცედურით მიღების თაობაზე

304. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ

305. საქართველოს პარლამენტის დადგენილება “ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

306. საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების შესახებ” დებულების თაობაზე

307. საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების დტ ბულება

308. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საქორწინო და საოჯახო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

309. საქართველოს პარლამენტის დადგენილება დასავლეთ საქართველოს ზოგერთ რაიონში საგანგებო წესების მოქმედების გაგრძელების შესახებ

310. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ირაკლი მენაღარაშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

311. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის გამოაკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

312. საქართველოს პარლამენტის დადგენილება თამაზ ნადარეიშვილის საქართველოს რესპუბლიკის-პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

313. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ავთანდილ მარგიანის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

314. საქართველოს პარლამენტის დადგენილება თეიმურაზ ბასილიას საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

315. საქართველოს პარლამენტის დადგენილება დავით იაკობიძის საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად დამტკიცების შესახებ

316. საქართველოს რესპუბლიკის კანონი "სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების თაობაზე

317. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ივორ გიორგაძის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსად დანიშვნის შესახებ

318. საქართველოს პარლამენტის დადგენილება შოთა კვირიაას საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად დამტკიცების შესახებ

319. საქართველოს პარლამენტის დადგენილება 1994 წლის 31 მარტს პარლამენტის შენობაში მომხდარი ფაქტის შესახებ

320. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ავთანდილ ჯორბენაძის საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დამტკიცების შესახებ

321. საქართველოს პარლამენტის დადგენილება მურთაზ ზანკალიანის საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრად დამტკიცების შესახებ

322. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ალექსანდრე ჩიკვაიძის საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად დამტკიცების შესახებ

323. საქართველოს პარლამენტის დადგენილება დავით მადრაძის საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად დამტკიცების შესახებ

324. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ფრიდონ ინჯიას საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრად დამტკიცების შესახებ

325. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ვლადიმერ კერესელიძის საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრად დამტკიცების შესახებ

326. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ვალერიან ვაშაკიძის საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

327. საქართველოს პარლამენტის დადგენილება გიორგი კვესიტაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დამტკიცების შესახებ

328. საქართველოს პარლამენტის დადგენილება თევდორე ნინიძის საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად დამტკიცების შესახებ

329. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ავთანდილ სილაგაძის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრად დამტკიცების შესახებ

330. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ზურაბ კერვალიშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

331. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ვაჟა გუჯაბიძის საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრად დამტკიცების შესახებ

332. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის გამაოკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

333. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

334. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

335. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

336. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ბავშვის უფლებათა კონვენციასთან შეერთების შესახებ

337. ბავშვის უფლებათა კონვენცია

338. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიაში ცვლილების შესახებ

339. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკისა და კომუნალური მეურნეობის კომისიაში ცვლილების შესახებ

340. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საპარლამენტო ფრაქციების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე

341. საქართველოს პარლამენტის დადგენილება გურამ მირიანაშვილის საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

342. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "კავშირგაბმულობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე

343. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ბიოლოგიური მრავალფეროვნების

Handwritten numbers: 14617, 23578

შესახებ კონვენციის თაობაზე

344. კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ

345. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ვარდიკო ნადიბაიძის საკანონმდებლო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად დამტკიცების შესახებ

346. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ალექსანდრე კავსაძის საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

347. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ლევან ჯაფარიძის საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

348. საქართველოს პარლამენტის დადგენილება თამაზ კვაჭანტირაძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დამტკიცების შესახებ

349. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ჯამლეთ ბაბილაშვილის საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

296 დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებას.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1994 წლის 1 მარტი.

297 დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდება

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (შემდგომ - თანამეგობრობა) ნებაყოფლობით გაერთიანებულმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ეფუძნებიან თავიანთ ხალხების ისტორიულ ერთობას და მათ შორის ჩამოყალიბებულ კავშირურთიერთობას,

მოქმედებენ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ჰელსინკის საბოლოო აქტის დებულებებისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სხვა დოკუმენტების შესაბამისად,

ესწრაფვიან უზრუნველყონ საერთო ძალისხმევით თავიანთი ხალხების ეკონომიკური და სოციალური პროგრესი,

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხორცი შეასხან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ შეთანხმების დებულებებს, ამ შეთანხმების ოქმს, აგრეთვე აღმათის დეკლარაციის დებულებებს.

ავითარებენ თანამშრომლობას ერთმანეთს შორის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში, აგრეთვე სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნებათშორისი თანხმობის დაცვის მიზნით,

სურთ შექმნან პირობები წევრი სახელმწიფოების ყველა ხალხის კულტურათა შენარჩუნებისა და განვითარებისათვის,

ესწრაფვიან სრულყონ თანამშრომლობის მექანიზმები თანამეგობრობა-

ში და გაზარდონ მათი ეფექტიანობა,
გადაწყვიტეს მიიღონ თანამეგობრობის წესდება და შეთანხმდნენ შემდეგზე:

კარი I. მიზნები და პრინციპები

მუხლი 1

თანამეგობრობა ეფუძნება ყველა მისი წევრის სუვერენული თანასწორობის საწყისებს, წევრი სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი სუბიექტები არიან;

თანამეგობრობა ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოთა შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობის, ეროვნებათაშორისი თანხმობის, ნდობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას;

თანამეგობრობა არ წარმოადგენს სახელმწიფოს და არა აქვს ზეეროვნული უფლებამოსილება.

მუხლი 2

თანამეგობრობის მიზნებია:

პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ჰუმანიტარულ, კულტურულ და სხვა სფეროში თანამშრომლობის განხორციელება;

წევრ სახელმწიფოთა ყოველმხრივი და შეწონასწორებული ეკონომიკური და სოციალური განვითარება საერთო-ეკონომიკური სივრცის ფარგლებში, სახელმწიფოთაშორისი კოოპერაცია და ინტეგრაცია;

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უზრუნველყოფა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დოკუმენტების შესაბამისად;

საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა. შეიარაღებისა და სამხედრო ხარჯების შემცირების, ბირთვული და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაციის, საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევის ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელება;

წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევა თანამეგობრობაში, თავისუფალ ურთიერთობაში, კონტაქტებსა და გადაადგილებაში;

ერთმანეთისადმი სამართლებრივი დახმარება და თანამშრომლობა სამართლებრივი ურთიერთობების სხვა სფეროებში;

თანამეგობრობის სახელმწიფოთა შორის დავისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრა.

მუხლი 3

თანამეგობრობის მიზნების მისაღწევად წვერი სახელმწიფოები, ხელმძღვანელობენ რა საერთაშორისო სამართლისა და ჰელსინკის საბოლოო აქტის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით, თავიანთ ურთიერთობას აგებენ შემდეგი ურთიერთდაკავშირებული და ტოლფასი პრინციპების შესაბამისად:

წვერი სახელმწიფოების სუვერენიტეტის, ხალხთა თვითგამორკვევის განუყოფელი უფლებისა და გარედან ჩაურევლად თავისი ბედის განკარგვის უფლების პატივისცემა;

სახელმწიფო საზღვრების ურღვევობა, არსებული საზღვრების ცნობა და უარი სამართალსაწინააღმდეგო ტერიტორიულ შენაძენებზე;

სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა და უარის თქმა სხვისი ტერიტორიის დანაწევრებისათვის მიმართულ ნებისმიერ მოქმედებაზე;

წვერი სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალისა თუ ძალით დამუქრების გამოუყენებლობა;

მშვიდობიანი საშუალებებით დავის გადაჭრა ისეთნაირად, რომ საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას;

სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში საერთაშორისო სამართლის უზენაესობა;

ჩაურევლობა ერთმანეთის საშინაო და საგარეო საქმეებში;

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უზრუნველყოფა ყველასათვის, რასის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის განსხვავების მიუხედავად;

თანამეგობრობის დოკუმენტებით, მათ შორის ამ წესდებით ნაკისრ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება;

ერთმანეთისა და მთლიანად თანამეგობრობის ინტერესების გათვალისწინება, ურთიერთთანხმობის საფუძველზე დახმარების გაწევა მათი ურთიერთობის ყველა სფეროში;

ძალისხმევის გაერთიანება და ერთმანეთისათვის მხარდაჭერის გაწევა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა ხალხების ცხოვრების მშვიდობიანი პირობების შექმნის მიზნით, მათი პოლიტიკური; ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფა;

ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება, ინტეგრაციული პროცესების გაფართოება;

მათი ხალხების სულიერი ერთიანობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მათი თავისთავადობის პატივისცემა, მჭიდრო თანამშრომლობა კულტურულ ღირებულებათა და კულტურული გაცვლის შენარჩუნებაში.

მუხლი 4

წევრ სახელმწიფოთა ერთობლივი საქმიანობის სფეროებს, რომელიც ხორციელდება თანასწორუფლებიან საფუძველზე საერთო მაკოორდინირებელი ინსტიტუტების მეშვეობით თანამეგობრობის ფარგლებში წევრ სახელმწიფოთა ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, განეკუთვნება:

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უზრუნველყოფა;

საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაცია;

თანამშრომლობა საერთო-ეკონომიკური სივრცის, საერთო-ევროპული და ევრაზიის ბაზრების, საბაზრო პოლიტიკის ფორმირებასა და განვითარებაში;

თანამშრომლობა ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის სისტემათა განვითარებაში;

ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა; სოციალური და მიგრაციული პოლიტიკის საკითხები;

ბრძოლა ორგანიზებულ დამნაშავეობასთან;

თანამშრომლობა თავდაცვითი პოლიტიკისა და გარე საზღვრების დაცვის დარგში.

ეს ნუსხა შეიძლება შეივსოს წევრ სახელმწიფოთა ურთიერთთანხმობით.

მუხლი 5

თანამეგობრობის ფარგლებში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ძირითადი სამართლებრივი ბაზაა მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებანი

წევრ სახელმწიფოთა ურთიერთობის სხვადასხვა დარგში.

თანამშრომლობის ფარგლებში დადებული შეთანხმებანი უნდა შეესაბამებოდეს თანამეგობრობის მიზნებსა და პრინციპებს, წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებებს ამ წესდებით.

მუხლი 6

წევრი სახელმწიფოები ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, ეკონომიკურ სტრუქტურებს შორის თანამშრომლობასა და კავშირურთიერთობის განვითარებას.

კარი II. წევრობა

მუხლი 7

თანამეგობრობის დამფუძნებელი სახელმწიფოებია სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს და დაამტკიცეს 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ და ამ შეთანხმების 1991 წლის 21 დეკემბრის ოქმი ამ წესდების მიღების მომენტისათვის.

თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენენ ის დამფუძნებელი სახელმწიფოები, რომლებიც კისრულობენ ვალდებულებებს ამ წესდებით სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს მიერ მიღების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში.

თანამეგობრობის წევრი შეუძლია აგრეთვე გახდეს სახელმწიფოს, რომელიც იზიარებს თანამეგობრობის მიზნებსა და პრინციპებს და კისრულობს ამ წესდებაში მოცემულ ვალდებულებებს, ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობით მასთან შეერთების გზით.

მუხლი 8

სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე თანამეგობრობას ასოცირებულ წევრად შეიძლება შეუერთდეს სახელმწიფო, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს მისი საქმიანობის ცალკეულ სახეობებში ასოცირებული წევრობის შესახებ განსაზღვრული შეთანხმების პრობებით.

სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით თანამეგობრო-

ბის ორგანოების სხდომებს შეუძლიათ დაესწრონ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები მეთვალყურეებად.

თანამეგობრობის ორგანოების მუშაობაში ასოცირებულ წევრთა და მეთვალყურეთა მონაწილეობის საკითხებს არეგულირებს ასეთი ორგანოების პროცედურის წესები.

მუხლი 9

წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს გავიდეს თანამეგობრობიდან. ამ განზრახვას წევრი სახელმწიფო წერილობით ატყობინებს ამ წესდების დებოზიტარს გასვლამდე 12 თვით ადრე.

ამ წესდებაში მონაწილეობის პერიოდში წარმოშობილი ვალდებულებანი აკავშირებენ შესაბამის სახელმწიფოებს მათ სრულ შესრულებამდე.

მუხლი 10

წევრი სახელმწიფოების მიერ თანამეგობრობის ფარგლებში დადებული შეთანხმებებით მისი ვალდებულებების ანდა თანამეგობრობის ორგანოების გადაწყვეტილებების სისტემატიურ შეუსრულებლობას განიხილავს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო.

ასეთი სახელმწიფოს მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს საერთაშორისო სამართლით დაშვებული ღონისძიებანი.

კარი III. კოლექტიური უშიშროება და სამხედრო პოლიტიკური თანამშრომლობა

მუხლი 11

წევრი სახელმწიფოები ატარებენ შეთანხმებულ პოლიტიკას საერთაშორისო უშიშროების, განიარაღების, შეიარაღებისადმი კონტროლის, შეიარაღებული ძალების მშენებლობის დარგში და იცავენ უშიშროებას თანამეგობრობაში, მათ შორის სამხედრო მეთვალყურეების ჯგუფებისა და მშვიდობის დაცვის კოლექტიური ძალების დახმარებით.

მუხლი 12

თუ საფრთხე შეექმნა ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოს სუვერენიტეტს, უშიშროებასა და ტერიტორიულ მთლიანობას, ანდა საერ-

თაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, წევრმა სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედონ ურთიერთკონსულტაციების მექანიზმი პოზიციების კოორდინაციისა და წარმოშობილი საფრთხის თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, ამაში შედის სამშვიდობო ოპერაციები და საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებული ძალების გამოყენება ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელების წესით გაეროს წესდების 51-ე მუხლის თანახმად.

შეიარაღებული ძალების ერთობლივი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო ან თანამეგობრობის წევრი დანატერესებული სახელმწიფოები მათი ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით.

მუხლი 13

ყოველი წევრი სახელმწიფო ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრებზე სტაბილური მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის. ურთიერთთანხმობის საფუძველზე წევრი სახელმწიფოები კოორდინაციას უწევენ სასაზღვრო ჯარებისა და სხვა კომპეტენტური სამსახურების საქმიანობას, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს და ეკისრებათ პასუხისმგებლობა წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრების გადაკვეთის დადგენილი წესის დაცვისათვის.

მუხლი 14

წევრ სახელმწიფოთა თავდაცვისა და გარე საზღვრების დაცვის საკითხებში თანამეგობრობის უმაღლესი ორგანოა სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო. თანამეგობრობის სამხედრო-ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს მთავრობათა მეთაურების საბჭო.

საერთაშორისო შეთანხმებათა განხორციელებასა და უშიშროებისა და განიარაღების დარგში სხვა საკითხების გადაწყვეტაში წევრ სახელმწიფოთა თანამოქმედება ხდება ერთობლივი კონსულტაციების გზით.

მუხლი 15

წევრ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის კონკრეტულ საკითხებს არეგულირებს სპეციალური შეთანხმებანი.

კარი IV. კონფლიქტების თავიდან აცილება და დავის გადაჭრა მუხლი 16

წვერი სახელმწიფოები ახორციელებენ ყველა შესაძლო ღონისძიებას კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, უწინარეს ყოვლისა, ეროვნებათშორის და კონფესიათშორის საფუძველზე, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანის უფლებათა დარღვევა.

ურთიერთთანხმობის საფუძველზე ისინი ერთმანეთს უწევენ დახმარებას ასეთი კონფლიქტების მოგვარებაში, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებშიც.

მუხლი 17

თანამეგობრობის წვერი სახელმწიფოები თავს შეიკავებენ იმ მოქმედებისაგან, რომელსაც შეუძლია ზარალი მიაყენოს სხვა წვერ სახელმწიფოებს და მოჰყვეს შესაძლო დავის გამწვავება.

წვერი სახელმწიფოები კეთილსინდისიერად და თანამშრომლობის სულისკვეთებით მიმართავენ ძალისხმევას თავიანთი დავის მოლაპარაკების მეშვეობით სამართლიანი მშვიდობიანი გადაჭრისათვის ან დავის მოწესრიგების სათანადო ალტერნატიული პროცედურის შესახებ მორიგების მიღწევისათვის.

თუ წვერი სახელმწიფოები ვერ გადაჭრიან დავას ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული საშუალებების მეშვეობით, მათ შეუძლიათ გადასცენ იგი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს.

მუხლი 18

სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო უფლებამოსილია დავის ნებისმიერ სტადიაში, რომლის გაგრძელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მშვიდობის ან უშიშროების დაცვას თანამეგობრობაში, ურჩიოს მხარეებს მისი მოწესრიგების სათანადო პროცედურა ან მეთოდები.

კარი V. თანამშრომლობა ეკონომიკურ-სოციალურ და სამართლებრივ დარგებში

მუხლი 19

წვერი სახელმწიფოები თანამშრომლობენ ეკონომიკურ და სოციალურ დარგებში შემდეგი მიმართულებებით: საერთო-ეკონომიკური სივრცის ფორმირება საბაზრო ურთიერთობებისა და საქონლის, მომსახურების, კაპიტალებისა და მუშახელის თავისუფალი გადაადგილების ბაზაზე;

სოციალური პოლიტიკის კოორდინაცია, ერთობლივი სოციალური პროგრამებისა და ეკონომიკურ რეფორმათა გატარებასთან დაკავშირებით სოციალური დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა შემუშავება;

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სისტემათა, აგრეთვე ენერჯეტიკულ სისტემათა განვითარება;

საკრედიტო-საფინანსო პოლიტიკის კოორდინაცია;

წვერ სახელმწიფოთა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარებისათვის ხელშეწყობა;

ინვესტიციების წახალისება და ურთიერთდაცვა;

სამრეწველო პროდუქციისა და საქონლის სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციისათვის ხელშეწყობა;

ერთობლივი ბუნებადაცვითი ღონისძიებების განხორციელება, ურთიერთდახმარების გაწევა ეკოლოგიური კატასტროფებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში;

მეცნიერებისა და ტექნიკის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის დარგში ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების განხორციელება.

მუხლი 20

წვერი სახელმწიფოები ახორციელებენ თანამშრომლობას სამართლის დარგში, კერძოდ, სამართლებრივი დახმარების გაწევის შესახებ მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების დადების გზით და ხელს უწყობენ ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას.

წვერ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობის ნორმებს შორის წინააღმდეგობათა შემთხვევაში, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას ერთობლივი საქმიანობის სფეროებში, წვერი სახელმწიფოები აწყობენ

კონსულტაციებსა და მოლაპარაკებას ამ წინააღმდეგობათა თავიდან ასაცილებლად წინადადებების შემუშავების მიზნით.

კარი VI. თანამეგობრობის ორგანოები სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო და მთავრობათა მეთაურების საბჭო მუხლი 21

თანამეგობრობის უმაღლესი ორგანოა სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო. სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო, რომელშიც უმაღლეს დონეზე წარმოდგენილია ყველა წევრი სახელმწიფო, განიხილავს და წყვეტს პრინციპულ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება წევრ სახელმწიფოთა საქმიანობას მათი საერთო ინტერესების სფეროში.

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო იკრიბება სხდომებზე წელიწადში ორჯერ. საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს ინიციატივით.

მუხლი 22

მთავრობათა მეთაურების საბჭო კოორდინაციას უწევს წევრ სახელმწიფოთა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობას საერთო ინტერესების ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სფეროებში.

მთავრობათა მეთაურების საბჭო იკრიბება სხდომებზე წელიწადში ოთხჯერ. საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს მთავრობის ინიციატივით.

მუხლი 23

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილებანი მიიღება საერთო თანხმობით - კონსენსუსით. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს თავისი დაუინტერესებლობა ამა თუ იმ საკითხით, რაც არ უნდა იყოს მიჩნეული დაბრკოლებად გადაწყვეტილების მიღებისათვის.

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს შეუძლიათ გამართონ ერთობლივი სხდომები.

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს მუშაობის წესს არეგულირებს პროცედურის წესები.

მუხლი 24

სახელმწიფოთა მეთაურები და მთავრობათა მეთაურები სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომებზე თავმჯდომარეობენ რიგრიგობით თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა სახელწოდებათა რუსული ანბანის რიგით.

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომები, როგორც წესი, ეწყობა ქალაქ მინსკში.

მუხლი 25

სახელმწიფოთა მეთაურთა საბჭო და მთავრობების მეთაურთა საბჭო ქმნიან სამუშაო და დამხმარე ორგანოებს როგორც მუდმივ, ასევე დროებითს საფუძველზე.

ეს ორგანოები იქმნება წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც არიან შესაბამისი უფლებამოსილებით.

მათს სხდომებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ექსპერტებსა და კონსულტანტებს.

მუხლი 26

ცალკეულ დარგებში თანამშრომლობის საკითხების გადასაწყვეტად და სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მთავრობების მეთაურთა საბჭოსათვის რეკომენდაციების შესამუშავებლად იწვევენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელთა თათბირს.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო

მუხლი 27

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს და მთავრობების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე ახორციელებს წევრი სახელმწიფოების საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებში მათი საქმიანობის კოორდინაციას, და აწყობს კონსულტაციებს ურთიერთსაინტერესო

მსოფლიო პოლიტიკის საკითხებზე.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

საკორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტი

მუხლი 28

საკორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტი თანამეგობრობის მუდმივმოქმედი აღმასრულებელი და მაკორდინირებელი ორგანოა.

სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს და მთავრობების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესასრულებლად კომიტეტი:

შემუშავებს და შემოიტანს წინადადებებს თანამეგობრობის ფარგლებში თანამშრომლობის, სოციალურ-ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა განვითარების საკითხებზე;

ხელს უწყობს ეკონომიკურ ურთიერთობათა კონკრეტული მიმართულებების გამო მორიგებათა რეალიზაციას;

აწყობს წარმომადგენელთა და ექსპერტთა თათბირებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს და მთავრობების მეთაურთა საბჭოს სხდომებზე გამოსატანი დოკუმენტების პროექტების მოსამზადებლად;

უზრუნველყოფს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს და მთავრობების მეთაურთა საბჭოს სხდომების გამართვას;

ხელს უწყობს თანამეგობრობის სხვა ორგანოების მუშაობას.

მუხლი 29

საკორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტი შედგება მუდმივი სრულფუნქციანი წარმომადგენლობისაგან, ორ-ორი თანამეგობრობის თითოეული წევრი სახელმწიფოსაგან და კომიტეტის კოორდინატორისაგან, რომელსაც ნიშნავს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო.

სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს, მთავრობების მეთაურთა საბჭოს და თანამეგობრობის სხვა ორგანოების მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საკორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტში არის სამდივნო, რომელსაც მეთაურობს კომიტეტის კოორდინატორი - საკორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარის

მოადგილე.

კომიტეტი მოქმედებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად;
კომიტეტის ადგილსამყოფელია ქალაქი მინსკი.

თავდაცვის მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარი სარდლობა მუხლი 30

თავდაცვის მინისტრთა საბჭო სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს ორგანოა წევრი სახელმწიფოების სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო მშენებლობის საკითხებში.

გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარი სარდლობა ხელმძღვანელობს გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებს, აგრეთვე სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფებს და თანამეგობრობაში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიურ ძალებს.

თავდაცვის მინისტრთა საბჭო და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარი სარდლობა თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ შესაბამის დებულებათა საფუძველზე.

სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭო მუხლი 31

სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭო სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს ორგანოა წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრების დაცვისა და საზღვრებზე სტაბილური მდგომარეობის უზრუნველყოფის საკითხებში.

სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულების საფუძველზე.

ეკონომიკური სასამართლო მუხლი 32

ეკონომიკური სასამართლო მოქმედებს თანამეგობრობის ფარგლებში ეკონომიკურ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

Handwritten notes in the left margin, including the number '235' and some illegible characters.

Handwritten text at the bottom of the page, possibly a signature or stamp.

ეკონომიკური სასამართლოს გამგებლობას განეკუთვნება ეკონომიკურ ვალდებულებათა შესრულების დროს წარმოქმნილი დავის გადაწყვეტა. სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს სხვა დავაც, რომელიც წევრ სახელმწიფოთა შეთანხმებით მის გამგებლობას განეკუთვნება.

ეკონომიკურ სასამართლოს უფლება აქვს განმარტოს ეკონომიკურ საკითხებზე თანამეგობრობის შეთანხმებებისა და სხვა აქტების დებულებები.

ეკონომიკური სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს ეკონომიკური სასამართლოს სტატუსის შესახებ შეთანხმებისა და მის შესახებ დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო.

ეკონომიკური სასამართლოს ადგილსამყოფელია ქალაქი მინსკი.

ადამიანის უფლებათა კომისია მუხლი 33

ადამიანის უფლებათა კომისია თანამეგობრობის საკონსულტაციო ორგანოა და თვალს ადევნებს თანამეგობრობის ფარგლებში წევრ სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ადამიანის უფლებათა ვალდებულებების შესრულებას.

კომისია შედგება თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან და მოქმედებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა კომისიის ადგილსამყოფელია ქალაქი მინსკი.

დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოები მუხლი 34

ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა დარგებში თანამშრომლობის შესახებ წევრ სახელმწიფოთა შეთანხმებების საფუძველზე შეიძლება შეიქმნას დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოები, რომლებიც შეიმუშავებენ ასეთი თანამშრომლობის შეთანხმებულ პრინციპებსა და წესებს და ხელს შეუწყობენ მათს პრაქტიკულ რეალიზაციას.

დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოები (საბჭოები, კომიტეტები) ასრულებენ ფუნქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ წესდებით

და მათ შესახებ დებულებებით, და უზრუნველყოფენ შესაბამის დარგებში თანამშრომლობის საკითხების მრავალმხრივ საფუძველზე განხილვასა და გადაწყვეტას.

დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოებში შედიან წევრი სახელმწიფოების აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოთა ხელმძღვანელები.

დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იღებენ რეკომენდაციებს, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ წინადადებანი მთავრობების მეთაურთა საბჭოს განსახილველად.

თანამეგობრობის სამუშაო ენა

მუხლი 35

თანამეგობრობის სამუშაო ენაა რუსული ენა.

კარი VII. საპარლამენტაშორისო თანამშრომლობა

მუხლი 36

საპარლამენტაშორისო ასამბლეა აწყობს საპარლამენტაშორისო კონსულტაციებს, განიხილავს თანამეგობრობის ფარგლებში თანამშრომლობის საკითხებს, ამუშავებს ერთობლივ წინადადებებს ეროვნული პარლამენტების საქმიანობის სფეროში.

მუხლი 37

საპარლამენტაშორისო ასამბლეა შედგება საპარლამენტო დელეგაციებისაგან.

საპარლამენტაშორისო ასამბლეის საქმიანობას ორგანიზაციას უწევს ასამბლეის საბჭო, რომელიც საპარლამენტო დელეგაციათა ხელმძღვანელებისაგან შედგება.

საპარლამენტაშორისო ასამბლეის საქმიანობის პროცედურული საკითხები რეგულირდება მისი რეგლამენტით.

საპარლამენტაშორისო ასამბლეის ადგილსამყოფელია ქალაქი სანქტ-პეტერბურგი.

კარი VIII. დაფინანსება

მუხლი 38

თანამეგობრობის ორგანოების საქმიანობის დაფინანსების ხარჯები ნაწილდება წევრ სახელმწიფოთა წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე და წესდება თანამეგობრობის ორგანოების ბიუჯეტების შესახებ სპეციალურ შეთანხმებათა შესაბამისად.

თანამეგობრობის ორგანოების ბიუჯეტებს ამტკიცებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო მთავრობების მეთაურთა საბჭოს წარდგინებით.

მუხლი 39

თანამეგობრობის ორგანოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საკითხები განიხილება მთავრობების მეთაურთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 40

წევრი სახელმწიფოები დამოუკიდებლად სწევენ ხარჯებს, რომლებიც უკავშირდება მათი წარმომადგენლების, აგრეთვე ექსპერტებისა და კონსულტანტების მონაწილეობას თანამეგობრობის თათბირებისა და ორგანოების მუშაობაში.

კარი IX. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 41

ეს წესდება რატიფიცირებულ უნდა იყოს დამფუძნებელ სახელმწიფოთა მიერ მათი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.

სარატიფიკაციო სიგელები უნდა ჩაბარდეს ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც თითოეული სიგელის შესანახავად ჩაბარებას აუწყებს სხვა დამფუძნებელ სახელმწიფოებს.

ეს წესდება ძალაში შედის ყველა დამფუძნებელი სახელმწიფოსათვის იმ მომენტიდან, როცა ყველა დამფუძნებელი სახელმწიფო შესანახად ჩააბარებს სარატიფიკაციო სიგელებს, ანდა დამფუძნებელი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც თავიანთი სარატიფიკაციო სიგელები ჩააბარეს ამ წესდების მიღების ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 42

ამ წესდების შესწორებები შეიძლება შემოიტანოს ნებისმიერმა წევრმა სახელმწიფომ. შემოტანილ შესწორებებს განიხილავს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო პროცედურის წესების შესაბამისად.

ამ წესდების შესწორებებს მიიღებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო. ისინი ძალაში შედის ყველა წევრი სახელმწიფოს რატიფიკაციის შემდეგ მათი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად, ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობის მიერ ბოლო სარატიფიკაციო სიგელის მიღების თარიღიდან.

მუხლი 43

თანამეგობრობის დამფუძნებელ სახელმწიფოებს ამ წესდების რატიფიკაციის დროს შეუძლიათ გააკეთონ შენიშვნები და განცხადებები III, IV და VII კარებისა და 28, 30, 31, 32, 33 მუხლების გამო.

მუხლი 44

ეს წესდება რეგისტრირებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 45

ეს წესდება შედგენილია ერთ ეგზემპლარად თანამეგობრობის დამფუძნებელ სახელმწიფოთა სახელმწიფო ენებზე, დედანი ეგზემპლარი დაცულია ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობის არქივში, რომელიც ყველა დამფუძნებელ სახელმწიფოს გაუგზავნის დამოწმებულ პირს.

ეს წესდება მიღებულია 1995 წლის 22 იანვარს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს სხდომაზე ქალაქ მინსკში.

საქართველოს კარლამენტის დადგენილება

298 აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აპარტიდული და რასისტული საკანონმდებლო პრაქტიკის შესახებ

აფხაზი სეპარატისტები, მათთან ალიანსში მყოფი გარეშე რეაქციული ძალები და დაქირავებულები, რომლებიც აფხაზეთის რეგიონში ძალადობით დაუფლნენ სუვერენული საქართველოს ტერიტორიას, ცივილიზებული მსოფლიოს თვალწინ აგრძელებენ თანამედროვეობისათვის უპრეცედენტო ეთნიკურ წმენდას, მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის უღეტას. გრძელდება ასიათასობით ადამიანის ლტოლვილებად და ხიზნებად გადაქცევის პროცესი, ხორციელდება გენოციდის სრულმასშტაბიანი პოლიტიკა.

ხელყოფილია საერთაშორისო სამართლის პრინციპები, საქართველოს კანონმდებლობა, ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული ელემენტარული ნორმები.

აღნიშნული ტრაგიკული შედეგები მნიშვნელოვნად განაპირობა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პოლიტიკამ საკანონმდებლო საქმიანობის ხაზით. ხელისუფლების ეს ორგანო, რომელიც მოწოდებული იყო თანაბრად დაეცვა ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერის ინტერესები, ფაქტობრივად აფხაზური ფაშიზმის იურიდიულ ინსტრუმენტად, აპარტიდის, რასიზმისა და გენოციდის პოლიტიკურ ბერკეტად გადაიქცა.

ამ უმძიმეს მოვლენებს სამართლებრივი ბიძგი მისცა აფხაზეთის ასსრ 1991 წლის 9 ივლისის კანონმა “აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ” (1991 წლის 27 აგვისტოს ცვლილებებით).

აღნიშნული კანონი აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტს შეადგენენ, სხვა ერებთან შედარებით საპარლამენტო უმრავლესობის გარანტიას აძლევდა - 28 ადგილს, მკვიდრ ქართველებს - მოსახლეობის 47.6 პროცენტს - 26 ადგილს, ხოლო დანარჩენ ეროვნულ უმცირესობას - 11 ადგილს.

სარჩევნო კანონის მითითებული ნორმა აშკარად ეწინააღმდეგება “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის” (1948 წ.) მე-2, მე-7 და 21 მუხლების “სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ”

საერთაშორისო პაქტის (1966 წ.) მე-2, 25-ე და 26-ე მუხლების და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრავენ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობას, უფლებათა და თავისუფლებათა თანაბარფლობას, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩევნებში და სახელმწიფოს მართვაში ადამიანის მონაწილეობის შესაძლებლობას მისი ეროვნული კუთვნილების და სხვა ნიშნების მიუხედავად.

ეროვნული ნიშნის მიხედვით ადამიანის პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვის დაწესებამ უპრეცედენტო დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენა აფხაზთა მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობა, რომელიც მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს, აგრეთვე რუსები, სომხები, ბერძნები და სხვა ეროვნული უმცირესობანი და რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა მიიღო.

“რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ 1966 წლის 7 მარტის საერთაშორისო კონვენციის პირველი მუხლი “როსობრივ დისკრიმინაციად“ მიიჩნევენ ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისს, შეზღუდვას ან უპირატესობას რასის, კანის ფერის წარმოშობის, ეროვნული ან ეთნიკური ნიშნის მიხედვით, რომელთა მიზანია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ნებისმიერ სფეროში თანასწორობის საფუძველზე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების აღიარების, გამოყენებისა და განხორციელების გაუქმება ან შელახვა.

უფრო მეტი, ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება მიზნობრივად განხორციელდა თვით აფხაზეთის კონსტიტუციის უხეში დარღვევის გზითაც კონსტიტუციით აფხაზეთის ასსრ სამართლებრივი სტატუსის საკითხებზე კანონებისა და სხვა აქტების მიღება ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რეფერენდუმის ჩატარების და უმაღლესი თანამდებობის პირების, აგრეთვე შესაბამისი ორგანოების არჩევის თუ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება უნდა განხორციელებულიყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ხმების საერთო რაოდენობის ორი მესამედით. მიუხედავად ამისა აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელობამ აფხაზეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ უკანონოდ გამოცხადებული დეკლარაციის მოშველიებით თანამიმდევრულად დაიწყო საკანონმდებლო და ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, რომელთა საბოლოო მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის

დარღვევა და აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლა.

სეპარატისტულმა პოლიტიკამ და ანტიკონსტიტუციურმა მოქმედებამ ქართველი დეპუტატები, ასევე ეროვნულ უმცირესობათა დეპუტატების ნაწილი აიძულა დაეტოვებინათ პარლამენტი. ამის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო - უმაღლესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი მონოეთნიკურ ფორმირებებად გადაიქცნენ.

პრეზიდიუმი, რომლის წევრთა უმრავლესობას შეადგენდნენ აფხაზები, ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 103-ე მუხლის დარღვევით ახორციელებდა ფაქტობრივად საკანონმდებლო საქმიანობას, რის უფლებაც მას არ ჰქონდა. მაგალითად, პრეზიდიუმის დადგენილებით 1991/92 წლებში მიიღეს ნორმატიული აქტები, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკის მთელი რიგი კანონები აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოცხადებულ იქნა იურიდიული ძალის არმქონედ. ასეთივე ანტიკონსტიტუციური წესით შეიქმნა აფხაზეთის ე.წ. საბაჟო სამსახური, პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო კი აფხაზეთის იურისდიქციას დაექვემდებარა. პრეზიდიუმმა თავის ხელში აიღო საკადრო საკითხების გადაწყვეტაც შემოიღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქალაქეთა ჩაწერის დროებით აკრძალვის ნორმები, უფრო მეტიც, დაწესდა საბაჟო საზღვარი და განისაზღვრა სამსახურებრივ საქმეებზე აფხაზეთის რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ მოქალაქეთა გასვლის წესი. კონფლიქტის გაჩაღებაში დენტის როლი შეასრულა პრეზიდიუმისა და პირადად მისი თავჯდომარის უშუალო დაქვემდებარებაში უკანონო შეიარაღებული ნაწილების შექმნამ.

მოახდინეს რა ხელისუფლების უზურპაცია, შოვინიზმით განმსჭვალულმა აფხაზმა კანონმდებლებმა 1992 წლის 24 ივლისს მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად წყდებოდა აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება და აღადგინეს 1925 წლის აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია მაშინ, როდესაც 1925 წელს არავითარი ამგვარი საკანონმდებლო აქტი არ მიღებულა. იმ დროს არსებობდა მხოლოდ ასეთი დოკუმენტის პროექტი: უგულვებლყვეს ელემენტარული კონსტიტუციური პრინციპი, რომლის შესაბამისად ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად დეპუტატთა ხმების ორი მესამედი სჭირდებოდა.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, ერთიანი საკანონმდებლო უზრუნველყოფის ორგანიზების მიზნით, შესაბამისად აუქმებდნენ, აჩერებდნენ ან იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებდნენ ამგვარ ანტიპუმიანურ, ანტიდემოკრატიულ აქტებს, რომელთა

მიზანი იყო აპარტიდის ოფიციალური დაკანონება, აფხაზთა ბატონობა რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ერებზე.

ფაქტობრივად აფხაზ პოლიტიკურ ლიდერთა ამგვარი საკანონმდებლო საქმიანობით ჩაღვნილია დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ აპარტიდის სახით, რაც განიხილება რასიზმის უკიდურეს ფორმად და 1974 წლის შესაბამისი კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად ნიშნავს ისეთ პოლიტიკას და პრაქტიკას, მათ შორის საკანონმდებლო ხასიათის ზომებს, რომელთა მიზანია ერთი რომელიმე ჯგუფის ადამიანთა სხვა ჯგუფზე ბატონობის დამყარება და შენარჩუნება.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პოლიტიკოსთა ექსტრემისტული დაჯგუფების უკანონო, ანტიკონსტიტუციური მოქმედება, მათ შორის თვით აფხაზეთის კონსტიტუციის ხელყოფა, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა უხეში დარღვევა, პლანეტის მასშტაბით უპრეცედენტო რასობრივი დისკრიმინაცია და აპარტიდის პოლიტიკა არ შეიძლება დარჩეს მწვავე რეაგირებისა და სამართლებრივი შეფასების გარეშე, როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე მსოფლიოს თანამეგობრობის მხრიდან.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საერთაშორისო სამართლის იმპერატიული პრინციპებისა და “სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, აგრეთვე მე-7 მუხლის ბოლო აბზაცის შესაბამისად გაუქმდეს აფხაზეთის ასსრ 1991 წლის 9 ივლისის კანონი “აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევის შესახებ“ (1991 წლის 27 აგვისტოს ცვლილებებით).

2. დათხოვნილ იქნეს აღნიშნული კანონის საფუძველზე არჩეული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო.

3. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს წევრებს მოეხსნათ სადეპუტატო იმუნიტეტი.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ის ყოფილი დეპუტატები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ.

5. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მიენიჭოს დროებითი ევაკუირებული ორგანოს სტატუსი; შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ახალი არჩევნების ჩატარებამდე მან განახორ-

ციელოს აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციები.

6. იურიდიული ძალის არმქონეა ყველა საკანონმდებლო თუ კანონ-ქვემდებარე აქტი, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას და მიღებულია სეპარატისტთა დაჯგუფების კონტროლს დაქვემდებარებული ან მათთან ალიანსში მყოფი სტრუქტურის მიერ.

7. ბათილია ყველა გადაწყვეტილება, აგრეთვე სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, რომლებიც არღვევენ მოქალაქის, ოფიციური პირის, სახელმწიფოს საკუთრების და სარგებლობის უფლებას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

8. პირები, რომლებიც უკანონოდ შემოვიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ჩაეწერენ, დაეპატრონენ საცხოვრებელ ფართს, მიწის ნაკვეთს, სხვა მატერიალურ ფასეულობას, არიან უკანონო მიგრანტები და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რესპუბლიკიდან ნებაყოფლობით გაუსვლელია შემთხვევაში გაძევებული იქნებიან.

9. უცხოელები, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებაში, როგორც მშვიდობისა და აღამიანის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო დანაშაულის სუბიექტები, პასუხს აგებენ სისხლის სამართლის კანონის მთელი სიმკაცრით.

საერთაშორისო სამართლის თანახმად ამ პირებზე არ გავრცელდება ხანდაზმულობისა და თავშესაფრის მინიჭების უფლება და რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იმყოფებოდნენ, ისინი გადმოეცემა საქართველოს ხელისუფლებას დასასჯელად.

10. საქართველოს პარლამენტი რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური სუვერენიტეტის დარღვევად, ქვეყნის შინაურ საქმეებში უხეშ ჩარევად მიიჩნევს ნებისმიერ ფინანსურ თუ მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას აფხაზი სეპარატისტებისათვის და არ კისრულობს არავითარ პასუხისმგებლობას წარმოშობილ ვალდებულებებზე.

11. ეთხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აფხაზეთის რეგიონში გენოციდის მასობრივი ფაქტების ადგილზე შესწავლისა და საერთაშორისო ტრიბუნალისათვის მასალების მოსამზადებლად საქართველოში მოავლინოს წარმომადგენლები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პახტანგ ჩჩაქულიძე

თბილისი, 1994 წლის 10 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

299 საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ გურამ გეწაძე და მიხეილ ჩხენკელი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტანო რამულიშვილი.

თბილისი, 1994 წლის 10 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

300 თენგიზ აბულაძის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეუწყდეს თენგიზ აბულაძეს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტანო რამულიშვილი.

თბილისი, 1994 წლის 15 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

301 პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ცნობილ იქნეს პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენ-

ტის გამოკლებული წევრის ზურაბ გოგიას ადგილმონაცვლის გურამ ბერიშვილის უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტანო რამულიშვილი.

თბილისი, 1994 წლის 15 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

302 “საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

“საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ. N2, მუხ.97) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის მე-8 და მე-9 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, მინისტრთა კაბინეტისა და მინისტრთა კაბინეტის წევრებისადმი ნდობის საკითხის დასმისა და გადაწყვეტის წესი. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, უფლება აქვს პარლამენტის წინაშე დასვას მინისტრთა კაბინეტისადმი ნდობის საკითხი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვა იწყება მისი დასმიდან მე-3 დღეს, ხოლო კენჭისყრა ტარდება მე-6 დღეს. დადგენილება მინისტრთა კაბინეტისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ნდობის გამოცხადების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის მიერ დასმული კონკრეტული საკითხი დადებითად გადაწყვეტილად ჩაითვლება. ნდობის გამოცხადებაზე უარის თქმა იწვევს მინისტრთა კაბინეტის გადადგომას.

პარლამენტის თავჯდომარეს - სახელმწიფო მეთაურს, პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის სულ ცოტა ერთ მეხუთედს, უფლება

აქვთ პარლამენტის წინაშე დასვან პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტის ან მინისტრთა კაბინეტის წევრებისადმი ნდობის საკითხი, ამ შემთხვევაში პარლამენტს წარედგინება უნდობლობის მოტივირებული რეზოლუცია, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვა იწყება უნდობლობის რეზოლუციის შეტანიდან მე-3 დღეს, ხოლო კენჭისყრა ტარდება მე-9 დღეს. დადგენილება უნდობლობის გამოცხადების შესახებ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

პრემიერ-მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადება იწვევს მინისტრთა კაბინეტის გადადგომას, ასევე მინისტრთა კაბინეტისათვის, ან მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადება - შესაბამისად მათ გადადგომას.

უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა კაბინეტი თუ კაბინეტის ცალკეული წევრი აგრძელებენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტისა თუ კაბინეტის წევრის დანიშვნამდე.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტის, მინისტრთა კაბინეტის წევრის გადაგომის უფლება და წესი.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს გადადგეს. პრემიერ-მინისტრის გადადგომა იწვევს მინისტრთა კაბინეტის გადადგომას. გადადგომის შესახებ მოტივირებულ განცხადებას პრემიერ-მინისტრი წარუდგენს პარლამენტს. პარლამენტი უფლებამოსილია არ მიიღოს გადადგომა, თუ ამაზე იქნება პრემიერ-მინისტრის თანხმობა.

მინისტრთა კაბინეტის წევრს უფლება აქვს გადადგეს. გადადგომის შესახებ მოტივირებული განცხადება წარედგინება სახელმწიფო მეთაურს და პარლამენტს. სახელმწიფო მეთაური უფლებამოსილია არ მიიღოს გადადგომა, თუ ამაზე იქნება კაბინეტის წევრის თანხმობა. გადადგომის მიღება არ საჭიროებს პარლამენტის დასტურს.

მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს გადადგეს. გადადგომის შესახებ მოტივირებული განცხადება წარედგინება პარლამენტს. პარლამენტი უფლებამოსილია არ მიიღოს გადადგომა, თუ ამაზე იქნება მინისტრთა კაბინეტის თანხმობა.

დადგენილება გადადგომის საკითხთან დაკავშირებით მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

გადადგომის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა კაბინეტი, კაბინეტის ცალკეული წევრები აგრძელებენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტის თუ კაბინეტის წევრის დანიშვნამდე.

2. მე-19 მუხლის მეხუთე აბზაცში სიტყვები “სოციალური უზრუნველყოფის” შეიცვალოს სიტყვებით “შრომისა და სოციალური დაცვის”.

3. 21-ე მუხლის მეოთხე ნაწილში სიტყვები “მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმი” შეიცვალოს სიტყვებით “მინისტრთა კაბინეტი”.

4. 22-ე მუხლში:

პირველ ნაწილს სიტყვების “სახელმწიფო ინსპექცია” შემდეგ დაემატოს სიტყვები “სახელმწიფო კორპორაცია, სახელმწიფო კონცერნი”.

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

“საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქვეუწყებო ორგანოების ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი სახელმწიფოს მეთაურთან შეთანხმებით, ხოლო მოადგილეებს - ამ ორგანოთა ხელმძღვანელები”.

მესამე ნაწილი ამოღებულ იქნეს.

5. 24-ე მუხლში სიტყვები “მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმს” შეიცვალოს სიტყვებით “მინისტრთა კაბინეტს”.

6. 25-ე მუხლში:

მუხლის სათაურს დაემატოს სიტყვები “და კომიტეტები”;

მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები “არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრო”, “სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტრო”, “სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო”, “ტრანსპორტის სამინისტრო”, “მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტი”, “სპორტის კომიტეტი”, “ტურიზმის კომიტეტი”, “სატყეო მეურნეობის კომიტეტი”, “საბაჟო კომიტეტი”.

სიტყვების “შინაგან საქმეთა სამინისტრო” შემდეგ დაემატოს სიტყვები “შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო”, ხოლო სიტყვების “ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტი” შემდეგ - სიტყვები “არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტი”. მუხლში სიტყვა “ტექნიკის” შეიცვალოს სიტყვით “ტექნოლოგიის”.

7. 26-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:
“საქართველოს მინისტრთა კაბინეტის სხდომები მოიწვევა ორ კვირა-ში ერთხელ“.

8. 27-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

9. 28-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები “და მისი პრეზიდიუ-მის“.

10. 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

მუხლი 31. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება-თა განხორციელების უზრუნველსაყოფად, მათი შესრულების სისტემა-ტური შემოწმებისათვის მოქმედებს მინისტრთა კაბინეტის აპარატი.

ანალიზური, საინფორმაციო და სხვა მასალების, სათანადო წინადადე-ბების პროექტების მომზადებას, ნორმატიული მოქმედებით საქმიანობას, მიზნობ-რივი პროგრამების შემუშავებას და მათი შესრულების კოორდინაციას ახორციელებენ მინისტრთა კაბინეტის აპარატის მთავარი სახელმწიფო მრჩეველები.

მინისტრთა კაბინეტის აპარატს სათავეში უდგას მინისტრთა კაბინე-ტის აპარატის ხელმძღვანელი. აპარატის ხელმძღვანელს, მთავარ სა-ხელმწიფო მრჩეველებს და ძირითადად ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრთა კაბინეტი.

აპარატის მუშაკთა უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას განსაზღვრავს დებულება, რომელსაც ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტი.

მინისტრთა კაბინეტის აპარატის სტრუქტურას, შტატებს, შენახვის ხარჯებს და მუშაკთა შრომის ანაზღაურებას განსაზღვრავს პრემიერ-მინისტრი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური

ვიქტორ შუშუბანიანი

თბილისი, 1994 წლის 15 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

303 “ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის გამარტივებული პროცედურით მიღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

“ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს გამარტივებული პროცედურით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

მანტანე რჩაულიძე

თბილისი, 1994 წლის 15 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

304 ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ცეცხლსასროლი იარაღის ცნება, სახეობანი და დანიშნულება.

ცეცხლსასროლია იარაღი, რომელშიც ჭურვი ბიძგს იღებს დენთის აირის მოქმედების შედეგად. იარაღად ჩაითვლება ნებისმიერი ტექნიკური თუ სხვა საშუალება, ხელსაწყო, მოწყობილობა, რომელიც განსაზღვრულია შეტევითი სროლის, თავდაცვის, სპორტისა და ნადირობისათვის, აგრეთვე ჭურვი და სხვა სახის ტყვია-წამალი, რომლის გამოყენება შეიძლება საბრძოლო მასალად.

ეს კანონი ადგენს შემდეგ სახეობათა და დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღის (შემდგომში იარაღის) სამართლებრივ რეჟიმს:

1. სამხედრო-საბრძოლო იარაღი;
2. სამსახურებრივ-საშტატო იარაღი;
3. სანადირო იარაღი;
4. სასპორტო იარაღი;
5. ჯილდოდ მიღებული იარაღი;
6. საკოლექციო იარაღი.

იარაღისათვის კონკრეტული სახეობის მიკუთვნება ხდება იარაღის სახელმწიფო კატასტრით, რომლის შედგენის წესსა და პირობებს განსაზღვრავს ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 2. იარაღის აღრიცხვა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული იარაღი, მისი დამზადების ადგილის მიუხედავად, ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვასა და რეგისტრაციას.

მუხლი 3. იარაღის დამზადება, შეკეთება, აწყობა და აღდგენა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იარაღსა და საბრძოლო მასალას ამზადებენ, იარაღს აწყობენ და ძირითად ნაწილებს აწარმოებენ იურიდიული პირები სპეციალური ნებართვით (ლიცენზიით), რომელსაც გასცემს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

იარაღის შეკეთება და აღდგენა ხორციელდება სპეციალური ნებართვით, რომელსაც გასცემს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის სარგებლობაში არსებული იარაღის შეკეთებისა და აღდგენის წესს განსაზღვრავს ამ უწყებათა ნორმატიული აქტები.

უნებართვოდ იარაღის, მისი ძირითადი ნაწილებისა და საბრძოლო მასალის დამზადება, აწყობა, აღდგენა და შეკეთება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. იარაღის ვაჭრობა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იარაღისა და საბრძოლო მასალების ვაჭრობას აწარმოებენ იურიდიული პირები სპეციალური ნებართვით (ლიცენზიით), რომელსაც გასცემს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 5. უარი ნებართვის გაცემაზე

იარაღისა და საბრძოლო მასალის დამზადების, აწყობის, აღდგენისა და შეკეთების ნებართვა (ლიცენზია) არ მიეცემა პირს, თუ მას არა აქვს სათანადო ცოდნა და ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, აგრეთვე თვრამეტ წლამდე პირს, სულით ავადმყოფს, არაქმედუნარიან პირს, ნარკომანს და ალკოჰოლიკს, ნასამართლევ პირს, (თუ მას მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა), აგრეთვე პირს, რომლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან შინაგან საქმეთა ორგანოებში გახსნილია სამეთვალყურეო-პოლიტიკური საქმე ოჯახურ ან მეზობლურ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

მუხლი 6. იარაღის შემქნა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებარ-

თვის საფუძველზე შეუძლიათ საკუთრების უფლებით შეიძინონ ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი მე-3, მე-4 და მე-6 სახეობის იარაღი და შესაბამისი საბრძოლო მასალა, აგრეთვე მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (პისტოლეტი, რევოლვერი შენახვის უფლებით). დასაშვებია იარაღის შექმნა ნებართვის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში.

პირი, რომელიც ნებართვით შეიძენს იარაღს, ვალდებულია ათი დღის ვადაში რეგისტრაციაში გაატაროს იგი შინაგან საქმეთა ორგანოებში.

იარაღის შექმნა ეკრძალება თვრამეტ წლამდე პირს, სულით ავადმყოფს, არაქმედუნარიანს, ნარკომანს და ალკოჰოლიკს, ნასამართლევ პირს, თუ მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა, აგრეთვე პირს, რომლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან შინაგან საქმეთა ორგანოებში გახსნილია სამეთვალყურეო პოლიტიკური საქმე ოჯახურ და მეზობლურ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

უცხოელ მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და იურიდიულ პირს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იარაღის შექმნის უფლება მიეცემა (ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი 1-ლი და მე-2 სახეობის გარდა) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს და თუ უცხოელ მოქალაქეს აქვს იარაღის შექმნის ნებართვა იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც იგი არის.

მუხლი 7. იარაღის შენახვა

შექმნილი იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვის წესს და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში, შინაგან საქმეთა სამინისტროში და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურში იარაღი და საბრძოლო მასალა ინახება ამ უწყებათა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 8. იარაღის შესაკუთრენი და იარაღით მოსარგებლენი

იარაღის შესაკუთრეა პირი, რომელმაც იარაღი შეიძინა ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

იარაღის მოსარგებლეა პირი, რომელსაც თავისი სამსახურის ხასიათის გამო უფლება ეძლევა იქონიოს სამსახურებრივ-სამტატო იარაღი.

მუხლი 9. იარაღის და საბრძოლო მასალის გადაზიდვა და გადაგზავნა

იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს გაიტანოს იარაღი შენახვის ადგილიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის იარაღის გადაზიდვის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის ნორმატიული აქტებით.

აკრძალულია იარაღის და საბრძოლო მასალის გადაზიდვა და გადაზენა ფოსტით.

მუხლი 10. იარაღის ტარება და გამოყენება

იარაღის ტარების უფლება ნიშნავს მისი მოსარგებლის უფლებას თან იქონიოს იარაღი მუდმივად ან სამსახურებრივი დავალების შესრულების დროს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, გარდა განსაკუთრებული რეჟიმის ადგილებისა.

იარაღის დადგენილი წესით გამოყენების უფლება აქვს იარაღით მოსარგებლეს.

იარაღის მესაკუთრეს უფლება არა აქვს თან ატაროს იარაღი, გარდა მიზნობრივი დანიშნულების სანადირო იარაღისა.

მესაკუთრეს ეკრძალება იარაღის გამოყენება, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი 11. იარაღის საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვის შეწყვეტა

იარაღის საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვა წყდება, თუ:

1. გავიდა მოსარგებლისათვის მიცემული იარაღის ტარების ნებართვის დადგენილი ვადა;
2. შეწყდა იმ სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობა, რომელთან დაკავშირებითაც გაცემული იყო იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვა, ან შეწყდა პირის შრომითი ურთიერთობა იმ საწარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან, რომელსაც ასეთი ნებართვა ჰქონდა;
3. გარდაიცვალა იარაღის მფლობელი;
4. დაირღვა იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვის, გადაგზავნისა და გამოყენების წესები;

5. გაუქმდა იარაღის შენახვისა და ტარების ნებართვა;

ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. იარაღის ჩამორთმევა

იარაღის ჩამორთმევა ხდება იმ სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელმაც გასცა იარაღის შეძენის, შენახვისა და ტარების ნებართვა, მე-11 მუხლში მითითებული იარაღის საკუთრების ან სარგებლობის ნებართვის შეწყვეტის საფუძვლების არსებობისას.

მუხლი 13. იარაღის კონტროლი

იარაღის დამზადებას, იარაღის ვაჭრობას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, ტარებასა და გამოყენებას კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის მინისტროს კაბინეტი, რომლის გამგებლობას განეკუთვნება:

1. სამხედრო-საბრძოლო, სამსახურებრივ-საშტატო, სასპორტო და სანადირო იარაღის დამზადების ნებართვის გაცემა;

2. სამხედრო-საბრძოლო და სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დამზადების, იარაღის ვაჭრობის, შეძენის, შენახვის, ტარების და გამოყენების წესების განსაზღვრა;

3. საქართველოს რესპუბლიკაში იარაღის შემოტანის, გატანის და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტის კონტროლი;

4. საქართველოს რესპუბლიკის იარაღის სახელმწიფო კადასტრის დადგენა, იარაღის აღრიცხვისა და რეგისტრაციის წესის განსაზღვრა;

5. იარაღის კონტროლის შესახებ სხვა ნორმატიული აქტების შემუშავება.

მუხლი 14. შინაგან საქმეთა ორგანოების კომპეტენცია იარაღის კონტროლის დარგში

იარაღის კონტროლის დარგში საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:

1. იარაღის, მათ შორის საკოლექციო იარაღის შეძენის, შენახვის, შეკეთების და აღდგენის, ტარების, გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვის გაცემა (გარდა სამხედრო-საბრძოლო იარაღისა);

2. იურიდიული და ფიზიკური პირების საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული იარაღის აღრიცხვა-რეგისტრაცია;

3. ტიპების, სასროლეთების, სასროლო სანადირო სტენდების, იარაღის შემკეთებელი და აღმდგენი სახელოსნოების გახსნის ნებართვის გაცემა;

4. იარაღის (გარდა სამხედრო-საბრძოლო იარაღისა) შექმნის, შენახვისა და ტარების წესების შესრულების კონტროლი;

5. იარაღის ჩამორთმევა საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. თვითნაკეთი იარაღი

თვითნაკეთი იარაღი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად დამზადებულია უნებართვოდ.

აკრძალულია თვითნაკეთი იარაღის რეგისტრაციაში გატარება და მასზე საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვის გაცემა.

თვითნაკეთი იარაღის დამამზადებელი, შემქმნი, შემნახველი, მტარებელი და გამომყენებელი პირი პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრის და მოსარგებლის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 16. იარაღის დამამზადებლის უფლება-მოვალეობანი

იარაღის დამამზადებელს უფლება აქვს:

1. ნებართვის საფუძველზე დამამზადოს იარაღი და მიჰყიდოს დამკვეთს ამ კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული საკანონმდებლო აქტების თანახმად;

2. იყოს დამზადებული იარაღის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის მესაკუთრე საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3. განახორციელოს საკონსტრუქტორო სამუშაოები.

იარაღის დამამზადებელი მოვალეა:

1. გამოსცადოს დამზადებული იარაღი იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება იგი სახელმწიფო სტანდარტებს;

2. დამზადებული იარაღი და საბრძოლო მასალა აღრიცხოს სათანადო დავთარში, რომელშიც შეიტანება სამარკო ნიშანი და სააღრიცხვო ნომერი;

3. უზრუნველყოს დამზადებული იარაღისა და მისი სათანადო ნაწილები, აგრეთვე საბრძოლო მასალის და უსაფრთხოების წესების დაცვა.

მუხლი 17. იარაღის მესაკუთრის უფლება-მოვალეობანი

იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს:

1. ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს შეძენილ იარაღსა და საბრძოლო მასალას ამ კანონით დადგენილი წესით;

2. მიიღოს კომპენსაცია იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების ან რეკვიზიციის შემთხვევაში.

იარაღის მესაკუთრე მოვალეა:

1. აღრიცხოს, რეგისტრაციაში და ხელახალ რეგისტრაციაში გაატაროს შეძენილი იარაღი;

2. დროულად გადაიხადოს სარეგისტრაციო მოსაკრებელი;

3. დაიცვას იარაღის ტარების, გამოყენების, შენახვისა და გადაზიდვის წესი;

4. უზრუნველყოს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაცვა;

5. უზრუნველყოს იარაღის შენახვის ადგილებში დადგენილი წესით შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა დაშვება და მათთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა;

6. დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოებს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაკარგვა.

მუხლი 18. იარაღის მოსარგებლის უფლება-მოვალეობანი

იარაღის მოსარგებლეს უფლება აქვს:

1. შეინახოს და ატაროს იარაღი მისი მიღების პირობების შესაბამისად;

2. გამოიყენოს იარაღი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და წესით.

იარაღის მოსარგებლე ვალდებულია:

1. გამოიყენოს იარაღი მხოლოდ დანიშნულებისამებრ;

2. უზრუნველყოს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაცვა კანონით დადგენილი წესით.

დისლოკაციის ადგილების გარდა აკრძალულია შეიარაღებული ძალების მოსამსახურის სამხედრო-საბრძოლო იარაღით გადაადგილება სპეციალური ნებართვის გარეშე.

მუხლი 19. იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრის და მოსარგებლის უფლებების დაცვა

იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრისა და მოსარგებლის უფლებები შეიძლება შეწყდეს მხოლოდ ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინე-

ბულ შემთხვევებში.

იარაღის დამაზადებლის, მესაკუთრის და მოსარგებლის უფლებების დარღვევის გამო ღავას წყვეტს სასამართლო.

თავი III

სამხედრო-საბრძოლო იარაღი

მუხლი 20. სამხედრო-საბრძოლო იარაღის ცნება

სამხედრო-საბრძოლო იარაღი, რომელსაც დანიშნულებით იყენებენ დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა, შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის ორგანოები.

იარაღისა და საბრძოლო მასალისთვის სამხედრო-საბრძოლო იარაღის კატეგორიის მიკუთვნებას განსაზღვრავს იარაღის სახელმწიფო კადასტრი.

მუხლი 21. სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადება

სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადება ხდება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროების და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის დაკვეთით იმ საწარმოებში, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ნებართვა.

მუხლი 22. სამხედრო-საბრძოლო იარაღის შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გამოყენება

სამხედრო-საბრძოლო იარაღის შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გამოყენება ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 23. სამხედრო-საბრძოლო იარაღის კონტროლი

სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადებას, შექმნას, შენახვას, გადაგზავნას, გადაზიდვას და გაყიდვას, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოტანას, გატანასა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტს კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თავი IV

სამსახურებრივ-საშტატო იარაღის მოსარგებლეთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 24. სამსახურებრივ-საშტატო იარაღი

სამსახურებრივ-საშტატო იარაღი, რომელსაც იურიდიული პირი იყენებს იმ მუშაკთა შესაიარაღებლად, რომელთაც სამსახურის ხასიათის გამო ნებადართული აქვთ ატარონ იარაღი.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ:

- საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს;

- საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს;

- საქართველოს რესპუბლიკის სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებს.

იმ უწყებათა და თანამდებობათა ნუსხას, რომელთაც სამსახურებრივი საქმიანობის ხასიათის გამო შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღი, ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად, ხოლო გაცემს შინაგან საქმეთა სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს პარლამენტის წევრებს შეუძლიათ ჰქონდეთ, ატარონ და ისარგებლონ სამსახურებრივ-საშტატო იარაღით (გარდა ავტომატურისა). ეს უფლება მათ უნარჩუნდებათ დეპუტატის უფლებამოსილების გასვლის შემდეგაც.

მუხლი 25. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება

სამსახურებრივ-საშტატო იარაღი პირს მიეცემა სარგებლობაში, თუ მას აქვს ამ იარაღის ტარების ინდივიდუალური ნებართვა.

ინდივიდუალურ ნებართვას გაცემენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები თავისი ნორმატიული აქტების შესაბამისად იმ უწყების შუამდგომლობის საფუძველზე, რომლის მუშაკებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება.

მუხლი 26. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გამოყენება

პირს, რომელიც სარგებლობს სამსახურებრივ-საშტატო იარაღით,

უფლება აქვს გამოიყენოს იარაღი საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის აღსაკვეთად ან დამნაშავეის შესაპყრობად.

იარაღის გამოყენების ყველა შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების გადამეტებისათვის პირი პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 27. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა

სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა ხდება ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

თავი V

სანადირო იარაღი

მუხლი 28. სანადირო იარაღის ცნება

სანადიროა ყოველგვარი ცეცხლსასროლი გლუვკლულიანი, კომბინირებული და კუთვნილი იარაღი, რომელსაც იძენს იურიდიული პირი სარეწაო, სასპორტო-სამოყვარულო და სამეცნიერო ნადირობისათვის და რომლის საცეცხლე სიმძლავრე არ სცილდება ამ მიზნის ფარგლებს.

მუხლი 29. სანადირო იარაღის დამზადება

სანადირო იარაღი მზადდება ამ კანონის მე-3 მუხლის და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

მუხლი 30. სანადირო იარაღის შექმნა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა და გადაგზავნა

სანადირო იარაღის შექმნის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვით.

სანადირო იარაღის ტარებისა და შენახვის ნებართვა არ მიეცემათ ამ კანონის მე-6 მუხლის მესამე ნაწილში ჩამოთვლილ პირებს.

უცხოელი მოქალაქენი სანადირო იარაღს იძენენ ამ კანონის მე-6 მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული წესით.

სანადირო იარაღის შექმნის, შენახვის, ტარების, გადაზიდვისა და გადაგზავნის წესებს განსაზღვრავს ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 31. სანადირო იარაღის გამოყენება

სანადირო იარაღის მესაკუთრეს და მოსარგებლეს უფლება აქვს ეს იარაღი გამოიყენოს მხოლოდ სარეწაო, სასპორტო - სამოყვარულო და სამეცნიერო ნადირობისათვის. სანადირო იარაღის გამოყენების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 32. სანადირო იარაღთან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებანი

სანადირო იარაღის მესაკუთრეს აქვს სანადირო იარაღის გასხვისების უფლება ამ კანონით დადგენილი წესით. გასხვისების შემთხვევაში, იარაღის შემძენი პირი ვალდებულია იარაღი ხელახლა გაატაროს რეგისტრაციაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

იარაღის მესაკუთრის გარდაცვალებისას მემკვიდრეობის საკითხი გადაწყდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

სანადირო იარაღთან დაკავშირებული სამოქალაქო - სამართლებრივი გარიგებანი რეგულირდება ამ კანონით, სამოქალაქო კანონმდებლობით და საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით.

თავი VI

სასპორტო იარაღი

მუხლი 33. სასპორტო იარაღის ცნება

სასპორტოა იარაღი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო და ეროვნული სპორტული ფედერაციების სტანდარტებს და განკუთვნილია სპორტსმენების მოსამზადებლად, მათ მიერ საკვალიფიკაციო ნორმატივების შესასრულებლად და სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის.

მუხლი 34. სასპორტო იარაღის წარმოება, გამოყენება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა და გადატანა

სასპორტო იარაღის წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა და გადაზიდვა ხდება ამ კანონის და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

სასპორტო იარაღის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით სპეციალურად მოწყობილი სპორტული ობიექტების ტერიტორიაზე.

თავი VII

ჯილდოდ მიღებული იარაღი

მუხლი 35. ჯილდოდ მიღებული იარაღი

ჯილდოდ მიღებულია იარაღი, რომელიც წახალისების წესით გადაცემა პირს განსაკუთრებული საბრძოლო, სამსახურებრივი და სპორტული დამსახურებისთვის, აკრძალულია ავტომატური იარაღის ჯილდოდ გადაცემა.

იარაღით პირის დაჯილდოების უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, თავდაცვის მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრს, სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის უფროსს და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს (სპორტული იარაღით).

იარაღით დაჯილდოების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და ამტკიცებს სახელმწიფოს მეთაური.

მუხლი 36. ჯილდოდ მიღებული იარაღის შენახვა, ტარება და გამოყენება

ჯილდოდ მიღებული იარაღის რეგისტრაცია ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ხოლო შენახვა, ტარება და გამოყენება - ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

თავი VIII

საკოლექციო იარაღი

მუხლი 37. საკოლექციო იარაღის ცნება

საკოლექციოა იარაღი, რომელიც საექსპერტო კომისიის დასკვნით წარმოადგენს სამეცნიერო, ისტორიულ, მხატვრულ ღირებულებას და რომლის შენახვის უფლება აქვთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომლის დანიშნულებაც კოლექციის ფორმირება და ექსპონირება.

საკოლექციო იარაღი ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო რეგისტრაციას.

საკოლექციო იარაღის საექსპერტო შეფასებისა და მისი რეგისტრაციის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 38. საკოლექციო იარაღის დამზადება, შექმნა, შენახვა, გადა-

ზიღვა, გადაგზავნა და გამოყენება

საკოლექციო იარაღის დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიღვა, გადაგზავნა და გამოყენება ხდება ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად

მუხლი 39. საკოლექციო იარაღთან დაკავშირებული გარიგებანი

საკოლექციო იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს გაასხვისოს იარაღი იმ პირობებში, რომელსაც აქვს საკოლექციო იარაღის შენახვის უფლება იმ წესითა და პირობებით, რომლებსაც ადგენენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო და კულტურის სამინისტრო.

თავი IX

იარაღის სახელმწიფო კადასტრი

მუხლი 40. იარაღის სახელმწიფო კადასტრი

იარაღის სახელმწიფო კადასტრის მიზანია იარაღის სახეობათა სისტემატიზებული ნუსხის შედგენა, იარაღის ძირითადი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემების მითითება და მისი სახელმწიფო სტანდარტების დადგენა.

სახელმწიფო კადასტრის დანიშნულებაა იარაღის კონკრეტული ნიმუშების იარაღის სახეობისადმი მიკუთვნება იარაღის დამზადების, გაყიდვის, მესაკუთრეობისა და სარგებლობის წესებისადმი კონტროლის მიზნით.

მუხლი 41. საქართველოს რესპუბლიკის იარაღის სახელმწიფო კადასტრის შინაარსი და შედგენის წესი

იარაღის სახელმწიფო კადასტრი შედგება ორი ნაწილისაგან, პირველი ნაწილი მოიცავს სამხედრო-საბრძოლო იარაღის ნიმუშებს, რომელთა შესახებ ცნობები სახელმწიფო ან სამსახურებრივი საიდუმლოებაა. ასეთი იარაღის საიდუმლოების ხარისხს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მეორე ნაწილი მოიცავს იმ იარაღის ნიმუშებს, რომელთა შესახებ ცნობები გასაიდუმლოებული არ არის.

იარაღის სახელმწიფო კადასტრის შედგენის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თავი X

იარაღის გამო დავის გადაწყვეტა და იარაღის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა

მუხლი 42. იარაღის გამო დავის გადაწყვეტა

იარაღის მესაკუთრეობისა და სარგებლობის, იარაღის ტარების ნებართვის მიცემაზე უარის ან იარაღის ჩამორთმევის გამო დავა გადაწყდება სასამართლო წესით, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 43. პასუხისმგებლობა იარაღის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების დარღვევით დადებული გარიგებანი იარაღის გასხვისების შესახებ ბათილია.

პირებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით იარაღის, მისი ძირითადი ნაწილებისა და საბრძოლო მასალების დამზადების, აღდგენის, აწყობის და შეკეთების, გაყიდვის, შექმნის, გადაზიდვის, გადაზაუნის, ტარებისა და გამოყენების წესების დარღვევაში, ეკისრებათ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 44. საქართველოს რესპუბლიკაში იარაღის შემოტანა, გატანა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტი

საქართველოს რესპუბლიკაში იარაღის შემოტანის, გატანის და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტის წესებს ადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებანი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური

ქალაქი თბილისი

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

305 “ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე“

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. “ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 15 მაისიდან.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის სამინისტროებს, პროკურატურას და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურს ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით ამა წლის 30 აპრილამდე შეიმუშაონ და დაამტკიცონ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს მოქალაქეთა ინდივიდუალური თავდაცვის საშუალების - აირის იარაღის შეძენის, შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესები;

განსაზღვროს მოქალაქეების ხელთ არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის შესყიდვის წესი საბაზრო ფასების გათვალისწინებით.

4. დაევალოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ამა წლის 30 აპრილამდე შეიმუშაოს და პარლამენტს წარუდგინოს წინადადებები, მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შესატანად.

5. ეთხოვოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ფართოდ აუწყონ მოსახლეობას, რომ პირი, რომელიც რეგისტრაციაში გაატარებს, ან ნებაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

6. კონტროლი ამ დადგენილებათა შესრულებაზე დაევალოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიებს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

მანუჩარე რეაქსიძე

თბილისი, 1994 წლის 15 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

306 “საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების შესახებ” დებულების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკაში არასახელმწიფო საერო სასწავლებლების დაფუძნებისა და ფუნქციონირების მოწესრიგების მიზნით საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს “საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების დებულება” (თან ერთვის).

2. “საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების დებულება” ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ 1994 წლის 1 მაისამდე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების საატესტაციო და სააკრედიტაციო კომისიების დებულება და შემადგენლობა.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 14 ივნისის დადგენილება “საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ” (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ. N 6. მუხ. 441).

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტაიზ რეჟულოშვილი.

თბილისი, 1994 წლის 17 მარტი.

დამტკიცებულია
საქართველოს პარლამენტის
1994 წლის 17 მარტის
დადგენილებით

307 საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების დებულება

1. საქართველოს რესპუბლიკაში ნებადართულია არასახელმწიფო საერო სასწავლებლების დაფუძნება კვალიფიკაციის დამადასტურებელი სათანადო მოწმობის (დიპლომის, ატესტატის) გაცემის უფლებით.

2. არასახელმწიფო საერო სასწავლებლების გახსნის უფლება აქვთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

3. არასახელმწიფო საერო სასწავლებლები რეგისტრირდება არსებული კანონმდებლობისა და საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

4. ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია, რომ არასახელმწიფო საერო სასწავლებლების სასწავლო გეგმები, წესდება, პროგრამები, პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებდეს სასწავლებლებისათვის სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

5. არასახელმწიფო საერო სასწავლებლებს უფლება აქვთ:

ა) შეიმუშაონ სწავლების ორგანიზაციის ფორმები, მეთოდები, მოსწავლეთა (სტუდენტთა) მისაღები გამოცდების, მიღების, შემოწმების, შეფასებისა და წახალისების წესები;

ბ) განსაზღვრონ სასწავლებლის მართვის სტრუქტურა, შექმნან ან გააუქმონ დამხმარე სამეცნიერო და სამეურნეო დანაყოფები;

გ) დაამყარონ საქმიანი ურთიერთობა ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ;

დ) დააწესონ პედაგოგიური, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალისათვის ხელფასის ოდენობა ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე;

ე) გაიარონ სახელმწიფო აკრედიტაცია, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება მათი სტატუსი და ყოველმათ სახელმწიფოს მიერ აღიარე-

ბული განათლების საბუთების გაცემის უფლება;

ვ) დაადგინონ სწავლის საფასურის ოდენობა და შეტანის ვადები.

6. არასახელმწიფო საერო სასწავლებლები ვალდებული არიან:

ა) გაიარონ ატესტაცია ლიცენზიის მოთხოვნათა შესაბამისად;

ბ) გაიღონ სასწავლებლის ატესტაციისა და აკრედიტაციისათვის საჭირო საექსპერტო მომსახურების სახსრები არსებული წესის მიხედვით;

გ) ყოველწლიურად, მისაღები გამოცდების დაწყებამდე არა უგვიანეს ერთი თვისა, წარადგინონ საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროში ცნობები დადგენილი ფორმით, რომელთა საფუძველზეც მიეცემათ უფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოაქვეყნონ განცხადებები სასწავლებლებში მიღების შესახებ.

7. არასახელმწიფო საერო სასწავლებლები, მათი თანამშრომლები და მოსწავლეები (სტუდენტები) სარგებლობენ სახელმწიფო სასწავლებლებისათვის კანონით დადგენილი ყველა შეღავათით.

8. არასახელმწიფო საერო სასწავლებლებს ეკრძალებათ დამატებითი ლიცენზირების გარეშე ფილიალებისა და სხვა სასწავლო ქვეგანყოფილების შექმნა სასწავლებლების ფარგლებს გარეთ.

9. არასახელმწიფო საერო სასწავლებლების ურთიერთობა ჩარიცხულ კონტიგენტთან განისაზღვრება სასწავლებლის წესდებითა და დადებული ხელშეკრულებით.

10. არასახელმწიფო საერო სასწავლებლები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების საფუძველზე.

11. არასახელმწიფო საერო სასწავლებლების ლიკვიდაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. არასახელმწიფო საერო სასწავლებლების ატესტაციისა და აკრედიტაციას ახორციელებს სახელმწიფო საატესტაციო და სააკრედიტაციო კომისია, რომლის დებულებასა და შემადგენლობას საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წარდგენით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

სამართველოს რესპუბლიკის კანონი

308 საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საქორწინო და საოჯახო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. 1984 წლის 10 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ. N 12. მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მოქალაქეებისათვის და თანამდებობის პირებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო დაკისრებული ჯარიმა არ შეიძლება იყოს შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის ერთ მეასედზე ნაკლები“.

2. 42-ე მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

3. 43-ე მუხლში სიტყვები “ხუთას მანეთამდე“, “ათას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების სამ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ექვს მინიმალურ ოდენობამდე“.

4. 44-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები “ას მანეთამდე“, “ორმოცდაათი მანეთიდან ხუთას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების სამ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ექვს მინიმალურ ოდენობამდე“.

ამავე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები “სამას მანეთამდე“, “ორმოცდაათიდან ხუთას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების სამ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ექვს მინიმალურ ოდენობამდე“.

5. 45-ე მუხლში სიტყვები “ხუთას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე“, ხოლო სიტყვები “ვადით თხუთმეტ დღემდე“ შეიცვალოს სიტყვებით “ვადით ოცდაათ დღემდე“.

“შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

18. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 55¹, 55² და 55³ მუხლები:

“მუხლი 55¹. მიწის მდგომარეობაზე უარყოფი გავლენის მქონე ობიექტების დაპროექტება, განლაგება, მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა

მიწის მდგომარეობაზე უარყოფი გავლენის მქონე ობიექტების დაპროექტება, მშენებლობა, განლაგება და საექსპლუატაციოდ გადაცემა, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ექვსიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა - შრომის ანაზღაურების სამოციდან ას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 55². მიწის ნაყოფიერი ფენის ალებისა და შენახვის პირობების შეუსრულებლობა, -

მიწის ნაყოფიერი ფენის ალებისა და შენახვის პირობების შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ექვსიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა - შრომის ანაზღაურების სამოციდან ას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 55³. მიწის ფონდებზე, მიწების მდგომარეობასა და გამოყენებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, მიწის გამოყოფის თაობაზე განაცხადის, შუამდგომლობის, საჩივრების განხილვის ვადების დარღვევა

მიწის ფონდებზე, მიწების მდგომარეობასა და გამოყენებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, მიწის გამოყოფის თაობაზე განაცხადის, შუამდგომლობის, საჩივრების განხილვის ვადების დარღვევა -

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

19. 56-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები “ხუთას მანეთამდე“, “ათას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

მეორე და მესამე ნაწილში სიტყვები “ათას მანეთამდე“, “ორი ათას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე“.

20. 56¹ მუხლში სიტყვები “ათი ათას მანეთამდე“, “თხუთმეტი ათას

“შრომის ანაზღაურების ექვსიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

62. 96-ე მუხლში სიტყვები “ზუთას მანეთამდე“, “ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“, “ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

მეორე ნაწილში სიტყვები “ათი ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე“.

63. 96 1 მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

64. 97-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“**მუხლი 97.** სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო მეურნეობების ნათესების წახდენა, მინდვრად არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღებული მოსავლის გაფუჭება ან განადგურება, ნარგავების დაზიანება

სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო მეურნეობების ნათესების წახდენა, მინდვრად არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღებული მოსავლის გაფუჭება ან განადგურება, ნარგავების დაზიანება, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა - შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე“.

65. 98-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე“, “ოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

66. 98¹ მუხლში სიტყვები “ზუთას მანეთამდე“, “ათას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე“.

67. 99-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე“ და “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

68. მე-100 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“**მუხლი 100.** მიწათმოსარგებლეთა მიერ მცენარეთა არასაკარანტინო მავნებლებთან, დაავადებებსა და სარეველებთან ბრძოლის ზომების მიუღებლობა

მიწათმოსარგებლეთა მიერ მცენარეთა არასაკარანტინო მავნებლებთან, დაავადებებსა და სარეველებთან ბრძოლის ზომების მიუღებლობა - გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე,

მიწათმოსარგებლეთა მიერ მცენარეთა არასაკარანტინო მავნებლებთან, დაავადებებსა და სარეველებთან ბრძოლის ზომების მიუღებლობა ასეთივე სამართალდარღვევისათვის დაჯარიმებიდან ერთი წლის განმავლობაში, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა - ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე“.

69. 100¹ მუხლში სიტყვები “ათასი მანეთით“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ასი მინიმალური ოდენობით“.

70. 100² მუხლში სიტყვები “ათასი მანეთით“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ასი მინიმალური ოდენობით“.

ამავე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა “გაფროხილებას“.

71. 102-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“**მუხლი 102.** ცხოველთა საკარანტინო წესებისა და სხვა ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დარღვევა

ცხოველთა საკარანტინო წესებისა და სხვა ვეტერინარულ-სანიტარიული წესების, აგრეთვე ეპიზოოტიასთან ბრძოლის საკითხებზე მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებათა დარღვევა -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

72. 103-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე“, “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების მეხუთედ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“.

73. 104-ე მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

74. 105-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე“, “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების მე-

ხუთედ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ნახევარ მი-
ნიმალურ ოდენობამდე“.

75. 105¹ მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე“, “ას მანეთამდე“
შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევარ
მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ
ოდენობამდე“.

76. 106-ე მუხლის პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილებში
სიტყვები “ათ მანეთამდე“, “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე“, “ხუთ
მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურე-
ბის ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ერთიდან
ორ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ერთ მეათედ
მინიმალურ ოდენობამდე“.

მეორე ნაწილში სიტყვები “ათ მანეთამდე“, “ოციდან ორმოცდაათ
მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურე-
ბის ოთხიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების
სამიდან ექვს მინიმალურ ოდენობამდე“.

77. 107-ე მუხლის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებში
სიტყვები “ათ მანეთამდე“, “ხუთ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად
სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“,
“შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“.

მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები “აგრეთვე მეტროპო-
ლიტენში“.

78. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 107¹, 107², 107³
მუხლები:

“**მუხლი 107¹.** საერთო სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებების
შიდა მოწყობილობის დაზიანება

საკაერო, რკინიგზის და მეტროპოლიტენის ტრანსპორტის, საზღვაო
და სამდინარო ტრანსპორტის, ავტობუსის, ტროლეიბუსის, ტრამვაის
და სამარშრუტო ტაქსის შიდა მოწყობილობის დაზიანება -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების სამიდან ექვს მინი-
მალურ ოდენობამდე.

მუხლი 107². მეტროპოლიტენში მოძრაობის უსაფრთხოების წესების
დარღვევა

მეტროპოლიტენში ლიანდაგზე ჩასვლა და სიარული, აგრეთვე ლიან-
დაგზე ისეთი საგნების დაწყობა, რომელთაც შეუძლიათ შეაფერხონ მა-

ტარებლების მოძრაობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მოძრაობის დროს ვაგონის კარის გაღება, გაჩერებაზე კარის გაღება-დახურვის განზრახ შეფერხება, საჭიროების გარეშე მატარებლისა და ესკალატორის მოძრაობის გაჩერება -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 107³. მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დარღვევა

მეტროპოლიტენის გასასვლელ საკონტროლო პუნქტებში სუროგატების ან გადახდისუუნარო მონეტების ჩაშვება, აგრეთვე საკონტროლო პუნქტებში გასვლა ან გასვლის მცდელობა სათანადო ნებართვის გარეშე -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ ორმოცდამეათედ მინიმალურ ოდენობამდე.

მეტროპოლიტენით ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მომწამლავი ნივთიერებებისა და საყოფაცხოვრებო გაზის ბალონების გადატანა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

მეტროპოლიტენის სადგურის ვესტიბიულის, გასასვლელების, ბაქების, ვაგონის სალონის, ესკალატორის და ლიანდაგის დანაგვიანება-გაჭუჭყიანება, აგრეთვე მეტროპოლიტენის სადგურებსა და ვაგონებში თამბაქოს მოწვევა, მატარებლის მოსაბრუნებელ ჩიხებში შეყოლა და მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების სხვა დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მეათედ მინიმალურ ოდენობამდე“

79. 108-ე მუხლში სიტყვები “ოცდაათ მანეთამდე“, “ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“, “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

80. 109-ე მუხლში სიტყვები “ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“, “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“.

81. 110-ე მუხლში სიტყვები “ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე”, “ოცდაათ მანეთამდე” შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე”.

82. 111-ე მუხლში სიტყვები “ასიდან ორას მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე”.

83. 111¹ მუხლში სიტყვები “ათიდან ას მანეთამდე” და “ოციდან ორას მანეთამდე” შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე”.

84. 112 მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე”, “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე” შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე”.

85. 113 მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე”, “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე”, “ხუთ მანეთამდე” შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების სამიდან ექვს მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ერთ მესამედ მინიმალურ ოდენობამდე”.

ამოღებულ იქნეს მუხლიდან მეორე ნაწილი, შესაქმნელი ჩაითვალოს მეორე ნაწილად.

86. 114-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე”.

87. 115-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე”, “ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე”, “ოცდაათ მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე”.

88. 116-ე მუხლში სიტყვები “ორმოცდაათი მანეთით”, “ოცი მანეთით” შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთი მინიმალური ოდენობით”, “შრომის ანაზღაურების ნახევარი მინიმალურ ოდენობით”.

89. 117-ე მუხლში სიტყვები “ასი მანეთით” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორი მინიმალური ოდენობით”.

90. 117-ე მუხლში სიტყვები “სამასი მანეთით” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ხუთი მინიმალური ოდენობით”.

91. 118-ე მუხლში სიტყვები “სამასი მანეთით” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორი მინიმალური ოდენობით”.

92. 119-ე მუხლში სიტყვები “სამი ათასი მანეთით” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით”.

93. 120-ე მუხლის პირველ და შესამე ნაწილებში ჯარიმა განისაზღვროს შრომის ანაზღაურების ხუთი მინიმალური ოდენობით.

მეორე ნაწილში - შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით, მეოთხე ნაწილში - შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით.

94. 121-ე მუხლში ჯარიმები განისაზღვროს:

პირველ ნაწილში - “შრომის ანაზღაურების სამიდან ექვს მინიმალურ ოდენობამდე”;

მეორე ნაწილში - “შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე”;

მეოთხე ნაწილში - “შრომის ანაზღაურების ოთხიდან რვა მინიმალურ ოდენობამდე”;

მეხუთე ნაწილში - “შრომის ანაზღაურების ერთი მინიმალური ოდენობით”.

შესამე ნაწილის სანქცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე”.

95. 122-ე მუხლში სიტყვები “ხუთი ათასი მანეთიდან ათი ათას მანეთამდე”, “ათასი მანეთით” შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ორი მინიმალური ოდენობით”.

96. 123-ე მუხლში სიტყვები “ათასი მანეთიდან ორი ათას მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე”.

97. 124-ე მუხლში სიტყვები “ოცდაათი მანეთიდან ორმოცდაათ მანეთამდე”, “ასი მანეთით” და “სამასი მანეთით” შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ერთი მინიმალური ოდენობით” და “შრომის ანაზღაურების ხუთი მინიმალური ოდენობით”.

98. 125-ე მუხლში სიტყვები “სამასი მანეთით” “შეიცვალოს სიტყვებით” “შრომის ანაზღაურების ერთი მინიმალური ოდენობით”.

99. 126-ე მუხლში სიტყვები “სამასი მანეთით” “შეიცვალოს სიტყვებით” “შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით”.

100. 128-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე”, “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე” “შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით” “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე”.

101. 129-ე მუხლში სიტყვები “ხუთი მანეთით”, “ორი მანეთის ოდენობით”, “მაგრამ არა უმეტეს ათი მანეთისა”, “სამი მანეთის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს ათი მანეთისა”, “ხუთი მანეთის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს ათი მანეთისა” “შეიცვალოს სიტყვებით” “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე”.

102. 130-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები “ოც მანეთამდე” “შეიცვალოს სიტყვებით” “შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალური ოდენობამდე”.

მეორე ნაწილის

პირველ პუნქტში სიტყვები “ხუთი მანეთით” “შეიცვალოს სიტყვებით” “შრომის ანაზღაურების ერთი მეათედი მინიმალური ოდენობით”.

მეორე პუნქტში სიტყვები “ათი მანეთით” “შეიცვალოს სიტყვებით” “შრომის ანაზღაურების ერთი მეხუთედი მინიმალური ოდენობით”;

მესამე პუნქტში სიტყვები “ხუთი მანეთით” “შეიცვალოს სიტყვებით” “შრომის ანაზღაურების ერთი მეათედი მინიმალური ოდენობით”.

მეოთხე პუნქტში სიტყვები “ათი მანეთით” “შეიცვალოს სიტყვებით” “შრომის ანაზღაურების ნახევარი მინიმალური ოდენობით”.

მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ხუთიდან ათ წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა, - გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე”.

მეოთხე ნაწილის პირველ პუნქტში სიტყვები “ორი მანეთით” “შეიცვალოს სიტყვებით” “შრომის ანაზღაურების ერთი მეოცედი მინიმალური ოდენობით”;

მეორე პუნქტში სიტყვები “ხუთი მანეთით” “შეიცვალოს სიტყვებით” “შრომის ანაზღაურების ერთი მეათედი მინიმალური ოდენობით”.

მეხუთე ნაწილის პირველ და მეორე პუნქტებში სიტყვები “ერთი

მანეთით“, “სამი მანეთით“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მეათედ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“.

103. 131-ე მუხლში სიტყვები “ოცდაათ მანეთამდე“, “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“.

104. 132-ე მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე“, “ოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

105. 133-ე მუხლში სიტყვები “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე“.

მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი:

“იგივე მოქმედება ჩადენილი გაუფრთხილებლობით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

106. 134-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მეათედ მინიმალურ ოდენობამდე“.

107. 135-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მეათედ მინიმალურ ოდენობამდე“.

108. 136-ე მუხლში სიტყვები “სამასი მანეთით“, “ათასი მანეთით“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით“, “შრომის ანაზღაურების ოცი მინიმალური ოდენობით“.

109. 137-ე მუხლში სიტყვები “ასი მანეთით“, “სამასი მანეთით“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთი მინიმალური ოდენობით“, “შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით“.

110. 138-ე მუხლში სიტყვები “ოცდაათი მანეთამდე“, “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“.

111. 139¹ მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე“, “ას მანეთამდე“

შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე”.

112. 140-ე მუხლში სიტყვები “ოცდაათ მანეთამდე”, “ორმოცდაათ მანეთამდე”, შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ათიდან ოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე”.

113. 141-ე მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე”, “ხუთ მანეთამდე” შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე”.

114. 142-ე მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე”.

115. 143-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე”, “ორმოცდაათ მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე”.

116. 144-ე მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე”.

117. 145-ე მუხლში სიტყვები “ას მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე”.

118. 146-ე მუხლში სიტყვები “ხუთას მანეთამდე”, “ათას მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე”, “შრომის ანაზღაურების ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე”.

119. კოდექსს დაემატოს 146¹ მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“**მუხლი 146¹.** დასუფთავების წესების დარღვევა

სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების, უვარგისი კონსტრუქციების, მასალების, ნივთების, მიწის და კლდოვანი ქანების გზებზე, მდინარეებში, ტბებში და მის ნაპირებზე, ფერდობებსა და ხევებში, პარკებში, ბაღებში, სკვერებში, გაზონებში, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან და სხვა ადგილებში დაყრა რაც

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ საამისოდ არ არის გამოყოფილი,-

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა - შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით ერთი წლის განმავლობაში - გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა - შრომის ანაზღაურების ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე“.

120. 147-ე მუხლში სიტყვები “ორი ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე“.

121. კოდექსს დაემატოს 147¹ მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“**მუხლი 147¹.** დაუმთავრებელი ან დამთავრებული სამშენებლო ობიექტების ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვება

სათანადო ნებართვით დაწყებული ღოჯიების, ავტოსადგომების, სხვა სათავსოების და ნაგებობების მშენებლობის, მიშენების ან დაშენების, დაუმთავრებელი ან დამთავრებული ობიექტების ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვება,-

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა - შრომის ანაზღაურების ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე“.

122. 148-ე მუხლის დისპოზიციაში სიტყვების “წესების დაუცველობა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები “წარმოება-დაწესებულებებისათვის“, ორგანიზაციებისათვის მიმავრებული ტერიტორიის მოუვლელობა, მასზე სამშენებლო და სხვა ნარჩენების თვითნებურად დაყრა“, ამავე მუხლში სიტყვები “ხუთას მანეთამდე“, “ათას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

123. 149-ე მუხლში სიტყვები “ას მანეთამდე“, “ორას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

124. 150-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 150. ქალაქის იერსახის დამახინჯება

შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ნარგავებზე პლაკატების, ლოზუნგების გაკვრა, ღობეების შეუღებად მიტოვება, რაც ამახინჯებს ქალაქის იერსახეს,-

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა - შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, -

- გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა - შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე“.

125. 151-ე მუხლში სიტყვები “ას მანეთამდე“, “ხუთას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

ამ მუხლში სიტყვები “სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის“ შეიცვალოს სიტყვებით “შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების“, შემდეგ როგორც ტექსტშია.

126. 152-ე მუხლში სიტყვები “ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

127. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 152 1 მუხლი :

“მუხლი 152¹. მშენებლობათა დაპროექტების ნორმებისა და წესების დარღვევა

სეისმურ რაიონებში მშენებლობათა დაპროექტების სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევა,-

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე“.

128. 153-ე მუხლში სიტყვები “ათას მანეთამდე“, “სამი ათას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე“.

129. 154-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ადგილობრივი მმართველო-

ბის ორგანოების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ვაჭრობის მოსაწესრიგებლად დადგენილი წესების დარღვევა,-

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა - შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე, პროდუქციის კონფისკაციით ან უამისოდ“.

130. 155-ე მუხლში სიტყვები “ორმოცდაათიდან ას მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

131. 156-ე მუხლში სიტყვები “ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“, “ოცდაათიდან ას მანეთამდე” შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

132. 166-ე მუხლის სანქცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ექვს თვემდე ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვეითვით, ხოლო თუ საქმის გარემოების მიხედვით, დამრღვევი პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომების გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, - ადმინისტრაციულ პატიმრობის ვადით ოცდაათ დღემდე“.

133. 167-ე მუხლში სიტყვები “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

134. 170-ე მუხლში სიტყვები “ორმოცდაათიდან ას მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

135. 171-ე მუხლში სიტყვები “ოციდან ოცდაათ მანეთამდე“, “ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“, “ორმოცდაათიდან ას მანეთამდე” შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ოთხიდან რვა მინიმალურ ოდენობამდე“.

ამ მუხლის შესაბამე ნაწილში სიტყვები “თხუთმეტ დღე-ღამემდე” შეიცვალოს სიტყვებით “ოცდაათ დღე-ღამემდე“.

136. 172-ე მუხლში სიტყვები “ხუთას მანეთამდე“, “ხუთასიდან ათას

მანეთამდე“, “ხუთასიდან ათას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე“.

137. 172¹ მუხლში სიტყვები “ას მანეთამდე“, “ორას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

138. 173-ე მუხლში სიტყვები “ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ორ თვემდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ექვს თვემდე“, ხოლო სიტყვები “ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით თხუთმეტი დღემდე“ შეიცვალოს სიტყვებით “ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე“.

139. 173¹ მუხლში სიტყვები “ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

140. 173² მუხლში სიტყვები “ორას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

141. 174-ე მუხლში სიტყვები “ოცდაათ მანეთამდე“, “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

142. 174¹ მუხლში სიტყვები “ხუთას მანეთამდე“, “თხუთმეტი დღემდე“, შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“, “ოცდაათ დღემდე“.

143. 174² მუხლში სიტყვები “ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე“.

144. 174³ მუხლში სიტყვები “ხუთას მანეთამდე“, “ათას მანეთამდე“, შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე“, ხოლო სიტყვები “თხუთმეტი დღემდე“ შეიცვალოს სიტყვებით “ოცდაათ დღემდე“.

145. 174⁴ მუხლში სიტყვები “ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“.

146. 174⁵ მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე“, “ორი ათას

მანეთამდე“, შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე“.

147. 174⁵ მუხლში სიტყვები “ათას მანეთამდე“, “ორი ათას მანეთამდე“, “სამი ათას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების სამიდან ექვს მინიმალურ ოდენობამდე“.

148. 175-ე მუხლში სიტყვები “ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

149. 176-ე მუხლში სიტყვები “ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

150. 177-ე მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე“, “ას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

151. 177¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“**მუხლი 177¹.** საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზირების წესების დარღვევა

საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზირების მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების დარღვევა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოც მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო თუ საქმის გარემოების მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომების გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, აღმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე“.

152. 179 მუხლში სიტყვები “ას მანეთამდე“, “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“.

153. 179¹ მუხლში სიტყვები “ორას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“.

154. დაემატოს კრდექსს შემდეგი შინაარსის 179² მუხლი:

“მუხლი 179². ფერადი ლითონებისა და მათი შემცვლელი ნაკეთობების შექმნის ან გაყიდვის წესების დარღვევა

ფერადი ლითონების და მათი შემცვლელი ნაკეთობების შექმნის, აგრეთვე მათი ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, გაყიდვის ან ჩაბარების დადგენილი წესის დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოთხ მინიმალურ ოდენობამდე, ფერადი ლითონების და მათი შემცვლელი ნაკეთობების, ჯართისა და ნარჩენების კონფისკაციით“.

155. 180-ე მუხლში სიტყვები “ათიდან ოცდაათ მანეთამდე” და “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე” შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორი მინიმალურ ოდენობამდე“.

156. 181-ე მუხლში სიტყვები “ხუთიდან ოც მანეთამდე“, “ათიდან ოცდაათ მანეთამდე“, “ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“, “ოცდაათიდან ას მანეთამდე” შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე“.

157. 182-ე მუხლში სიტყვები “ხუთიდან ოც მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

158. 183-ე მუხლში სიტყვები “ხუთიდან ოც მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

159. 183¹ მუხლში სიტყვები “ათიდან ოცდაათ მანეთამდე“, “ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“, “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე“, “ოცდაათიდან ას მანეთამდე” შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ერთიდან ორნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“.

160. 185-ე მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე” შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“.

161. 186-ე მუხლში სიტყვები “ას მანეთამდე“, შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

162. 187-ე მუხლში სიტყვები “ას მანეთამდე“, შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“.

163. 188-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე“, “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

164. 189-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“.

165. 190-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“.

166. 191-ე მუხლში სიტყვები “ხუთას მანეთამდე“, “ათას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“ და “შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

167. 192-ე მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

168. 193-ე მუხლში სიტყვები “ას მანეთამდე“, “ორას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე“.

169. 194-ე მუხლიდან აძლეულ იქნეს მესამე, მეოთხე პუნქტები და ბოლო ნაწილი, ხოლო მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2) ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვებისაგან საიუვილირო ნაკეთობათა და ასეთ ნაკეთობათა ჯართის, აგრეთვე ხელოვნების ნიმუშების საზღვარგარეთ უკანონო გაზიდვა, გადაზიდვა და გატანა,-

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების სამ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა - შრომის ანაზღაურების ექვს მინიმალურ ოდენობამდე, კონტრაბანდის საგნების კონფისკაციით“.

მეხუთე პუნქტი ჩაითვალოს მესამე პუნქტად.

170. 195-ე მუხლში სიტყვები “ოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

171. 196² მუხლში სიტყვები “ათიდან ოც მანეთამდე“, “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის

ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

172. 196³ მუხლში სიტყვები “ათიდან ოც მანეთამდე“, “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

173. 196⁴ მუხლში სიტყვები “ათიდან ოც მანეთამდე“, “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

174. 196⁵ მუხლში სიტყვები “ათიდან ოც მანეთამდე“, “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

175. 196⁶ მუხლში სიტყვები “ათიდან ოც მანეთამდე“, “ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

176. 197-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე“, “ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

177. 198-ე მუხლში სიტყვები “ათ მანეთამდე“, “ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“, “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

178. 199-ე მუხლში სიტყვები “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.

179. 208-ე მუხლში ციფრების 176-ე შემდეგ დაემატოს ციფრები “177¹, 179²“

180. 209-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტის მესამე აბზაცში და მესამე პუნქტში სიტყვები “ორმოც მანეთამდე“ და “ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით “შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე“ და “შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

181. მუხლი 229¹ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“**მუხლი 229¹**. სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები

სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 179¹ მუხლით:

სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და დაჯარიმების უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსს ერთ მინიმალურ ხელფასამდე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრს ან მის მოადგილეს - ხუთ მინიმალურ ხელფასამდე“.

182. 239-ე მუხლში:

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ამ კოდექსის 47-ე, 56-ე, 57-ე, 90-ე, 91-ე, 95-ე, 96-ე, 96¹ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ სასტრუქზედამხედველობის ორგანოები.

ამ კოდექსის 47-ე, 48-ე, 49-ე, 49¹, 56-ე, 57-ე, 58-ე, 59-ე, 60-75, 77-83, 84-ე, 89-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ გარემოს დაცვის ორგანოები.

ამ კოდექსის 51-55 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ გარემოს დაცვის ორგანოები და მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტის მიერ უფლებამოსილი პირები.

ამ კოდექსის 95-ე და 96¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ აგრეთვე გაზის მეურნეობის საამისოდ უფლებამოსილი მუშაკები თავისი კომპეტენციის ფარგლებში“.

მეექვსე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილები:

“ამ კოდექსის 107¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ პოლიციის, რკინიგზის, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის ორგანოების მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

ამ კოდექსის 107² და 107³ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ მეტროპო-

ლიტენით სარგებლობის წესების დაცვისადმი ზედამხედველობის გან-
მასორციელებელი თანამდებობის პირები“:

მეცხრე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნა-
წილი:

“ამ კოდექსის 152¹ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა
შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებ-
ლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის მიერ საამისოდ უფლე-
ბამოსილი ექსპერტები“.

მერვე ნაწილში ციფრების “119-ე, 123-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრი
“177“.

მუხლს ბოლოს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნაწილი:

“ამ კოდექსის 179¹, 179² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინის-
ტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს
რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სასინჯი ზედამხედველობის სა-
ხელმწიფო ინსპექციის საამისოდ უფლებამოსილი პირები“.

183. 262-ე მუხლის მეორე ნაწილში ციფრების “103-105 1“ შემდეგ
დაემატოს ციფრი “107“, ციფრის “176-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრები
“177¹, 179¹⁴“.

II. საქართველოს რესპუბლიკის 1970 წლის 18 ივნისის კანონით
დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო
კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., N
6, მუხ. 96) 72-ე მუხლში სიტყვები “არანაკლებ ოცი მანეთისა“ შეიცვა-
ლოს სიტყვებით “არანაკლებ შრომის ანაზღაურების ერთი მინიმალური
ოღენობისა“.

III. დაწესდეს, რომ ჯარიმები გამოიანგარიშება სამართალდარღვევის
ჩადენის დროისათვის საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი შრომის
ანაზღაურების მინიმალური დონის მიხედვით.

IV. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური

მდ. შარდ შიშარდნიძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პატანო გოგუაძე.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

309 დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში საგანგებო წესების მოქმედების გაგრძელების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

გაგრძელდეს საგანგებო წესების მოქმედება აბაშის, ვანის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მარტვილის, მესტიის, ოზურგეთის, სამტრედიის, სენაკის, ფოთის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ხობის, ხონის რაიონებში ორი თვით, 1994 წლის 22 მაისამდე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

მანუჩარე მამუკაშვილი.

თბილისი, 1994 წლის 22 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

310 ირაკლი მენაღარიშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ირაკლი მენაღარიშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

მანუჩარე მამუკაშვილი.

თბილისი, 1994 წლის 22 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

311 პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლება-მოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ცნობილ იქნეს პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენ-

ტის გამოკლებული წევრის თენგიზ აბულაძის ადგილმონაცვლის გრივოლ ჯოჯუას უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პახტანო რეაშულიშვილი.

თბილისი, 1994 წლის 24 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

312 თამაზ ნადარეიშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს თამაზ ნადარეიშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ.
2. თამაზ ნადარეიშვილს შეუწყდეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრის უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცებასთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პახტანო გოგუაძე.

თბილისი, 1994 წლის 29 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

313 ავთანდილ მარგვიანის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ავთანდილ მარგვიანის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პახტანო გოგუაძე.

თბილისი, 1994 წლის 29 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

314 თეიმურაზ ბასილიას საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს თეიმურაზ ბასილია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ.

2. თეიმურაზ ბასილიას შეუწყდეს საქართველოს რესპუბლიკის უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცებასთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პახტანო გომბაჯი.

თბილისი, 1994 წლის 29 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

315 დავით იაკობიძის საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს დავით იაკობიძე საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პახტანო რეაზულიშვილი.

თბილისი, 1994 წლის 29 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

316 “სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. “სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ” საქართველოს რესპუბ-

ლიკის 1992 წლის 6 ნოემბრის კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ. N1, მუხ. 8) მე-8 მუხლსა და მე-17 მუხლის მე-7 პუნქტში სიტყვები “საინფორმაციო - სადაზვერვო სამსახურის” შეიცვალოს სიტყვებით “სახელმწიფო უშიშროების სამსახურის”.

2. საქართველოს პარლამენტის იურიდიულმა კომისიამ ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები მოქმედ კანონმდებლობაში ამ კანონიდან გამომდინარე ცვლილებათა შესახებ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური

მალხაზ შიშინაძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პანტაზო გომეზაძე

თბილისი, 1994 წლის 30 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

317 იგორ გიორგაძის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დაინიშნოს იგორ გიორგაძე საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პანტაზო გომეზაძე

თბილისი, 1994 წლის 30 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

318 შოთა კვიციანი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს შოთა კვიციანი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა
მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

მანტანო რეპულიძე

თბილისი, 1994 წლის 31 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

319 1994 წლის 31 მარტს პარლამენტის შენობაში მომხდარი ფაქტის შესახებ

1994 წლის 31 მარტს, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა
მინისტრის დანიშვნასთან დაკავშირებით, პარლამენტის შენობაში შემოიჭრა
შეიარაღებულ პოლიციელთა დიდი ჯგუფი ქ.თბილისის პოლიციის სამ-
მართველოს უფროსის დავით ზეიკიძის მეთაურობით. პარლამენტზე ზემოქ-
მედების მიზნით მოხდა მისი დარბევის მცდელობა. ამასთან იყო ხულიგ-
ნური გამოხდომები, მუქარა და პარლამენტის ზოგიერთი წევრისა თუ
აპარატის მუშაკის შეურაცხყოფა.

საქართველოს პარლამენტი თვლის, რომ ქვეყნის უმაღლესი წარ-
მომადგენლობითი ორგანოს მიმართ ნებისმიერი ძალადობა სახელ-
მწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, რასაც კიდევ
უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ დღეს საქართველო ფაქტობრი-
ვად ომის მდგომარეობაში იმყოფება. განსაკუთრებით დაუშვებლად
მიგვაჩნია, რომ აქციის ორგანიზატორებად სამართალდამცავი
ორგანოების მაღალი რანგის თანამშრომლები მოგვევლინენ. აღ-
სანიშნავია ის ფაქტიც, რომ აქციის მონაწილეთა დიდი ნაწილი
შეცდომაში შეიყვანეს.

საქართველოს პარლამენტის ყველა ფრაქცია ერთსულოვნად აცხადებს, რომ 31 მარტს მომხდარი ფაქტი უნდა შეფასდეს, როგორც პარლამენტზე ძალისმიერი ზემოქმედების მცდელობა, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა სახელმწიფოსათვის.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს (შ. კვირიაა) მიიღოს გადამჭრელი ზომები ქალაქ თბილისის პოლიციის სამმართველოში წესრიგის დასამყარებლად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

რუსუღან ბერიძე.

თბილისი, 1994 წლის 1 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

320 ავთანდილ ჯორბენაძის საქართველოს რესპუბლიკის
ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ავთანდილ ჯორბენაძე საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

რუსუღან ბერიძე.

თბილისი, 1994 წლის 1 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

321 მურთაზ ზანკალიანის საქართველოს რესპუბლიკის
ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრად
დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს მურთაზ ზანკალიანი საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრო-
ბისა და მატერიალური მომარაგების მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

რუსუღან გერციძე.

თბილისი, 1994 წლის 1 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

322 ალექსანდრე ჩიკვაიძის საქართველოს რესპუბლიკის
საგარეო საქმეთა მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ალექსანდრე ჩიკვაიძე საქართველოს რესპუბლიკის სა-
გარეო საქმეთა მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

რუსუღან გერციძე.

თბილისი, 1994 წლის 1 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

323 დადგენილება დავით მალრაძის საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს დავით მალრაძე საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

რუსუღან ბერიძე.

თბილისი, 1994 წლის 1 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

324 ფრიდონ ინჯიას საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ფრიდონ ინჯია საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პასტანო ბოგუაძე.

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

325 ვლადიმერ კერესელიძის საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ვლადიმერ კერესელიძე საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

რუსუღან ბერიძე.

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

326 ვალერიან ვაშაკიძის საქართველოს რესპუბლიკის
ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის
თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ვალერიან ვაშაკიძე საქართველოს რესპუბლიკის
ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

327 გიორგი კვესიტაძის საქართველოს რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის
მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს გიორგი კვესიტაძე საქართველოს რესპუბლიკის სოფ-
ლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

328 თევდორე ნინიძის საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს თევდორე ნინიძე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

329 ავთანდილ სილაგაძის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრად დამტკიცე- ბის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ავთანდილ სილაგაძე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

330 ზურაბ კერვალიშვილის საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ზურაბ კერვალიშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

331 ვაჟა გუჯაბიძის საქართველოს რესპუბლიკის შრომისა
და სოციალური დაცვის მინისტრად დამტკიცების
შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ვაჟა გუჯაბიძე საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

332 პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის
გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლება-
მოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

• ცნობილ იქნეს პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის თემურ ბასილიას ადგილმონაცვლის გურამ სანადირაძის უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტაზო რეაზულიძე.

თბილისი, 1994 წლის 19 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

333 საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი გურამ ბერიშვილი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტაზო რეაზულიძე.

თბილისი, 1994 წლის 19 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

334 საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი ომარ ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტანო რეაშლიშვილი.

თბილისი, 1994 წლის 19 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

335 საქართველოს პარლამენტის სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნენ საქართველოს პარლამენტის წევრები გივი აბალაკი, გურამ ბერიშვილი, აკაკი ბრეგაძე, ომარ ელოშვილი, თეიმურაზ კობალეიშვილი, გიორგი წულაია და გრიგოლ ჯოჯუა საქართველოს პარლამენტის სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტანო რეაშლიშვილი.

თბილისი, 1994 წლის 19 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

336 ბავშვის უფლებათა კონვენციასთან შეერთების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს ბავშვის უფლებათა კონვენციას.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობოს ამის შესახებ გაეროს გენერალურ მდივანს.
3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წარმოადგინოს წინადადებები რესპუბლიკის კანონმდებლობის კონვენციის ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტაჩხ რჩხუელიშვილი.

თბილისი, 1994 წლის 21 აპრილი.

337 ბავშვის უფლებათა კონვენცია

პრეამბულა

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც

მიიჩნევენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული პრინციპების შესაბამისად, ღირსების, საზოგადოების ყველა წევრის თანასწორი და ხელშეუვალი უფლებების ცნობა აღდამიწაზე თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საფუძველია,

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალმა ხალხებმა მისი წესდებით ცხადყვეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებების, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულებისადმი და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მეტი თავისუფლების პირობებში ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას,

ცნობენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და ადამიანის უფლებათა შესახებ

საერთაშორისო პაქტებში გამოაცხადა, და აღიარა, რომ თითოეული ადამიანი უნდა ფლობდეს პაქტებში მითითებულ უფლებებსა და თავისუფლებას მიუხედავად ისეთი ნიშნებისა, როგორცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსი, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება თუ სხვა გარემოებანი,

შეგვახსენებენ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განცხადებას, რომ ბავშვებს განსაკუთრებული მზრუნველობის და დაცვების უფლება აქვთ,

დარწმუნებული არიან, რომ ოჯახს, როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედს და მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების, კეთილდღეობის ზრდის ბუნებრივ გარემოს უნდა ჰქონდეს ჯეროვანი დაცვა და მხარდაჭერა, რათა მან საზოგადოების ფარგლებში სრულად იკისროს ვალდებულებანი,

ცნობენ, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში,

მიაჩნიათ, რომ ბავშვი სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში მოცემული იდეალების სულისკვეთებით, განსაკუთრებით კი მშვიდობის, ღირსების, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის გრძნობით,

ითვალისწინებენ, რომ ბავშვის ასეთი განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა დაცვის ქენჯვის 1924 წლის დეკლარაციით, 1959 წლის 20 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაციით და აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ 23-ე და 24-ე მუხლებით), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მე-10 მუხლით), აგრეთვე ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე სპეციალიზებული დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი დოკუმენტებით,

მხედველობაში იღებენ ბავშვის უფლებათა დეკლარაციის მითითებას, რომ "ბავშვს, ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესა-

ჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“.

იმოწმებენ სოციალური და უფლებრივი პრინციპების დეკლარაციის დებულებას, რომელიც ეხება ბავშვების დაცვასა და კეთილდღეობას, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე ბავშვთა აღსაზრდელად გადამცემისა და შვილად აყვანისას, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალურ სტანდარტულ წესებს (“პეკინის წესები“), განსაკუთრებულ ვითარებაში და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალთა და ბავშვთა დაცვის შესახებ დეკლარაციას,

იციან, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არიან ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებულ პირობებში ცხოვრობენ და რომ ასეთი ბავშვები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ,

სათანადოდ ითვალისწინებენ ბავშვის დაცვისა და ჰარმონიული განვითარების საქმეში ყოველი ხალხის ტრადიციებისა და კულტურული ღირებულებების მნიშვნელობას,

ცნობენ ყველა ქვეყანაში, კერძოდ განვითარებად ქვეყნებში ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1

ამ კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუ არსებული კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

მუხლი 2

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული, მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას უდისკრიმინაციოდ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურ-

ვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარებისაგან დამოუკიდებლად.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს ღონობენ დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და დასჯისგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსის, საქმიანობის, გამოთქმული შეხედულებებისა და მრწამსის საფუძველზე.

მუხლი 3

1. ბავშვის მიმართ ყოველგვარ მოქმედებაში, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ასრულებს მას - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების უკეთ უზრუნველყოფას.

2. მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლების, მეურვეებისა და ამ სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც კანონით პასუხისმგებელი არიან მისთვის, ვალდებულებას კისრულობენ უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის და საამისოდ ახორციელებენ ყველა სათანადო საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებას.

3. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვებზე ზრუნვისათვის, მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები და ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მათი პერსონალის რაოდენობრიობისა და ვარგისიანობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

მუხლი 4

მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ თუ სხვა ღონისძიებებს მიმართავენ წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განსახორციელებლად. მონაწილე სახელმწიფოები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სფეროში ასეთ ღონისძიებებს ხმარობენ მათ ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში, ხოლო თუ საჭირო გახდა, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობლებისა და შესაბამის შემთხვევაში ადგილობრივი წეს-ჩვეულებების მიხედვით გაფართოებული ოჯახის წევრების თუ თემის, მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალებებს, რომლებიც კანონის მიხედვით პასუხისმგებელი არიან ბავშვისთვის, იმისთვის, რომ სათანადოდ მართავდნენ და ხელმძღვანელობდნენ ბავშვს მათ მიერ აღიარებული წინამდებარე ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაში და აკეთებდნენ ამას ბავშვის განვითარებადი უნარის შესაბამისად.

მუხლი 6

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ, რომ ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება.

2. მონაწილე სახელმწიფოები მაქსიმალური შესაძლებლობით უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანსაღ განვითარებას.

მუხლი 7

1. ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და დაბადებიდანვე აქვს უფლება ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლებამოსილია იცნობდეს თავის მშობლებს და იღებდეს მათ მზრუნველობას.

2. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ უფლებათა განხორციელებას თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და მოვალებების შესრულებას ამ სფეროში შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად ბავშვს არ ექნება მოქალაქეობა.

მუხლი 8

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას დაიცვას თავისი ინდივიდუალობა მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით, და არ დაუშვან კანონსაწინააღმდეგო ჩარევა.

2. თუ ბავშვი უკანონოდ კარგავს თავისი ინდივიდუალობის ნაწილს ან

მის ყველა ელემენტს, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ჯეროვან დაცვასა და დახმარებას მისი ინდივიდუალობის უსწრაფესი აღდგენისათვის.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, არსებული კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაცილება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს ან არ ზრუნავენ მისთვის, ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერი განხილვის დროს ყველა დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა ეძლევა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში და გამოთქვას საკუთარი მოსაზრება.

3. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ორივე მშობელს დაცილებული ბავშვის უფლებას, რომ მას რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის უკეთეს ინტერესებს.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი დაშორება გამოძინარეობს მონაწილე სახელმწიფოთა რომელიმე გადაწყვეტილებიდან, მაგალითად, ერთი ან ორივე მშობლის ან ბავშვის დაპატიმრების, გასახლების, დეპორტაციის ან სიკვდილისას, (მოცემული პირის ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული სიკვდილის ჩათვლით მისი სახელმწიფო გამგებლობაში ყოფნის დროს), მონაწილე სახელმწიფო ასეთ მშობლებს, ბავშვს ან, თუ ეს აუცილებელია, ოჯახის სხვა წევრს, მათი თხოვნით აძლევს აუცილებელ ინფორმაციას ოჯახიდან წასული წევრის ადგილსამყოფელის შესახებ, თუ ამ ინფორმაციის მიცემა ზიანს არ აყენებს ბავშვის კეთილდღეობას. მონაწილე სახელმწიფოები შემდგომში უზრუნველყოფენ, რომ ასეთი თხოვნა თავისთავად არ იწვევდეს შესაბამისი პირისათვის (პირთათვის) არასასურველ შედეგებს.

მუხლი 10

1. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულების შესაბამისად მე-9 მუხლის 1 პუნქტით ბავშვის ან მისი მშობლების განცხადება ოჯახის გამოლიანების მიზნით მონაწილე ქვეყანაში შესვლის ან იქიდან გასვლის თაობაზე მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ დადებითად, ჰუმანურად და სწრაფად. მონაწილე სახელმწიფოები შემდეგ უზრუნველყოფენ, რომ ასეთი თხოვნის წარდგენას არ მოჰყვება არასასურველი შედეგები განმცხადებლის ან მისი ოჯახის წევრებისათვის.

2. ბავშვს, რომლის მშობლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, უფლება აქვს, განსაკუთრებული ვითარების გარდა, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებების მე-9 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვისა და მისი მშობლების უფლებას დატოვონ ნებისმიერი ქვეყანა, სამშობლოს ჩათვლით, და დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. ნებისმიერი ქვეყნის დატოვების უფლების მიმართ მოქმედებს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის (ordre public), ჯანმრთელობის ან მოსახლეობის ზნეობრიობის თუ სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის და შეესატყვისება წინამდებარე კონვენციით აღიარებულ სხვა უფლებებს.

მუხლი 11.

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს ღონობენ იმისათვის, რომ ბავშვები უკანონოდ არ გაიყვანონ ან უკანონოდ არ დატოვონ საზღვარგარეთ.

2. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადებას ან მოქმედ ხელშეკრულებებთან შეერთებას.

მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად

გამოთქვას ეს შეხედულებები ყველა საკითხზე, რომლებიც ბავშვს ეხება, ამასთან ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად.

2. ამ მიზნით ბავშვს, კერძოდ ეძლევა შესაძლებლობა მოუსმინონ ბავშვის თაობაზე ნებისმიერი სასამართლო ან ადმინისტრაციული განხილვის დროს როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 13

1. ბავშვს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას - მიუხედავად საზღვრებისა, მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია და იდეა, ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით, ბავშვის არჩევნის მიხედვით.

2. ამ უფლების განხორციელება შეიძლება შეხვდეს ზოგ შეზღუდვას, თუმცა ეს შეიძლება იყოს ის შეზღუდვები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და რომლებიც აუცილებელია:

- a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის, ან
- b) სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის (ordre public), ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობრიობის დაცვისათვის.

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის უფლებას აზრის, სინდისის და სარწმუნოების თავისუფლებაზე.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობელთა და შესაბამის შემთხვევებში მეურვეთა უფლებებსა და მოვალებებს უხელმძღვანელონ ბავშვს მისი უფლების განხორციელებაში იმ მეთოდით, რომელიც ეთანხმება ბავშვის განვითარებად უნარს.

3. სარწმუნოების ან რწმენის აღსრულების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობრიობისა და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის.

მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას ასოციაციებისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლებაზე.

2. მოცემული უფლების განხორციელების მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რაიმე შეზღუდვა, იმათ გარდა, რომლებიც გამოიყენება კანონის შესაბამისად და რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის (ordre public) ინტერესებისათვის, ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობრიობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის.

მუხლი 16

1. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობაზე ან კორესპონდენციის საიდუმლოებაზე მისი უფლების განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი.

2. ბავშვს უფლება აქვს, რომ კანონმა დაიცვას მსგავსი ჩარევისა ან ხელყოფისაგან.

მუხლი 17

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ ბავშვისთვის ინფორმაციისა და სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან მიღებული მასალების, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაციებისა და მასალების მისაწვდომობას, რომელთა მიზანია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობის, აგრეთვე, ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები -

a) წაახალისებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს იმ ინფორმაციისა და მასალების გასავრცელებლად, რომლებიც სასარგებლოა ბავშვისათვის სოციალური და კულტურული თვალსაზრისით და გამოხატავს 29-ე მუხლის სულისკვეთებას;

b) წაახალისებენ საერთაშორისო თანამშრომლობას სხვადასხვა კულ-

ტურული, ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან ასეთი ინფორმაციისა და მასალების მოძიებაში, გაცვლასა და გავრცელებაში;

c) წაახალისებენ საბავშვო ლიტერატურის გამოშვებასა და გავრცელებას;

d) წაახალისებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რათა მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ბავშვის ენობრივ მოთხოვნილებებს, რომელიც მიეკუთვნება რომელიმე უმცირესობის ჯგუფს ან მკვიდრ მოსახლეობას;

e) წაახალისებენ იმ ინფორმაციისა და მასალებისაგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების დამუშავებას, რომელთაც ზიანი მოაქვთ მისი კეთილდღეობისათვის მე-13 და მე-18 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს ღონობენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისთვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპი. მშობლებს ან, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისთვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.

2. წინამდებარე კონვენციაში მოცემულ უფლებათა გარანტიისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები სათანადო დახმარებას უწყვენ მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს ბავშვის აღზრდის მოვალეობის შესრულებაში და უზრუნველყოფენ საბავშვო დაწესებულებათა ქსელის განვითარებას.

3. მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც მუშაობენ, უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ მათთვის განკუთვნილი ბავშვთა მოვლის სამსახურებითა და დაწესებულებებით.

მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებას ხმარობენ იმ მიზნით, რომ ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეებისა ან

ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მიერ ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისგან, შეურაცხყოფისგან თუ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით.

2. დაცვის ასეთი ღონისძიებები, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს ეფექტურ პროცედურებს სოციალური პროგრამების დამუშავებისათვის იმ მიზნით, რათა საჭირო მხარდაჭერა აღმოუჩინონ ბავშვსა და იმათ, ვინც მასზე ზრუნავენ, აგრეთვე ხელი შეუწყონ ბავშვისადმი სისასტიკის ზემოთ აღნიშნული შემთხვევების თავიდან აცილების, წინასწარი გამოვლენის, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობისა და შემდგომი ღონისძიებების სხვა ფორმათა განხორციელებას საჭიროების შემთხვევაში სასამართლო პროცედურის აღძვრისათვის.

მუხლი 20

1. ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს და რომელსაც მისივე საუკეთესო ინტერესებისათვის არ შეუძლია დარჩეს ასეთ გარემოში, აქვს სახელმწიფოს მხრივ განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება.

2. მონაწილე სახელმწიფოები თავიანთი ეროვნული კანონების შესაბამისად უზრუნველყოფენ ასეთ ბავშვზე მზრუნველობის შეცვლას.

3. ასეთი ზრუნვა შეიძლება მოიცავდეს, კერძოდ, აღსაზრდელად გადაცემას, მაჰმადიანური სამართლით "კაფალას" - შვილად აყვანას ან, თუ საჭიროა, ბავშვის მომვლელ შესაბამის დაწესებულებაში მის მოთავსებას. მზრუნველის შეცვლის ვარიანტების განხილვისას სათანადოდ უნდა იყოს გათვალისწინებული ბავშვის აღზრდის მემკვიდრეობითობის სასურველობა და მისი ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური და კულტურული კუთვნილება და დედაენა.

მუხლი 21

მონაწილე სახელმწიფოები, რომლებშიც ცნეს ან ნებადართულია შვილად აყვანის სისტემა, უზრუნველყოფენ, რომ უწინარესად და უპირატესად გათვალისწინებული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები და,

ა) უზრუნველყოფენ, რომ ბავშვის შვილად აყვანის ნებას რთავდეს მხოლოდ კომპეტენტური ხელისუფლება, რომელიც გამოყენებული კანონებისა და პროცედურების შესაბამისად და საქმესთან დაკავშირებული სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრავს, რომ შვილად აყვანა დასაშვებია მშობლების, ნათესავებისა და კანონიერი მეურვეების მხრივ. ბავშვის სტატუსის გამო და რომ, თუ საჭიროა, დაინტერესებულმა პირებმა გაცნობიერებული თანხმობა მისცენ შვილად აყვანაზე ისეთი კონსულტაციის საფუძველზე, როგორც საჭირო გახდება;

ბ) ცნობენ, რომ შვილად აყვანა სხვა ქვეყანაში შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება, თუ ბავშვი არ შეიძლება აღსაზრდელად გადაეცეს ან შეუერთდეს ოჯახს, რომელიც შეიძლება უზრუნველყო მისი აღზრდა ან შვილად აყვანა, და თუ დაბადების ქვეყანაში ბავშვის მოვლის რაიმე უზრუნველყოფა შეუძლებელია;

გ) უზრუნველყოფენ, რომ სხვა ქვეყანაში ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში გამოიყენებოდეს ისეთივე გარანტიები და ნორმები, როგორც გამოიყენება ქვეყნის შიგნით შვილად აყვანის დროს;

დ) ყველაფერს იღონებენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ შვილად აყვანის დროს სხვა ქვეყანაში ბავშვის მოწყობამ მასთან დაკავშირებულ პირთ არ მისცეს გაუმართლებელი ფინანსური მოგება;

ე) როცა საჭიროა, ხელს უწყობენ წინამდებარე მუხლის მიზნის მიღწევას ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გზით და ცდილობენ ამ საფუძველზე უზრუნველყონ, რომ სხვა ქვეყანაში ბავშვებს აწყობდნენ კომპეტენტური ხელისუფლები და ორგანიზაციები.

მუხლი 22

1. მონაწილე სახელმწიფოები საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა უზრუნველყონ, რომ ბავშვმა, რომელსაც სურს მიიღოს ლტოლვილის სტატუსი ან რომელიც აღიარებული საერთაშორისო ან საშინაო სამართლითა და პროცედურებით ითვლება ლტოლვილად და რომელსაც თან ახლავან ან არ ახლავან მშობლები ან ნებისმიერი სხვა პირი, ისარგებლოს სათანადო დაცვითა და ჰუმანური დახმარებით წინამდებარე კონვენციაში მოცემული ადამიანის უფლებებით და იმ სხვა საერ-

თაშორისო ან ჰუმანიტარულ დოკუმენტებში აღიარებული უფლებებით, რომელთა მონაწილენი არიან აღნიშნული სახელმწიფოები.

2. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, როცა საჭიროა ხელს უწყობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და იმ სხვა კომპეტენტური სამთავრობათაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციების მცდელობას, რომლებიც თანამშრომლობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ასეთი ბავშვის დაცვაში და დახმარების გაწევაში და ნებისმიერი ლტოლვილი ბავშვის მშობლებისა თუ ოჯახის სხვა წევრთა მოძებნაში, რათა მიიღონ მთელ ოჯახთან შეერთებისათვის აუცილებელი ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, როცა არ შეიძლება მშობლების ან ოჯახის სხვა წევრების მონახვა, მაშინ ბავშვი, როგორც ამას ითვალისწინებს წინამდებარე კონვენცია, უზრუნველყოფილია ისეთივე დაცვით, როგორითაც ნებისმიერი სხვა ბავშვი, რომელიც რაიმე მიზეზის გამო მუდმივად ან დროებით მოკლებულია ოჯახურ გარემოს.

მუხლი 23

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ, რომ გონებრივად ან ფიზიკურად არასრულყოფილი ბავშვი უნდა ეწეოდეს სრულფასოვან და ღირსეულ ცხოვრებას იმ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ღირსებას, უძლიერებენ საკუთარი თავის რწმენას და უადვილებენ საზოგადოების ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.

2. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ არასრულფასოვანი ბავშვის უფლებას განსაკუთრებულ ზრუნვაზე და, რესურსების არსებობის პირობებში, წახალისებენ და უზრუნველყოფენ ამ უფლების მქონე ბავშვსა და მისი მზრუნველობისთვის პასუხისმგებელთა ისეთი დახმარებით, რომელზეც შეტანილია თხოვნა და რომელიც შეესაბამება ბავშვისა და მისი მშობლების ან იმ სხვა პირთა მდგომარეობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვზე მზრუნველობას.

3. არასრულფასოვანი ბავშვის განსაკუთრებულ საჭიროებათა ცნობის ნიშნად, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დახმარება შეძლებისდაგვარად უფასოდ გაიცემა, მშობლებისა და ბავშვზე მზრუნველობის უზრუნველმყოფი სხვა პირების ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, და მიზნად ისახავს არასრულფასოვანი ბავშვისთვის უზრუნველყოს ეფექტური შესაძლებლობა - ისარგებლოს საგანმანათლებლო,

სამედიცინო, ჯანმრთელობის აღმდგენი, პროფესიული და შრომითი საქმიანობისათვის მომზადების მომსახურებით და დასვენების საშუალებებით, რაც ბავშვს, შეძლებისდაგვარად, ჩართავს სოციალურ ცხოვრებაში, რითაც მიიღწევა მისი პიროვნების განვითარება კულტურული და სულიერი განვითარების ჩათვლით.

4. მონაწილე სახელმწიფოები საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით უზრუნველყოფენ არასრულფასოვანი ბავშვების პროფილაქტიკური ჯანდაცვისა და სამედიცინო, ფსიქოლოგიური და ფუნქციური მკურნალობის დარგში სათანადო ინფორმაციის გავრცელებას რეაბილიტაციის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების მეთოდებზე ინფორმაციის გავრცელების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას იმისათვის, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა განავრცონ ამ დარგში თავიანთი შესაძლებლობები და ცოდნა, გაიმდიდრონ გამოცდილება. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნებებს.

მუხლი 24

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ბავშვის უფლებას ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის აღდგენის სისტემის უფრო სრულყოფილი მომსახურებით და დაავადებათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის სხვა საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ უზრუნველყონ, რომ გამოუკლებლივ ყველა ბავშვს ჰქონდეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მსგავსი მომსახურებით სარგებლობის უფლება.

2. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ მიაღწიონ მოცემული უფლების სრულ განხორციელებას და კერძოდ, საჭირო ღონისძიებებს მიმართავენ:

a) ჩვილთა სიკვდილიანობის დონისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისათვის;

b) ყველა ბავშვისთვის საჭირო სამედიცინო დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისათვის, იმისათვის, რომ უპირველესი ყურადღება დაეთმოს პირველადი სამედიცინო-სანიტარიული დახმარების გაწევას;

c) დაავადებებთან და შიმშილობასთან ბრძოლისათვის, მათ შორის

პირველადი სამედიცინო-სანიტარიული დახმარების ფარგლებში, ადვილად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიისა და საკმაო სურსათითა და სასმელი წყლით მომარაგების გზით, გარემოს გაჭუჭყიანების საშიშროებისა და რისკის გათვალისწინებით;

d) დედებისთვის მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სათანადო სამსახურის გაწვევისათვის;

e) საზოგადოების ყველა ფენის, კერძოდ, მშობლებისა და ბავშვებისათვის, ბავშვთა ჯანმრთელობისა და კვების, ძუძუს წოვების უპირატესობების გაცნობის უზრუნველყოფისათვის, ჰიგიენის, ბავშვის გარშემო სანიტარიის დაცვისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების, აგრეთვე განათლების ხელმისაწვდომობისა და ცოდნის გამოყენებაში მხარდაჭერისათვის;

f) პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარების სფეროში საგანმანათლებლო მუშაობის გაშლისა და ოჯახის სიდიდის დაგეგმვისათვის.

3. მონაწილე სახელმწიფოები ნებისმიერ ეფექტურ და საჭირო ღონისძიებებს მიმართავენ იმ ტრადიციული პრაქტიკის აღმოფხვრისათვის, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

4. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ წაახალიონ საერთაშორისო თანამშრომლობა და განავითარონ იგი მოცემულ მუხლში აღიარებული უფლების სრული განხორციელების თანდათანობით მიღწევისათვის. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნებებს.

მუხლი 25

მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ კომპეტენტური ორგანოების მიერ მოვლის მიზნით სამეურვეოდ გამწესებული ბავშვის უფლებას მის დაცვაზე, ან ფიზიკურ თუ ფსიქიკურ მკურნალობაზე, ბავშვისთვის გაწეული მკურნალობის, ბავშვზე ასეთ მკურვეობასთან დაკავშირებული სხვა პირობების პერიოდულ შეფასებაზე.

მუხლი 26

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის ყველა სიკეთით, მათ შორის სოციალური დაზღვევით, და საჭირო ღონისძიებებს მიმართავენ ამ უფლების

სრული განხორციელებისათვის თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

2. როცა საჭიროა, ეს შეღავათები ეძლევათ ბავშვსა და მისი რჩენისათვის პასუხისმგებელ პირებს მათი რესურსებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე ბავშვის მიერ ან მისი სახელით ამ შეღავათების მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მოსაზრების გათვალისწინებით.

მუხლი 27

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას ცხოვრების იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

2. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

3. მონაწილე სახელმწიფოები ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში საჭირო ზომებს მიმართავენ იმისთვის, რომ დახმარება გაუწიონ მშობლებსა და ბავშვთა აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში, თუ საჭიროა მატერიალურ დახმარებას უწყვეტ და მხარს უჭერენ პროგრამებს, განსაკუთრებით საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

4. მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს ღონობენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ მშობლების ან სხვა, ფინანსურად პასუხისმგებელ პირთა მიერ ბავშვის რჩენა, როგორც მონაწილე სახელმწიფოს შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. კერძოდ, თუ ბავშვისთვის ფინანსურად პასუხისმგებელი პირი და ბავშვი სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთებას ან ასეთი ხელშეკრულებების დადებას, აგრეთვე სხვა შესაბამისი შეთანხმებების მიღწევას.

მუხლი 28

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ბავშვის უფლებას განათლებაზე და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების თანდათანო-

ბით მიღწევის მიზნით ისინი, კერძოდ:

- a) აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას;
 - b) ხელს უწყობენ როგორც ზოგადი, ისე პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის მათს ხელმისაწვდომობას და ახორციელებენ ისეთ საჭირო ღონისძიებებს, როგორცაა უფასო განათლების შემოღება და საჭიროების შემთხვევაში ფინანსური დახმარების გაწევა;
 - c) უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ყველასთვის, თითოეულის უნარის მიხედვით, ყველა საჭირო საშუალების დახმარებით;
 - d) უზრუნველყოფენ განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის;
 - e) ახორციელებენ ღონისძიებებს სკოლებში რეგულარული დასწრებისათვის ხელის შესაწყობად და სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად.
2. მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს ღონობენ იმისთვის, რომ სასკოლო დისციპლინა დაცული იყოს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეყრდნობა ბავშვის ადამიანურ ღირსებათა პატივისცემასა და წინამდებარე კონვენციას.
3. მონაწილე სახელმწიფოები წაახალისებენ და ავითარებენ საერთაშორისო თანამშრომლობას იმ საკითხებში, რომლებიც ეხება განათლების, კერძოდ, მთელ მსოფლიოში უმეცრებისა და წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისათვის ხელშეწყობას და სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების მისაწვდომობას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებებს.

მუხლი 29

1. მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმებული არიან, რომ ბავშვის განათლების მიზანია:

- a) ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარის სრული განვითარება;
- b) ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების, აგრეთვე გაერ-

თანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გაცხადებული პრინციპების პატივისცემის ჩანერგვა;

ც) პატივისცემის ჩანერგვა მშობლებისადმი, მისი კულტურული თვითმყოფადობის, ენისა და ღირებულებებისადმი, იმ ქვეყნის ეროვნული ღირებულებებისადმი, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს და მისი საკუთარისგან განსხვავებული ცივილიზაციისადმი;

დ) თავისუფალ საზოგადოებაში ურთიერთგაგების, მშვიდობის, მიმტკვებლობის, ქალისა და მამაკაცის, ყველა ხალხის, ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური ჯგუფების, მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის პირთა თანასწორობისა და მეგობრობის სულისკვეთებით თავისუფალ საზოგადოებაში ბავშვის შეგნებული ცხოვრებისათვის მომზადება;

ე) გარემო ბუნებისადმი პატივისცემის ჩანერგვა.

2. წინამდებარე ან 28-ე მუხლის არც ერთი ნაწილი არ განიხილება, როგორც ცალკეული პირებისა და ორგანოების თავისუფლების შემზღუდავი იმაში, რომ მათ შექმნან სასწავლო დაწესებულებები და უხელმძღვანელონ მათ წინამდებარე მუხლის 1 პუნქტში მოცემული პრინციპების მუდმივი დაცვისა და იმ მოთხოვნის შესრულების პირობებში, რომ ასეთ სასწავლო დაწესებულებებში მიღებული განათლება იმ მინიმალურ ნორმებს მაინც შეესაბამებოდეს, რომლებიც შეიძლება სახელმწიფომ დაადგინოს.

მუხლი 30

იმ სახელმწიფოებში, სადაც ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობანი ან მკვიდრი მოსახლეობის პირები ცხოვრობენ, ბავშვს, რომელიც განეკუთვნება ასეთ უმცირესობებს ან მკვიდრ მოსახლეობას, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე, რომ თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლოს კულტურით, იწამოს თავისი რელიგია და შეასრულოს მისი წეს-ჩვეულებანი, აგრეთვე ილაპარაკოს დედაენაზე.

მუხლი 31

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ბავშვის უფლებას დასვენებასა და თავისუფალ დროზე, ასაკისათვის შესაფერის თამაშებსა და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობაზე, აგრეთვე იმაზე, რომ მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში, მისდევდეს ხელოვნებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და წაახალისებენ ბავშვ-

ვის უფლებას ყოველმხრივი მონაწილეობა მიიღოს კულტურულ და შემოქმედებითს ცხოვრებაში, ხელს უწყობენ მისთვის სათანადო და თანასწორი შესაძლებლობების მიცემას კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობისათვის, თავისუფალი დროისა და დასვენებისათვის.

მუხლი 32

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ბავშვის უფლებას იმაზე, რომ დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისგან, რომელიც შეიძლება საშიში იყოს მისი ჯანმრთელობისთვის და ხელი შეუშალოს განათლების მიღებაში, ან ზიანი მიაყენოს მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები ახორციელებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სოციალურ ღონისძიებებს, აგრეთვე განათლების სფეროს ღონისძიებებს, რათა შესრულდეს წინამდებარე მუხლი. ამ მიზნით, ხელმძღვანელობენ რა სხვა საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებებით, მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ:

- a) ადგენენ სამუშაოზე მიღების მინიმალურ ასაკს ან მინიმალურ ასაკებს;
- b) განსაზღვრავენ სამუშაო დღის ხანგრძლივობისა და შრომის პირობების საჭირო მოთხოვნებს;
- c) ითვალისწინებენ სასჯელის ან სხვა სანქციების შესაბამის სახეობებს წინამდებარე მუხლის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 33

მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს ღონობენ, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სოციალური ღონისძიებების, აგრეთვე განათლების სფეროს ღონისძიებათა ჩათვლით, რათა დაიცვან ბავშვები შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ხმარებისგან და არ დაუშვან ბავშვების გამოყენება ამ ნივთიერებათა კანონსაწინააღმდეგო წარმოებაში ან ვაჭრობაში.

მუხლი 34

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ დაიცვან ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური გადაცდენის ყველა ფორმისგან. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეებზე ყველა საჭირო ღონისძიებას მიმართავენ იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ:

a) ბავშვის დაყოლიება ან ძალდატანება ნებისმიერი უკანონო სექსუალური მოქმედებისთვის;

b) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვების გამოყენება პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში;

c) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვთა გამოყენება პორნოგრაფიისა და პორნოგრაფიულ მასალებში.

მუხლი 35

მონაწილე სახელმწიფოები ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეებზე ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავიდან აიცილონ ბავშვთა მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი კონტრაბანდა ნებისმიერი მიზნებით და ნებისმიერი ფორმით.

მუხლი 36

მონაწილე სახელმწიფოები ბავშვს იცავენ ყველა სხვა ფორმის ექსპლუატაციისგან, რომელიც ზიანს მოუტანს ბავშვის კეთილდღეობის ნებისმიერ ასპექტს.

მუხლი 37

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:

a) ყოველი ბავშვი დაცული იყოს წამებისგან, ან სხვა მკაცრი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, ან სხვა სასჯელისგან. არც სიკვდილით დასჯა, არც მუდმივი პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს;

b) არც ერთ ბავშვს არ აღეკვეთოს თავისუფლება უკანონო ან თვითნებური გზით. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან სატუსალოში ჩასმა

ხორციელება კანონის შესაბამისად და გამოიყენება მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში;

ც) ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი სარგებლობდეს ჰუმანური მოპყრობით და პიროვნების განუყრელი ღირსების პატივისცემით მისი ასაკის პირთა მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისგან, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო, ჰქონდეს უფლება კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის ან შეხვედრის გზით, განსაკუთრებულ გარემოებათა გამოკლებით;

დ) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება დაუყოვნებლივ მიადწიოს სამართლებრივ და სხვა შესაბამის დახმარებას, აგრეთვე უფლება გააპროტესტოს თავისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მოუკერძოებელი ორგანოს წინაშე და რომ მათ დაუყოვნებლივ გამოიტანონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი საპროცესო მოქმედების მიმართ.

მუხლი 38

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულიებას კისრულობენ პატივი სცენ შეიარაღებული კონფლიქტების დროს მათ მიმართ გამოყენებულ, ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს და უზრუნველყონ მათი დაცვა.

2. მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ყველა შესაძლო ზომას, რათა უზრუნველყონ, რომ 15 წელს მიუღწეველი პირები პირდაპირ არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში.

3. მონაწილე სახელმწიფოები თავს იკავებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებში ყველა იმ პირის გაწვევისგან, რომელსაც არ მიუღწევია 15 წლის ასაკისათვის. 15 წელს გადაცილებულთა რიცხვიდან, რომელთაც ჯერ კიდევ არ შესრულებიათ 18 წელი, მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ შეკრების დროს უპირატესობა მისცენ უფრო ასაკოვან პირებს.

4. შეიარაღებული კონფლიქტების დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით თავისი ვალდებულების თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ყველაფერი იღონონ შეიარაღებულ კონფლიქტებში მოხვედრილ ბავშვთა დასაცავად და მათზე მეთვალყურეობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 39

მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს ღონობენ იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ იმ ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ აღდგენას და სოციალურ რეინტეგრაციას, რომელიც ნებისმიერი სახის გულგრილობის, ექსპლუატაციისა ან ღირსების შემლახავი მოქცევის, დასჯისა ან შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლია. ასეთი აღდგენა და რეინტეგრაცია უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის ჯანმრთელობის, საკუთარი თავის პატივისცემისა და ღირსების უზრუნველყოფ პირობებში.

მუხლი 40

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება ან აღიარებს მის დარღვევას, ისეთ მიმართვაზე, რომელიც ხელს უწყობს ბავშვში ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძობის განვითარებას, განუმტკიცებს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას და რომლის დროსაც გაითვალისწინება ბავშვის ასაკი და სურვილი ხელი შეუწყონ მის რეინტეგრაციას და საზოგადოებაში სასარგებლო როლის შესრულებას.

2. ამ მიზნებით და საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ:

a) არც ერთი ბავშვი არ ითვლებოდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევად, ბრალი არ ედებადეს და არ იქნეს აღიარებული დამნაშავედ იმ ქმედობის ან არქმედობის საბაბით, რომლებიც მათი ჩადენის დროს არ იყო აკრძალული ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით;

b) ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა ან ბრალად ედება მისი დარღვევა, ჰქონდეს სულ ცოტა შემდეგი გარანტიები:

I) უდანაშაულობის პრეზუმფცია, სანამ მისი დანაშაული არ იქნება დამტკიცებული კანონის თანახმად;

II) დაუყოვნებელი და უშუალო, საჭიროების შემთხვევაში, მშობლების ან კანონიერი მეურვეების მეშვეობით ინფორმირება მისთვის წაყენებუ-

ლი ბრალდების შესახებ და სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღება თავის დაცვის მომზადებისა და განხორციელებითა;

III) კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ სამართლიანი განხილვის მიმდინარეობის დროს განსახილველ საკითხზე დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღება კანონის შესაბამისად ადვოკატის ან სხვა შესაბამისი პირის თანდასწრებით, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს მისი ასაკის, მშობლების ან კანონიერი მეურვეების მდგომარეობის გათვალისწინებით;

IV) ძალდატანებისგან თავისუფლება მოწმის ჩვენებათა მიცემისას ან დანაშაულის აღიარებისას; ბრალდების მოწმეთა ჩვენებების შესწავლა ან დამოუკიდებლად ან სხვა პირთა დახმარებით და დაცვის მოწმეთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობისა და მათი ჩვენებების შესწავლის უზრუნველყოფა;

V) თუ ითვლება, რომ ბავშვმა დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საქმის განმეორებით განხილვა ზემდგომი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ კანონის და მასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ღონისძიების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

VI) თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ ბავშვს არ ესმის ან ვერ ლაპარაკობს გამოყენებულ ენაზე;

VII) მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ ხელი შეუწყონ კანონების, პროცედურების, იმ ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულების მქონე ორგანოებისა და დაწესებულებების დადგენას, რომლებმაც, როგორც ითვლება, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალი ედებათ ან აღიარებენ დანაშაულს მის დარღვევაში, და კერძოდ:

a) მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის ქვემოთაც, როგორც ითვლება, ბავშვებს არა აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი;

b) აუცილებლობის და სასურველობის შემთხვევაში ასეთი ბავშვების მიმართ ღონისძიებათა განხორციელებას სასამართლო განხილვის გარეშე ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით.

4. აუცილებელია ისეთი სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, როგორცაა მოვლა, მეურვეობისა და მეთვალყურეობის დებულება, საკონსულტაციო მომსახურება, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და დაწესებულებებში მოვლის შემცველი ისეთი ფორმების შემუშავება, რომლებიც შეესაბამება ბავშვის კეთილდღეობას, აგრეთვე მის მდგომარეობას და დანაშაულის ხასიათს.

მუხლი 41

ამ კონვენციაში არაფერი ეხება არც ერთ დებულებას, რომლებიც მეტწილად ხელს უწყობს ბავშვის უფლებათა განხორციელებას და შეიძლება შედიოდეს:

ა) მონაწილე სახელმწიფოს კანონში;

ან

ბ) მოცემული სახელმწიფოს მიმართ მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმებში.

ნაწილი II

მუხლი 42

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, სათანადო და ქმედითი საშუალებების გამოყენებით, ფართოდ გააცნონ როგორც უფროსებს, ისე ბავშვებს კონვენციის პრინციპები და დებულებები.

მუხლი 43

1. ამ კონვენციის შესაბამისად მიღებული ვალდებულებების შესრულებაში მონაწილე სახელმწიფოების მიერ მიღწეული პროგრესის განხილვის მიზნით, ფუნდებმა ბავშვის უფლებების კომიტეტი, რომელიც ასრულებს ქვემოთ გათვალისწინებულ ფუნქციებს.

2. კომიტეტში შედის ათი ექსპერტი, რომლებსაც აქვთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და ცნობილი არიან კომპეტენტურობით წინამდებარე კონვენციით მოცემულ სფეროში. კომიტეტის წევრებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები თავიანთი მოქალაქეებიდან და გამოდიან პირადად; ამასთანავე ყურადღება მახვილდება სამართლიან გეოგრაფიულ განა-

წილებზე, აგრეთვე მთავარ უფლებრივ სისტემებზე.

3. კომიტეტის წევრები აირჩევიან მონაწილე სახელმწიფოების მიერ დასახელებულ სიაში შეტანილ პირთაგან ფარული კენჭისყრით. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს ერთი პირი თავისი მოქალაქეებიდან.

4. კომიტეტში პირველი არჩევნები იმართება არა უგვიანეს ექვსი თვისა წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან, შემდგომ კი ორ წელიწადში ერთხელ. უკიდურეს შემთხვევაში ყოველ არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს მიმართავს წერილით და სთავაზობს დაასახელონ თავიანთი კანდიდატურები ორი თვის ვადაში. შემდეგ გენერალური მდივანი ანბანური წესით ადგენს ამგვარად დასახელებული ყველა კანდიდატის სიას იმ მონაწილე სახელმწიფოების მითითებით, რომლებმაც დაასახელეს ეს პირები და ამ სიას წარუდგენს წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს.

5. არჩევნები იმართება მონაწილე სახელმწიფოთა თათბირებზე, რომლებსაც გენერალური მდივანი იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში, ამ თათბირებზე, სადაც მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი ქმნის კვორუმს, კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ დამსწრე და ხმის მიცემაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას.

6. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხწლიანი ვადით. მათ უფლება აქვთ ხელახლა არჩეულ იქნენ კანდიდატურის განმეორებითი დასახელების შემთხვევაში. პირველ არჩევნებში არჩეული ხუთი წევრის უფლებამოსილების ვადა მთავრდება ორწლიანი პერიოდის ბოლოს; პირველი არჩევნებისთანავე ამ ხუთ წევრს წილისყრით განსაზღვრავს თათბირის თავმჯდომარე.

7. კომიტეტის რომელიმე წევრის სიკვდილის ან თადარიგში გასვლის შემთხვევაში, ან თუ იგი რაიმე მიზეზით, ვეღარ ასრულებს კომიტეტის წევრის მოვალეობებს, კომიტეტის ამ წევრის დამსახელებელი მონაწილე სახელმწიფო თავის მოქალაქეთაგან დარჩენილი ვადისთვის ნიშნავს სხვა ექსპერტს, თუ კომიტეტი მოიწონებს მას.

8. კომიტეტი ადგენს პროცედურების საკუთარ წესებს.

9. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით.

10. კომიტეტის სესიები, როგორც წესი, იმართება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში ან ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს. კომიტეტი, როგორც წესი, თავის სესიებს მართავს ყოველწლიურად. კომიტეტის სესიების ხანგრძლივობა განისაზღვრება და საჭიროების შემთხვევაში ხელახლა განიხილება წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა თათბირზე გენერალური ასამბლეის თანხმობით.

11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს კომიტეტს საჭირო პერსონალით და მატერიალური საშუალებებით, რათა მან ამ კონვენციის შესაბამისად, ეფექტიანად განახორციელოს თავისი ფუნქციები.

12. ამ კონვენციის შესაბამისად დაფუძნებული კომიტეტის წევრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახსრებიდან ღებულობენ გენერალური ასამბლეის მიერ დაწესებულ გასამრჯელოს გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

მუხლი 44

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საშუალებით კომიტეტს წარუდგინონ მოხსენებები იმის თაობაზე, თუ რა იღონეს კონვენციაში აღიარებული უფლებების დამკვიდრებისათვის და რა პროგრესს მიაღწიეს ამ უფლებათა განხორციელებაში:

ა) მონაწილე სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში;

ბ) შემდგომ ყოველ ხუთ წელიწადში.

2. ამ მუხლის მიხედვით წარდგენილ მოხსენებებში მითითებული უნდა იყოს ფაქტორები და სირთულეები, თუ ასეთი რამ შეხვდათ, რომლებიც ზემოქმედებს ამ კონვენციის ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე. მოხსენებები აგრეთვე მოიცავენ საკმარის ინფორმაციას იმისათვის, რომ უზრუნველყონ კომიტეტის მიერ მოცემულ ქვეყანაში კონვენციის მოქმედების სრული გაგება.

3. მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც კომიტეტს წარუდგენს ყოვლისმომცველ პირველად მოხსენებას, არ სჭირდება წინამდებარე მუხლის მე-16 პუნქტის მიხედვით წარდგენილ შემდგომ მოხსენებებში

გამეოროს ადრე აღნიშნული ძირითადი ინფორმაცია.

4. კომიტეტს შეუძლია მონაწილე სახელმწიფოს მოსახლეობის და მათგან ბოთი ინფორმაცია, რომელიც ეხება ამ კონვენციის განხორციელებას.

5. მოხსენებები კომიტეტის საქმიანობის შესახებ, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საშუალებით, ორ წელიწადში ერთხელ წარედგინება გენერალურ ასამბლეას.

6. მონაწილე სახელმწიფოები საკუთარ ქვეყნებში უზრუნველყოფენ თავიანთი მოხსენებების ფართო საჯაროობას.

მუხლი 45

კონვენციის განხორციელებისთვის ეფექტური ხელშეწყობისა და ამ კონვენციით მოცულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით:

a) სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ წინამდებარე კონვენციის ისეთი დებულებების განხორციელების საკითხთა განხილვაში, რომლებიც მათ უფლებამოსილებაში შედის. თუ მიზანშეწონილად მიიჩნევა, კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და სხვა კომპენტენტურ ორგანოებს შესთავაზოს, რომ მათ წარმოადგინონ ექსპერტთა დასკვნა კონვენციის განხორციელების თაობაზე იმ სფეროებში, რომლებიც შედის მათი შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს სთხოვოს წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ იმ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროში შედის;

b) კომიტეტი, როცა ამას მიზანშეწონილად მიიჩნევა, სპეციალიზებულ დაწესებულებებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდში და სხვა კომპენტენტურ ორგანოებში წარადგენს მონაწილე სახელმწიფოების ნებისმიერ მოხსენებებს, რომლებიც მოიცავენ თხოვნას ტექნიკური კონსულტაციის ან დახმარების შესახებ ან მიუთითებენ ამის საჭიროებაზე, აგრეთვე კომიტეტის შენიშვნებსა და წინადადებებს მსგავსი

თხოვნებისა და მითითებების თაობაზე;

ც) კომიტეტს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს გენერალურ ასამბლეას წინადადება მისცეს გენერალურ მდივანს, მისი სახელით გამოიკვლიონ ცალკეული საკითხები, რომლებიც ბავშვის უფლებას ეხება;

დ) კომიტეტს შეუძლია წარადგინოს წინამდებარე კონვენციის 44-ე და 45-ე მუხლების შესაბამისად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობილი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები. ასეთი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები ეგზავნება ნებისმიერ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს და ეცნობება გენერალურ ასამბლეას მონაწილე სახელმწიფოთა შენიშვნებთან ერთად, თუ ასეთი რამ იქნება.

ნაწილი III

მუხლი 46

ეს კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოს ხელმოწერისათვის.

მუხლი 47

ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, რატიფიცირებული სიგელები შესანახად ჩაბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 48

ეს კონვენცია ღიაა მასთან ნებისმიერი სახელმწიფოს შეერთებისთვის. შეერთების დოკუმენტები შესანახად ჩაბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 49

1. ეს კონვენცია ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელისა ან შეერთე-

ბის დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსთვის, რომელიც რატიფიკაციას გაუკეთებს ამ კონვენციას ან შეუერთდება მას მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შემდეგ, წინამდებარე კონვენცია ასეთი სახელმწიფოსთვის ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელისა და შეერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 50

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორება და წარუდგინოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ამის შემდეგ გენერალური მდივანი შეთავაზებულ შესწორებას წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს თხოვნით, რომ მიუთითონ, მხარს უჭერენ თუ არა ამ წინადადების განსახილველად და კენჭისსაყრელად მონაწილე სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევას. თუ ასეთი შეტყობინების მიღებიდან ოთხი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოების ერთი მესამედი მაინც დაუჭერს მხარს ასეთ კონფერენციას, გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ამ კონფერენციაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ მიღებული შესწორება დასამტკიცებლად წარედგინება გენერალურ ასამბლეას.

2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მისი დამტკიცებისა და მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედის თანხმობის მიღების შემდეგ.

3. როდესაც შესწორება ძალაში შედის, იგი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც იგი მიიღეს, სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის კი სავალდებულო რჩება წინამდებარე კონვენციის დებულებები და ნებისმიერი წინა შესწორება, რომელიც მათ მიიღეს.

მუხლი 51

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ლებულობს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის რატიფიკაციის ან შეერთების მომენტში სახელმწიფოების მიერ გაკეთებული შენიშვნების ტექსტს.

2. შენიშვნა, რომელიც არ შეესაბამება ამ კონვენციის მიზნებსა და ამოცანებს, არ მიიღება.

3. შენიშვნები შეიძლება მოიხსნას ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინების გზით, რომელიც შემდეგ ამის თაობაზე აცნობებს ყველა სახელმწიფოს, ასეთი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების დღიდან.

მუხლი 52

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანისათვის წერილობითი შეტყობინების გზით. დენონსირება ძალაში შედის გენერალური მდივანის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი 53

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ინიშნება ამ კონვენციის დეპოზიტორად.

მუხლი 54

ამ კონვენციის დედანი, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, შესანახად ჩაბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

რის დასტურადაც ქვემოთ ხელმომწერნი, თავიანთი შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადოდ უფლებამოსილი სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ხელს აწერენ ამ კონვენციას.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

338 საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი დავით ჰაიჭაძე საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პახტანგ რეაულოშვილი.

თბილისი, 1994 წლის 21 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

339 საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკისა და კომუნალური მეურნეობის კომისიაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი დავით ჰაიჭაძე საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პახტანგ რეაულოშვილი.

თბილისი, 1994 წლის 21 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

340 საპარლამენტო ფრაქციების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

“საპარლამენტო ფრაქციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტაანო ნიკოლოზიძე.

თბილისი, 1994 წლის 21 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

341 გურამ მირიანაშვილის საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს გურამ მირიანაშვილი საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტაანო ნიკოლოზიძე.

თბილისი, 1994 წლის 21 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

342 “კავშირგაბმულობის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

“კავშირგაბმულობის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი ზილებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტაჩხა რეაქულიძე

თბილისი, 1994 წლის 21 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

343 ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. რატიფიცირებულ იქნეს კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ.

2. დავის რეგულირების წესად შეირჩეს კონვენციით გათვალისწინებული ორივე საშუალება:

ა) საარბიტრაჟო განხილვა კონვენციის მეორე დანართის პირველ ნაწილში მოცემული პროცედურის შესაბამისად;

ბ) სადავო საკითხის გადაცემა საერთაშორისო სასამართლოსათვის.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ აცნობოს დეპოზიტარს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კონვენციის რატიფიცირებისა და დავის რეგულირების არჩეული წესების შესახებ;

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

ა) ოთხ თვეში შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს წინადადებანი ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცი-

ის დებულებებთან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე;

ბ) კონვენციის რატიფიცირებასთან დაკავშირებით ერთ თვეში შექმნას სამთავრობო საკოორდინაციო კომისია და მიღებული გადაწყვეტილება აცნობოს დეპოზიტარს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

მანუჩარე მამუკაშვილი.

თბილისი, 1994 წლის 21 აპრილი.

კონვენცია

344 ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ

პრეამბულა

ხელშეშემდეგი მხარეები, რომლებმაც შევიცანით ბიოლოგიური მრავალფეროვნების წარუვალი ღირებულება, აგრეთვე, ბიოლოგიური მრავალფეროვნების და მისი კომპონენტების ეკოლოგიური, გენეტიკური, სოციალური და ესტეტიკური მნიშვნელობა,

შევიცანით აგრეთვე ბიოლოგიური მრავალფეროვნების დიდი მნიშვნელობა ბიოსფეროს სიცოცხლის უზრუნველყოფი სისტემების ეკოლოგიისა და შენარჩუნებისათვის,

ვადასტურებთ, რომ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება მთელი კაცობრიობის საერთო ამოცანაა,

კვლავ ვადასტურებთ, რომ სახელმწიფოებს საკუთარი ბიოლოგიური რესურსების განკარგვის სუვერენული უფლებები აქვთ,

ვადასტურებთ აგრეთვე, რომ სახელმწიფოები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ბიოლოგიური რესურსების თანაბარზომიერი გამოყენებისათვის,

შეფიქრიანებული ვართ იმით, რომ ბიოლოგიური მრავალფეროვნება არსებითად მცირდება ადამიანის ზოგიერთი სახის საქმიანობის შედეგად, შეგნებული გვაქვს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის და ცოდნის საერთო ნაკლებობა და სამეცნიერო-ტექნიკური და

ორგანიზაციული პოტენციალის განვითარების აუცილებლობა ამ პრობლემის საყოველთაო გააზრების მიზნით, რაც საფუძვლად დაედება შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას,

აღნიშნავთ, რომ საჭიროა წინასწარ განვკვირვოთ, თავიდან ავიცილოთ და ძირშივე აღკვეთოთ ბიოლოგიური მრავალფეროვნების მნიშვნელოვნად შემცირების ან დაკარგვის მიზეზები,

აღნიშნავთ აგრეთვე, რომ იმ შემთხვევებში, როცა იქმნება ბიოლოგიური მრავალფეროვნების მნიშვნელოვანი შემცირების ან დაკარგვის საფრთხე, უდავო სამეცნიერო ფაქტების უქონლობა ასეთი საფრთხის მინიმუმამდე შემცირების ან აღკვეთის ღონისძიებათა გადაღების საბაზი არ უნდა გახდეს,

აღნიშნავთ შემდგომ, რომ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების ძირითადი პირობაა ეკოსისტემების და ბუნებრივი ბინადრობის ადგილების *in-situ* შენარჩუნება, სიცოცხლის უნარიან სახეობათა პოპულაციების დაცვა და აღდგენა მათ ბუნებრივ პირობებში,

აღნიშნავთ შემდგომ, რომ *ex-situ* ღონისძიებებს, უპირატესად წარმოშობის ქვეყანაში, დიდი მნიშვნელობა აქვს,

ვცნობთ, რომ ტრადიციული ცხოვრების წესის მატარებელი ბევრი ადგილობრივი თემი და მკვიდრი, დიდად და ტრადიციულად დამოკიდებულია ბიოლოგიურ რესურსებზე და სასურველია სამართლიან საფუძველზე ერთობლივად სარგებლობდნენ სიკეთით, რომელიც დაკავშირებულია იმ ტრადიციული ცოდნის, სიახლეებისა და პრაქტიკის გამოყენებასთან, რომლებსაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასთან და მისი კომპონენტების თანაბარზომიერ გამოყენებასთან,

ვაღიარებთ აგრეთვე ქალების მნიშვნელოვან როლს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და თანაბარზომიერ გამოყენებაში და ვადასტურებთ ქალების ფართო მასშტაბის მონაწილეობის საჭიროებას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პოლიტიკის შემუშავებაში და განხორციელებაში ყველა დონეზე,

აღნიშნავთ სახელმწიფო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებსა და არასახელმწიფოებრივ სექტორს შორის საერთაშორისო, რეგიონალური და გლობალური თანამშრომლობის წახალისების მნიშვნელობას და აუცილებლობას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების და მისი კომპონენტების თანაბარზომიერი გამოყენების საქმეში,

ვცნობთ, რომ, თუ ახალ და დამატებით ფინანსურ რესურსებს გამოვყოფთ და შესაბამისი ტექნოლოგიებით სათანადოდ უზრუნველვყოფთ, ეს არსებითად გააფართოებს მსოფლიოს შესაძლებლობებს იმისთვის, რომ გადაიჭრას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემა,

ვცნობთ, რომ საჭიროა სპეციალური დებულება იმის თაობაზე, რომ დაკმაყოფილდეს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებანი, მათ შორის, გამოვყოთ ახალი და დამატებით ფინანსური რესურსები და სათანადოდ უზრუნველვყოთ შესაბამის ტექნოლოგიებით,

ამასთან დაკავშირებით, აღვნიშნავთ რა ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების და პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოების განსაკუთრებულ პირობებს,

ვცნობთ, რომ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას სჭირდება მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდება და რომ ასეთი, კაპიტალდაბანდებიდან მოსალოდნელია დიდძალი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მიღება,

ვცნობთ, რომ განვითარებადი ქვეყნების უპირველესი და უმთავრესი ამოცანებია ეკონომიკური და სოციალური განვითარება და სიღარიბის ლიკვიდაცია,

შევიცანით, რომ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას და თანაბარზომიერ გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს დედამიწის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათსა და ჯანმრთელობის დაცვაზე, აგრეთვე სხვა მოთხოვნილებანი, და როგორც გენეტიკური რესურსების, ისე ტექნოლოგიების მისაწვდომობას და მათ ერთობლივ გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ამოცანების გადაჭრაში,

აღვნიშნავთ, რომ საბოლოოდ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება და თანაბარზომიერი გამოყენება განამტკიცებს სახელმწიფოთა მეგობრულ ურთიერთობას და ხელს შეუწყობს მთელი კაცობრიობის მშვიდობის განმტკიცებას,

გვსურს, რომ განმტკიცდეს და შეივსოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების და მისი თანაბარზომიერი გამოყენების შესახებ არსებული საერთაშორისო შეთანხმებანი,

მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი შევინარჩუნოთ და თანაბარზომიერად გამოვიყენოთ ბიოლოგიური მრავალფეროვნება ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ,

შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. მიზნები

მოცემული კონვენციის მიზნებს, რომელთა მიღწევას უნდა ვესწრაფოდეთ მისი შესაბამის დებულებების თანახმად, წარმოადგენს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება მისი კომპონენტების თანაბარზომიერი გამოყენება და გენეტიკური რესურსების გამოყენებით ერთობლივი სარგებლის მიღება სამართლიან და თანასწორ საფუძველზე, მათ შორის იმ გზით, რომ ჯეროვნად მისაწვდომი იყოს გენეტიკური რესურსები და სათანადოდ გავუზიაროთ ერთმანეთს შესაბამისი ტექნოლოგიები ამ რესურსებზე და ტექნოლოგიებზე ყველა უფლების გათვალისწინებით, აგრეთვე საჭირო დაფინანსების გზით.

მუხლი 2.

ტერმინების გამოყენება კონვენციის მიზნებისათვის:

“ბიოლოგიური მრავალფეროვნება“ ნიშნავს ყველა წყაროს ცოცხალი ორგანიზმების ვარიაბელობას, მათ შორის, ხმელეთის, ზღვისა და სხვა წყლების ეკოსისტემებისა და ეკოლოგიური კომპლექსებისა, რომელთა ნაწილს თვითონვე წარმოადგენენ. ეს ცნება მოიცავს მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემების მრავალფეროვნებას.

“ბიოლოგიური რესურსები“ მოიცავს გენეტიკურ რესურსებს, ორგანიზმებს ან მათ ნაწილებს, პოპულაციებს ან ეკოსისტემების სხვა ნებისმიე ბიოტიკურ კომპონენტებს, რომელთაც ფაქტობრივი ან პოტენციური სარგებლობის მოტანა შეუძლიათ კაცობრიობისათვის.

“ბიოტექნოლოგია“ ნიშნავს ნებისმიერი სახეობის ტექნოლოგიას, რომელიც დაკავშირებულია ბიოლოგიურ სისტემათა, ცოცხალ ორგანიზმთა ან მათგან წარმოებულთა გამოყენებასთან პროდუქტების თუ პროცესების შესაქმნელად ან შესაცვლელად მათი კონკრეტული გამოყენების მიზნით.

“გენეტიკური რესურსების წარმოშობის ქვეყანა“ ნიშნავს ქვეყანას, რომელსაც აქვს ეს გენეტიკური რესურსები in-situ პირობებში.

“გენეტიკური რესურსების მიმწოდებელი ქვეყანა“ ნიშნავს ქვეყანას, რომელიც აწვდის გენეტიკურ რესურსებს, შეგროვებულს in-situ წყაროე-

ბიდან, მათ შორის ველურ და მოშინაურებულ სახეობათა პოპულაციებს, ან ex-situ წყაროებიდან მიღებულს, იმის მიუხედავად, წარმოშობილი არიან ამ ქვეყანაში თუ არა.

“მოშინაურებული ანუ კულტივირებული სახეობები“ ნიშნავს სახეობებს, რომელთა ევოლუციის პროცესზე გავლენას ახდენს ადამიანი თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

“ეკოსისტემა“ ნიშნავს მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა თანასაზოგადოებებს, აგრეთვე მათი გარემომცველი უსულო გარემოს დინამიკურ კომპლექსს, რომლებიც ურთიერთქმედებენ როგორც ერთიანი ფუნქციური მთლიანობა.

“ex-situ შენარჩუნება“ ნიშნავს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების შენარჩუნებას. მათი ბუნებრივი ბინადრობის ფარგლებს გარეთ.

“გენეტიკური მასალა“ ნიშნავს მცენარეული, ცხოველური, მიკრობული ან სხვა წარმოშობის ნებისმიერ მასალას, რომელიც შეიცავს მემკვიდრეობითობის ფუნქციურ ერთეულებს.

“გენეტიკური რესურსები“ ნიშნავს გენეტიკურ მასალას, რომელსაც ფაქტობრივი ან პოტენციური ღირებულება აქვს.

“ბინადრობის ადგილი“ ნიშნავს ადგილის ტიპს ან ამა თუ იმ ორგანიზმის ან პოპულაციის ბუნებრივი ბინადრობის ადგილს. “in-situ - პირობები“ ნიშნავს პირობებს, რომლებშიც არსებობენ გენეტიკური რესურსები ეკოსისტემების და ბინადრობის ბუნებრივი ადგილების ფარგლებში, ხოლო მოშინაურებული ან კულტივირებული სახეობების მიმართ - იმ გარემოში, რომელშიც მათ შეიძინეს თავიანთი დამახასიათებელი ნიშანთვისებები.

“დაცული რაიონი“ ნიშნავს გეოგრაფულად მონიშნულ ტერიტორიას, რომელიც გამოყოფილია, რეგულირდება და გამოიყენება კონკრეტული ბუნებადაცვითი მიზნების მისაღწევად.

“ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაცია“ ნიშნავს ორგანიზაციას, რომელსაც ქმნიან მოცემული რეგიონის სუვერენული სახელმწიფოები და რომელსაც მისმა წევრმა სახელმწიფოებმა მინიჭეს უფლებამოსილება ამ კონვენციით მოსაგვარებელ საკითხებში; სათანადოდ უფლებამოსილია, საშინაო პროცედურების შესაბამისად ხელი მოაწეროს, რატიფიკაცია უყოს, მიიღოს და მოიწონოს კონვენცია ან შეუერთდეს მას.

“თანაბარზომიერი გამოყენება“ ნიშნავს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების ისეთი სახით და ტემპით გამოყენებას, რომელიც გრძელვადიანი პერსპექტივით არ იწვევს ბიოლოგიური მრავალფეროვნების გამოფიტვას, ამასთან ინარჩუნებს უნარს დააკმაყოფილოს დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებები და შესაბამება მათს მისწრაფებებს.

“ტექნოლოგია“ მოიცავს ბიოტექნოლოგიას.

მუხლი 3.

პრინციპი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფოებს სუვერენული უფლება აქვთ დაამუშაონ საკუთარი რესურსები გარემოს დაცვის სფეროში თავიანთი პოლიტიკის შესაბამისად და პასუხს აგებენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი იურისდიქციის ფარგლებში ან მათი კონტროლით საქმიანობამ არ ავნოს სხვა სახელმწიფოების ან რაიონების გარემოს ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 4.

იურისდიქციის სფერო

თუ სხვა სახელმწიფოების უფლებები დაცულია და თუ კონვენციაში აშკარად არ არის გათვალისწინებული სხვა რამ, კონვენციის დებულებები გამოიყენება ყოველი ხელშემკვრელი მხარის მიმართ:

a) იმ მხრივ, რაც შეეხება ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტებს ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში; და

b) იმ მხრივ, რაც შეეხება პროცესებს და საქმიანობას, მათი შედეგების გამოვლინების ადგილის მიუხედავად, რომლებიც ხორციელდება მისი იურისდიქციით ან კონტროლით, როგორც ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში, ისევე ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 5.

თანამშრომლობა

ყოველი ხელშემკვრელი მხარე, რამდენადაც ეს შესაძლებელია და საჭიროა, სხვა ხელშემკვრელ მხარეებთან უშუალოდ ან, თუ საჭიროა, საერთაშორისო კომპეტენტური ორგანიზაციების მეშვეობით, ეროვნული

იურისდიქციის ფარგლებს გარეთ მდებარე რაიონების მიმართ და სხვა საკითხებში, რომლებიც ურთიერთსაინტერესოა, რათა შევინარჩუნოთ და თანაბარზომიერიად გამოვიყენოთ ბიოლოგიური მრავალფეროვნება.

მუხლი 6.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების და თანაბარზომიერი გამოყენების საერთო ღონისძიებანი

ყოველი ხელშემკვრელი მხარე თავისი კონკრეტული პირობების და შესაძლებლობის შესაბამისად:

ა) შეიმუშავეს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და თანაბარზომიერი გამოყენების ეროვნულ სტრატეგიას, გეგმებსა თუ პროგრამებს, ამ მიზნებს მთარგმნებს არსებულ სტრატეგიას, გეგმებსა თუ პროგრამებს, რომლებიც ასახავენ, კერძოდ, ამ კონვენციაში ჩამოყალიბებულ ღონისძიებებს, შესაბამის ხელშემკვრელ მხარეს რომ ეხება; და

ბ) რამდენადაც ეს შესაძლო და მიზანშეწონილია, ითვალისწინებს შესაბამის სექტორულ თუ სასექტორთაშორისო გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და თანაბარზომიერი გამოყენების ღონისძიებებს.

მუხლი 7.

განსაზღვრა და მონიტორინგი

ყოველი ხელშემკვრელი მხარე, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, კერძოდ, 8-10 მუხლების მიზნებისათვის:

ა) განსაზღვრავს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შენარჩუნებისა და თანაბარზომიერი გამოყენებისათვის, კატეგორიების საორიენტაციო იმ ნუსხის გათვალისწინებით, რომელიც მოყვანილია I დანართში;

ბ) ნიმუშების შერჩევით და სხვა მეთოდებით ახორციელებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მონიტორინგს, რომლებიც განსაზღვრულია ზემოთ მოყვანილი ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, უთმობს რა განსაკუთრებულ ყურადღებას იმ კომპონენტებს, რომელთა შენარჩუნებისთვისაც საჭიროა გადაუდებელი ღონისძიებები, აგრეთვე იმ კო-

მპონენტებს, რომლებიც თანაბარზომიერი გამოყენების ყველაზე მეტ შესაძლებლობებს იძლევა;

ც) განსაზღვრავს საქმიანობის პროცესებს და კატეგორიებს, რომლებიც მნიშვნელოვან საზიანო ზემოქმედებას ახდენენ ან შეუძლიათ მოახდინონ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და თანაბარზომიერ გამოყენებაზე, და ახორციელებს მათი შედეგების მონიტორინგს ნიმუშების შერჩევით და სხვა მეთოდების მეშვეობით; და

დ) ამა თუ იმ გზით აგროვებს და სისტემატიზაციაში მოჰყავს ის მონაცემები, რომლებიც მიღებულია განსაზღვრის და მონიტორინგის ღონისძიებების შედეგად ზემოთ მოყვანილი a, b და c ქვეპუნქტების შესაბამისად.

მუხლი 8.

in-situ-ს შენარჩუნება

ყოველი ხელშემკვრელი მხარე, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია:

a) ქმნის დაცული რაიონების ან ისეთი რაიონების სისტემას, სადაც საჭიროა სპეციალური ღონისძიებები ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად;

b) საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს დაცული რაიონების ან იმ რაიონების შერჩევას, შექმნის და რაციონალური გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპებს, სადაც საჭიროა სპეციალური ღონისძიებები ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად;

ც) არეგულირებს ან რაციონალურად იყენებს ბიოლოგიურ რესურსებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის დაცულ რაიონებში ან მათ ფარგლებს გარეთ, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შენარჩუნება და თანაბარზომიერი გამოყენება;

დ) ხელს უწყობს ეკოსისტემის, ბუნებრივი ბინადრობის ადგილების დაცვას და სახეობათა სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების შენარჩუნებას ბუნებრივ პირობებში;

ე) წაახალისებს ეკოლოგიურად დასაბუთებულ და მყარ განვითარებას დაცული რაიონების მიმდებარე რაიონებში ამ რაიონების დაცვისათვის ხელშეწყობის მიზნით;

ფ) ახორციელებს ღონისძიებებს დეგრადირებული ეკოსისტემის სარეაბილიტაციოდ ან აღსადგენად და ხელს უწყობს საფრთხეში მყოფ სახეობათა აღდგენას, კერძოდ, გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და რაციონალური გამოყენების სხვა სტრატეგიების მეშვეობით;

გ) ადგენს ან ხელს უწყობს ბიოტექნოლოგიის შედეგად შეცვლილი იმ ცოცხალი ორგანიზმების გამოყენებასთან და გამოთავისუფლებასთან დაკავშირებული რისკის რეგულირების, კონტროლის ან შეზღუდვის საშუალებებს, რომლებსაც შეიძლება მავნე ეკოლოგიური შედეგები მოჰყვეს, რამაც თავის მხრივ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა თანაბარზომიერ გამოყენებაზე, აგრეთვე საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას;

ხ) აღკვეთს იმ უცხო სახეობათა ინტროდუქციას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეკოსისტემებს, ბინადრობის ადგილებს ან სახეობებს, აკონტროლებს ან ანადგურებს ასეთ უცხო სახეობებს;

ი) ცდილობს შექმნას პირობები, რომლებიც საჭიროა გამოყენების არსებული მეთოდების შესათავსებლად ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასთან და მისი კომპონენტების თანაბარზომიერ გამოყენებასთან;

ი) თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს მკვიდრი და ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული ცხოვრების წილის გამომსახველი ცოდნის, ახალშემოღებული წესების და პრაქტიკის პატივისცემას, შენარჩუნებას და დაცვას, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და თანაბარზომიერ გამოყენებისათვის, ხელს უწყობს მათი უკეთ გამოყენების ისეთ გეგმებს ან პროგრამებს, რომლებიც ნაწილობრივ ასახავს მოცემულ კონვენციაში ჩამოყალიბებულ ღონისძიებებს და ეხება შესაბამის ხელშემკვრელ მხარეს, და ცოდნის, ახალშემოღებული წესების და პრაქტიკის მატარებლების მონაწილეობით და მოწონებით, აგრეთვე მათი მეშვეობით სამართლიან საფუძველზე მიღებული სარგებლის ერთობლივ გამოყენებას.

კ) შეიმუშავებს ან ახორციელებს საჭირო საკანონმდებლო ნორმებს და სხვა მარეგულირებელ დებულებებს საფრთხეში მყოფი სახეობებისა და პოპულაციების დასაცავად;

ლ) თუ მე-7 მუხლის თანახმად დგინდება ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე არსებითი საზიანო ზემოქმედება, არეგლამენტებს ან არეგულირებს საქმიანობის შესაბამის პროცესებს და კატეგორიებს; და

მ) თანამშრომლობს ფინანსური და სხვა დახმარების ხელშეწყობის

საქმეში in-situ შენარჩუნების იმ ღონისძიებებისთვის, რომლებიც აღნიშნულია ზემოთ მოყვანილი a)-1) ქვეპუნქტებში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.

მუხლი 9.

ex-situ-ს შენარჩუნება

ყოველი ხელშემკვრელი მხარე, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია და უწინარესად in-situ-ს ღონისძიებათა დამატებით:

a) ახორციელებს ღონისძიებებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების ex-situ-ს კომპონენტების შენარჩუნებისათვის, უპირატესად გენეტიკური რესურსების წარმოშობის ქვეყანაში;

b) ქმნის და იცავს პირობებს მცენარეების, ცხოველების და მიკროორგანიზმების ex-situ-ს შენარჩუნებისა და გამოკვლევისათვის, უპირატესად გენეტიკურად რესურსების წარმოშობის ქვეყანაში;

c) ახორციელებს საფრთხეში მყოფი ინდივიდების აღდგენის და რეაბილიტაციის ღონისძიებებს და შესაბამის პირობებში ახდენს მათ რენტროდუქციას ბუნებრივი ბინადრობის ადგილებში;

d) არეგლამენტებს და არეგულირებს ბუნებრივი განახლების ადგილებში ბიოლოგიური რესურსების შეგროვებას ex-situ-ს შენარჩუნების მიზნით, რათა საფრთხე არ შეექმნას in-situ ეკოსისტემების და სახეობათა პოპულაციებს, იმ შემთხვევათა გარდა, როცა საჭიროა სპეციალური დროებითი ღონისძიებანი ex-situ ზემოაღნიშნული c) ქვეპუნქტის შესაბამისად; და

e) თანამშრომლობს, რათა ფინანსურად და სხვაგვარად ხელი შეუწყოს ex-situ-ს შენარჩუნების ღონისძიებებს, რომლებიც მოყვანილია ზემოაღნიშნულ და a)-d) ქვეპუნქტებში, აგრეთვე ex-situ-ს პირობების შექმნას და შენარჩუნებას განვითარებად ქვეყნებში.

მუხლი 10.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების თანაბარზომიერი გამოყენება

ყოველი ხელშემკვრელი მხარე, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია:

a) ითვალისწინებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა

და თანაბარზომიერი გამოყენების საკითხების განხილვას ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

b) ბიოლოგიური რესურსების გამოყენების სფეროში მიმართავს ღონისძიებებს, რათა თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე შეამციროს ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე არახელსაყრელი ზემოქმედება;

c) ინარჩუნებს და წაახალისებს ჩამოყალიბებული კულტურული ჩვევების შესაბამისად ბიოლოგიური რესურსების გამოყენების ტრადიციულ მეთოდებს, რომლებიც აკმაყოფილებს შენარჩუნების ან თანაბარზომიერი გამოყენების მოთხოვნებს;

d) ეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას იმ საქმეში, რომ დაზარალებულ რაიონებში, სადაც შემცირდა ბიოლოგიური მრავალფეროვნება, მდგომარეობის გამოსასწორებლად შეიძუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი; და

e) წაახალისებს თავისი ქვეყნის სამთავრობო ორგანოებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობას ბიოლოგიური რესურსების თანაბარზომიერი გამოყენების მეთოდების შემუშავებაში.

მუხლი 11.

სტიმულირების ღონისძიებანი

ყოველი ხელშემკვრელი მხარე, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ახორციელებს ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით გამართლებულ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას და თანაბარზომიერ გამოყენებას.

მუხლი 12.

კვლევა და კადრების მომზადება

ხელშემკვრელი მხარეები განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებათა შესაბამისად:

a) შეიმუშავებენ და ახორციელებენ სამეცნიერო-ტექნიკური სწავლების პროგრამებს და ამზადებენ კადრებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების და მისი კომპონენტების განსაზღვრის, შენარჩუნების და თანაბარზომიერი გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებისათვის, ხელს უწყობენ ასეთი კადრების სწავლებას და მომზადებას განვითარებადი ქვეყ-

ნების კონკრეტული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;

b) წაახლისებენ და ასტიმულირებენ კვლევას, რომელიც ხელს უწყობს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას და თანაბარზომიერ გამოყენებას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, კერძოდ, მხარეების კონფერენციების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რომლებიც მიიღება სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური კონსულტაციების საკითხებში დამხმარე ორგანოს რეკომენდაციების საფუძველზე; და

c) მე-16, მე-18 და მე-20 მუხლების დებულებათა შესაბამისად წაახლისებენ ბიოლოგიური მრავალფეროვნების კვლევით მიღებული სამეცნიერო შედეგების გამოყენებას ბიოლოგიური რესურსების შენარჩუნების და თანაბარზომიერი გამოყენების მეთოდების შემუშავების დროს და თანამშრომლობენ ასეთი შედეგების გამოყენებაში.

მუხლი 13.

საზოგადოებრიობის განათლება და ინფორმირების გაზრდა

ხელშემკვრელი მხარეები:

a) წაახლისებენ და ხელს უწყობენ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების დიდი მნიშვნელობის გაგებას და საამისო ღონისძიებებს, აგრეთვე მის პროპაგანდას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ამ საკითხების შეტანას სასწავლო პროგრამებში; და

b) შესაბამის შემთხვევებში თანამშრომლობენ სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების და თანაბარზომიერი გამოყენების საკითხებში სასწავლო პროგრამების და საზოგადოებრიობის ინფორმირების გაზრდის პროგრამების შემუშავების საქმეში.

მუხლი 14.

მაგნე შედეგების ზემოქმედების შეფასება და მინიმუმამდე შემცირება

1. ყოველი ხელშემკვრელი მხარე, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია:

a) ნერგავს შესაბამის პროცედურებს, რომლებსაც ესაჭიროება მის

მიერ შეთავაზებული პროექტების ეკოლოგიური ექსპერტიზა, რომელთაც შეუძლიათ არსებითი მავნე ზემოქმედება მოახდინონ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე, რათა აღკვეთოს ან მინიმუმამდე შეამციროს ასეთი შედეგები, და, როცა ეს მიზანშეწონილია, უზრუნველყოფს ასეთ პროცედურებში საზოგადოებრიობის მონაწილეობის შესაძლებლობებს;

b) შესაბამის ღონისძიებებს მიმართავს იმისთვის, რომ უზრუნველყოს თავისი პროგრამების და პოლიტიკის ეკოლოგიური შედეგების სათანადო აღრიცხვა, რომლებმაც შეიძლება არსებითი მავნე ზეგავლენა მოახდინონ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე;

c) ნაცვალგების საფუძველზე ხელს უწყობს ერთმანეთისათვის ცნობების და ინფორმაციის გაცვლას და კონსულტაციების მოწყობას თავისი იურისდიქციის ფარგლებში ან თავისი კონტროლით იმ საქმიანობის თაობაზე, რომელსაც შეუძლია არსებითი მავნე გავლენა მოახდინოს ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე სხვა სახელმწიფოებში ან ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ რაიონებში, რისთვისაც, შესაბამის შემთხვევებში, წახალისებს ორმხრივი, რეგიონალური თუ მრავალმხრივი შეთანხმების დადებას;

d) თუ გარდაუვალი ან სერიოზული საფრთხე თუ ზიანი ემუქრება ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას სხვა სახელმწიფოების იურისდიქციის რაიონებში ან ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, რომლის გამოძწვევი წყაროები მის იურისდიქციას ან კონტროლს ექვემდებარება, დაუყოვნებლივ აცნობებს სახელმწიფოებს, რომლებიც შეიძლება დაზარალდნენ ასეთი საფრთხისა თუ ზიანისგან, აგრეთვე მიმართავს ღონისძიებებს ასეთი საფრთხის თუ ზიანის აღსაკვეთად ან მინიმუმამდე შესამცირებლად;

e) ხელს უწყობს ეროვნულ ღონისძიებებს, როდესაც საჭიროა საგანგებო რეაგირება იმ მოქმედებასა და მოვლენებზე, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი და სხვა მიზეზებით და სერიოზულ და გარდაუვალ საფრთხეს უქმნის ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, და წახალისებს საერთაშორისო თანამშრომლობას, რომელიც ხელს უწყობს ასეთ ეროვნულ ღონისძიებებს და, სადაც ეს მიზანშეწონილია და შეთანხმებულია დაინტერესებულ ქვეყნებთან და ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალურ ორგანიზაციებთან, შეიმუშავებს ერთობლივ გეგმებს საგანგებო მდგომარეობის შემთხვევისათვის.

2. მხარეთა კონფერენცია გაწეული კვლევის საფუძველზე განიხილავს

პასუხისმგებლობის და მდგომარეობის გამოსწორების საკითხს, აღდგენის და კონპენსაციის ჩათვლით, იმ ზიანისათვის, რომელიც მიაღვა ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი პასუხისმგებლობა წმინდა საშინაო საკითხია.

მუხლი 15.

გენეტიკური რესურსების მისაწვდომობა

1. რამდენადაც აღიარებულია სახელმწიფოების სუვერენული უფლებები, თავიანთ ბუნებრივ რესურსებზე, გენეტიკური რესურსების მისაწვდომობის განსაზღვრის უფლება აქვთ ეროვნულ მთავრობებს და რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით.

2. ყოველი ხელშემკვრელი მხარე ცდილობს შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც გააიოლებს გენეტიკური რესურსების მისაწვდომობას სხვა ხელშემკვრელი მხარეების მიერ ეკოლოგიურად უსაფრთხო გამოყენების მიზნით, და არ დააწესებს ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ კონვენციის მიზნებს.

3. კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, გენეტიკურ რესურსებს, მიღებულს ხელშემკვრელი მხარისგან, რაზეც ლაპარაკია ამ მუხლში და მე-16 და მე-19 მუხლებში, მიეკუთვნება მხოლოდ ის რესურსები, რომლებიც წარმოდგენილია ამ ხელშემკვრელი მხარეების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ ამ რესურსების წარმოშობის ქვეყნებს, ან იმ მხარეებისგან, რომლებიც, კონვენციის შესაბამისად იღებენ გენეტიკურ რესურსებს.

4. მისაწვდომობა, ნებართვის მიღების შემთხვევაში, ხორციელდება შეთანხმებულ პირობებში და რეგულირდება ამ მუხლის დებულებებით.

5. გენეტიკური რესურსების მისაწვდომობა რეგულირდება იმ ხელშემკვრელი მხარის წინასწარ დასაბუთებული თანხმობის საფუძველზე, რომელიც იძლევა ამ რესურსებს, თუ ეს მხარე სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

6. ყოველი ხელშემკვრელი მხარე ცდილობს მოამზადოს და გასწვიოს იმ გენეტიკურ რესურსებზე დაფუძნებული მეცნიერული კვლევა, რომლებიც მიღებულია სხვა ხელშემკვრელი მხარეებისგან, მათი სრული მონაწილეობით და, როცა ეს შესაძლებელია, ამ ხელშემკვრელ მხარეებში.

7. ყოველი ხელშემკვრელი მხარე სათანადო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ ან პოლიტიკურ ღონისძიებებს მიმართავს და მე-16 და მე-19 მუხლების შესაბამისად, როცა ეს აუცილებელია, მე-20 და 21-ე მუხლებ-

ის შესაბამისად შექმნილი დაფინანსების მექანიზმის მეშვეობით, სამართლიან და თანაბარ საფუძველზე კვლევის და დამუშავების შედეგად, აგრეთვე გენეტიკურ რესურსების კომერციული და სხვა სახის გამოყენების შედეგად მიღებულ მოგებას იყენებს იმ ხელშემკვრელ მხარესთან ერთად, რომელიც იძლევა ასეთ რესურსებს. ასეთი ერთობლივი გამოყენება ხორციელდება შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 16.

ტექნოლოგიის მისაწვდომობა და გადაცემა

1. ყოველი ხელშემკვრელი მხარე ცნობს, რომ ტექნოლოგია მოიცავს ბიოტექნოლოგიას და რომ როგორც ტექნოლოგიის მისაწვდომობა, ისე მისი გადაცემა ხელშემკვრელ მხარეებს შორის კონვენციის მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი ელემენტია, და ვალდებულებას კისრულობს ამ მუხლის დებულებების შესაბამისად დანარჩენ ხელშემკვრელ მხარეებს მიაწოდონ და გაუიოლონ ტექნოლოგიების მისაწვდომობა, რომლებიც დაკავშირებულია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასთან და თანაბარზომიერ გამოყენებასთან, ან გულისხმობს გენეტიკური რესურსების გამოყენებას და არსებით ზიანს არ აყენებს გარემოს, აგრეთვე ხელი შეუწყონ ასეთი ტექნოლოგიების მათთვის გადაცემას.

2. ზემოაღნიშნულ I პუნქტში ტექნოლოგიის მისაწვდომობა და მისი გადაცემა განვითარებადი ქვეყნებისთვის უზრუნველყოფა და ან იოლდება სამართლიან და უფრო ხელსაყრელ პირობებში, მათ შორის შედგავთიან და პრეფერენციულ პირობებში, თუ მიღწეულია შეთანხმება და, როცა ეს აუცილებელია, დაფინანსების იმ მექანიზმების შესაბამისად, რომლებიც შექმნილია მე-20 და 21-ე მუხლებით. იმ ტექნოლოგიის შემთხვევაში, რომელიც განპირობებულია პატენტით და ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებებით, ასეთი მისაწვდომობა და გადაცემა უზრუნველყოფა იმ პირობებით, რომლებიც ითვალისწინებენ ინტელექტუალური საკუთრების საკმაო და ეფექტიან დაცვას და შეესაბამება მას. ეს პუნქტი გამოიყენება ქვემოთ მოყვანილი მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად.

3. ყოველი ხელშემკვრელი მხარე ასორციელდებს შესაბამის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ ან პოლიტიკურ ღონისძიებებს, რათა ხელშემკვრელი მხარეები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც წარმოადგენენ

განვითარებად ქვეყნებს და იძლევიან გენეტიკურ რესურსებს, უზრუნველყოფილი იყვნენ ამ რესურსების გამოყენების ტექნოლოგიების მისაწვდომობით, რათა ეს ტექნოლოგია გადაეცეს მათ შეთანხმებულ პირობებში და იმ ტექნოლოგიების ჩათვლით, რომლებიც დაცულია პატენტებითა და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით და აუცილებლობის შემთხვევაში მე-20 და 21-ე მუხლების დებულებათა საფუძველზე და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, აგრეთვე ქვემოთ მოყვანილი მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად.

4. ყოველი ხელშემკვრელი მხარე ახორციელებს სათანადო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ ან პოლიტიკურ ღონისძიებებს, რათა კერძო სექტორმა გააიილოს ზემოაღნიშნულ I პუნქტში მოხსენიებული ტექნოლოგიების მისაწვდომობა, და ამ ტექნოლოგიების ერთობლივი დამუშავება და გადაცემა როგორც სახელმწიფო დაწესებულებების, ისე კერძო სექტორის ინტერესებიდან გამომდინარე, განვითარებადი ქვეყნებისათვის, და ამასთან დაკავშირებით ასრულებს ვალდებულებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში.

5. ხელშემკვრელი მხარეები ცნობენ, რომ პატენტებსა და ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ კონვენციის განხორციელებაზე და თანამშრომლობენ ამ დარგში, ხელმძღვანელობენ რა ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლის ნორმებით, რათა ეს უფლებები ხელს უწყობდეს და არ ეწინააღმდეგებოდეს მის მიზნებს.

მუხლი 17.

ინფორმაციის გაცვლა

1. ხელშემკვრელი მხარეები ხელს უწყობენ ყველა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროდან ინფორმაციის გაცვლას, რომელიც შეეხება ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და თანაბარზომიერ გამოყენებას, განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებულ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

2. ინფორმაციის ასეთი გაცვლა გულისხმობს ტექნიკურ, სამეცნიერო და სოციალურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა შედეგების, აგრეთვე პროფესიული მომზადების და კვლევის პროგრამებზე ინფორმაციის, სპეციალური ადგილობრივი და ტრადიციული ცოდნის, როგორც ასეთის, გაცვლას, იმ ტექნოლოგიებ-

თან შეთავსებით, რომლებიც ნახსენებია მე-16 მუხლის I პუნქტში. გარდა ამისა, იგი შეიცავს, როცა ეს შესაძლებელია, ინფორმაციის რეპარტიციას.

მუხლი 18.

სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა

1. ხელშემკვრელი მხარეები ხელს უწყობენ საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და თანაბარზომიერი გამოყენების დარგში, როცა საჭიროა, - შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული დაწესებულებების მეშვეობით.

2. ყოველი ხელშემკვრელი მხარე ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას დანარჩენ ხელშემკვრელ მხარეებთან, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებთან, რათა განხორციელდეს კონვენცია, კერძოდ, ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მეშვეობით. ასეთი თანამშრომლობის ხელშეწყობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეროვნული შესაძლებლობების გაფართოებას და გაძლიერებას ადამიანთა რესურსების განვითარების გზით და შესაბამისი დაწესებულებების შექმნით.

3. მხარეთა კონფერენცია სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის წახალისებისა და გაადვილების მიზნით თავის პირველ თათბირზე განსაზღვრავს შუამდგომლობის მექანიზმის შექმნის გზებს.

4. ხელშემკვრელი მხარეები ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესაბამისად ამუშავებენ და ხელს უწყობენ თანამშრომლობის ფორმებს ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების დარგში, ადგილობრივი და ტრადიციული ტექნოლოგიების ჩათვლით, კონვენციის მიზნების შესაბამისად. ამისათვის ხელშემკვრელი მხარეები ხელს უწყობენ აგრეთვე თანამშრომლობას კადრების მომზადებაში და სპეციალისტების გაცვლის დარგში.

5. ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმებულად უწყობენ ხელს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამებისა და ერთობლივი საწარმოების შექმნას ისეთი ტექნოლოგიების დასამუშავებლად, რომლებსაც კავშირი აქვთ კონვენციის მიზნებთან.

მუხლი 19.

ტექნოლოგიის გამოყენება და მასთან დაკავშირებული მოგების განაწილება

1. ყოველი ხელშემკვრელი მხარე შესაბამის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ ან პოლიტიკურ ღონისძიებებს მიმართავს იმ მიზნით, რომ

უზრუნველყოფს ბიოტექნოლოგიურ კვლევაში იმ ხელშემკვრელი მხარის, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ეფექტიანი მონაწილეობა, რომლებიც აწვდიან გენეტიკურ რესურსებს ასეთი კვლევისათვის და, როცა ეს შესაძლებელია, თვით ხელშემკვრელ მხარეთა შორის.

2. ყოველი ხელშემკვრელი მხარე ყველა შესაძლო ღონისძიებას ხმარობს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ხელშემკვრელ მხარეებს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებს, რათა მათთვის სამართლიან და თანაბარ საფუძველზე პრიორიტეტულად მისაწვდომი იყოს თვით ხელშემკვრელი მხარეებისგან მოწოდებული გენეტიკური რესურსების ბიოტექნოლოგიებით მიღებული შედეგები და მოგება. ასეთი მისაწვდომობა ხორციელდება შეთანხმებული პირობებით.

3. მხარეები განიხილავენ ღონისძიებათა განხორციელების საჭიროებასა და პირობებს, შესაძლოა ოქმის ფორმით, კერძოდ, წინასწარ დასაბუთებული შეთანხმების ჩათვლით, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი პროცედურების დამუშავებას უსაფრთხო გადაცემისა და გამოყენების დარგში ნებისმიერი ცოცხალი შეცვლილი ორგანიზმებისა, რომლებიც წარმოადგენენ ბიოტექნოლოგიების შედეგებს და შეუძლიათ მავნე ზემოქმედება მთავარი მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და თანაბარზომიერ გამოყენებაზე.

4. ყოველი ხელშემკვრელი მხარე უშუალოდ წარუდგენს ან თავის იურისდიქციაში მყოფი ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირისგან, რომელიც მე-3 პუნქტში მოხსენიებულ ორგანიზმებს აწვდის, მოითხოვს წარუდგინოს ყოველგვარი ინფორმაცია გამოყენების წესებისა და უსაფრთხოების ტექნიკის შესახებ, რომლებსაც ხელშემკვრელი მხარე განსაზღვრავს ასეთ ორგანიზმზე მუშაობის დროს, აგრეთვე ყოველგვარი ინფორმაცია შესაბამისი კონკრეტული ორგანიზმების პოტენციურად მავნე ზემოქმედების შესახებ იმ ხელშემკვრელი მხარისთვის, რომელშიც ასეთი ორგანიზმები შეაქვთ.

მუხლი 20.

ფინანსური რესურსები

1. ყოველი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ეროვნულ დონეზე უზრუნველყოს ფინანსური დახმარება და სტიმულირება, რომლის მიზანი იქნება კონვენციის მიზნების მიღწევა საკუთარი ეროვნული გეგმების, პრიორიტეტებისა და პროგრამების შესაბამისად.

2. მხარეებს, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენენ, ახა-

ლი და დამატებითი ფინანსური რესურსები შემოაქვთ, რათა შესაძლებლობა მიეცეთ მხარეებს, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს წარმოადგენენ, დაფარონ შეთანხმებული მთელი დამატებითი ხარჯები, რომლებიც მათ ექნებათ ამ კონვენციის განხორციელებისას და მიიღონ მოგება მის დებულებათა შესრულებისას; ასეთი ხარჯები ერთმანეთს უნდა შეუთანხმონ განვითარებადი ქვეყნის მხარემ და 21-ე მუხლში მოხსენიებულმა ორგანიზაციულმა სტრუქტურამ მისაწვდომობის ღონისძიებების სტრატეგიის, საპროგრამო პრიორიტეტების, კრიტერიუმების შესაბამისად, აგრეთვე დამატებითი ხარჯების დაასლოებითი ნუსხის შესაბამისად, რომელსაც ადგენს მხარეთა კონფერენცია. დანარჩენ მხარეებს, მათ შორის ქვეყნებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში არიან, შეუძლიათ ნებაყოფლობით იკისრონ იმ მხარეთა ვალდებულებანი, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენენ. ამ მუხლის მიზნებისათვის მხარეთა კონფერენცია თავის პირველ თათბირზე ადგენს იმ მხარეთა ნუსხას, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენენ, და იმ მხარეთა ნუსხას, რომლებიც ნებაყოფლობით კისრულობენ განვითარებული ქვეყნების მხარის ვალდებულებებს. მხარეთა კონფერენცია პერიოდულად განიხილავს ნუსხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები. წახალისდება აგრეთვე ნებაყოფლობით საფუძველზე სხვა ქვეყნების შენატანები სხვა წყაროებიდან. ამ ვალდებულებათა შესრულებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ სახსრები ადეკვატურად, უეჭველად და დროულად შემოვა და რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ნუსხაში შეტანილი დაფინანსების მონაწილე მხარეების მიერ ხარჯების ერთობლივ გაწევას.

3. მხარეებს, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენენ, შეუძლიათ აგრეთვე შეიტანონ, ხოლო მხარეებს, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს წარმოადგენენ, შეუძლიათ ამ კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით გამოიყენონ ფინანსური რესურსები ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი არხებით.

4. ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა ეფექტიანი შესრულების უნარი მხარეებისა, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს წარმოადგენენ, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად ასრულებენ განვითარებული ქვეყნების მხარეები კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ რესურსებთან და ტექნოლოგიების გადაცემასთან, და მილიანად განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და სიღატაკის ლიკვიდაცია უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია მხარეებისათვის, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს წარმოადგენენ.

5. თავიანთ მოქმედებაში, რომელიც დაკავშირებულია დაფინანსებასთან და ტექნოლოგიების გადაცემასთან, მხარეები სრულად ითვალისწინებენ ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების კონკრეტულ მოთხოვნებს და განსაკუთრებულ მდგომარეობას.

6. ხელშემკვრელი მხარეები ითვალისწინებენ იმ განსაკუთრებულ პირობებსაც, რომლებიც ბიოლოგიური მრავალფეროვნების ადგილმდებარეობაზე და განაწილებაზე დამოკიდებულების შედეგია განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც კონვენციის მხარეებს წარმოადგენენ, განსაკუთრებით პატარა კუნძულოვან სახელმწიფოებში.

7. შედეგელობაში უნდა იყოს მიღებული აგრეთვე განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებული მდგომარეობა, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი საფრთხე ექმნებათ ეკოლოგიური თვალსაზრისით, როგორცაა ქვეყნები, რომლებსაც გვალვიანი და ნახევრად გვალვიანი ზონები, სანაპირო და მთავორიანი რაიონები აქვთ.

მუხლი 21.

დაფინანსების მექანიზმი

1. განვითარებადი ქვეყნების მხარეთათვის უსასყიდლო ან შეღავათიან საფუძველზე ფინანსური რესურსების მისაცემად აღნიშნული კონვენციის მიზნებისათვის იქმნება შესაბამისი მექანიზმი, რომლის ძირითადი ელემენტები ამ მუხლშია წარმოდგენილი. ამ კონვენციის მიზნებისათვის ეს მექანიზმი ფუნქციონირებს მხარეთა კონფერენციის ხელმძღვანელობით და მისი რეკომენდაციების შესაბამისად და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. მექანიზმი მოქმედებს იმ ორგანიზაციული სტრუქტურის მეშვეობით, რომლის შესახებაც მხარეთა კონფერენციამ შეიძლება გადაწყვეტილება თავის პირველსავე თათბირზე მიიღოს. კონვენციის მიზნებისათვის მხარეთა კონფერენცია განსაზღვრავს ღონისძიებებს, სტრატეგიას, პროგრამულ პრიორიტეტებს და კრიტერიუმებს, რომლებიც დაარეგულირებენ ასეთი რესურსების მისაწვდომობას და გამოყენებას. შესატანების შეტანისას ითვალისწინებენ, რომ საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს მე-20 მუხლში მოხსენიებული ფინანსური სახსრების უეჭველი, ადეკვატური და დროული მიღება რესურსებზე მოთხოვნის შესაბამისად, რომელთა ოდენობას პერიოდულად განსაზღვრავს მხარეთა კონფერენცია; ითვალისწინებენ აგრეთვე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულმა დაფინანსების მონაწილე მხარეებმა

ერთად გასწიონ ეს ხარჯები. ნებაყოფლობითი შესატანები შეიძლება შემოვიდეს აგრეთვე იმ მხარეებისგან, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენენ, აგრეთვე სხვა ქვეყნებისგან და სხვა წყაროებიდან. მექანიზმი მოქმედებს დემოკრატიულ და ღია მართვის სისტემის საფუძველზე.

2. აღნიშნული კონვენციის მიზნების შესაბამისად მხარეთა კონფერენცია თავის პირველ თათბირზე განსაზღვრავს ღონისძიებებს, სტრატეგიას და პროგრამულ პრიორიტეტებს, აგრეთვე დეტალურ კრიტერიუმებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც არეგულირებენ ფინანსური რესურსების მისაწვდომობას და გამოყენებას, მათ შორის ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც გულისხმობს ამ გამოყენების რეგულარულ კონტროლს და მის შეფასებას. იმ შესაბამის საორგანიზაციო სტრუქტურასთან კონსულტაციის შემდეგ, რომელსაც დავალებული აქვს დაფინანსების მექანიზმის საქმიანობის მართვა, მხარეთა კონფერენცია მიიღებს გადაწყვეტილებას ღონისძიებათა გამო, რომლებიც საჭიროა ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესასრულებლად.

3. ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან არა უადრეს ორი წლის შემდეგ, მერე კი რეგულარულად, მხარეთა კონფერენცია აჯამებს ამ მუხლის შესაბამისად შექმნილი დაფინანსების მექანიზმის, მათ შორის იმ კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ეფექტიანობას, რომლებზეც ლაპარაკია წინა მე-2 პუნქტში. ასეთი შეჯამების შედეგების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, იგი მიმართავს სათანადო ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მექანიზმის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა.

4. ხელშემკვრელი მხარეები განიხილავენ არსებული ფინანსური დაწესებულებების გაძლიერების საკითხს, რათა ფინანსური რესურსები გასცენ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და თანაბარზომიერი გამოყენებისათვის.

მუხლი 22.

სხვა საერთაშორისო კონვენციებთან კავშირი

1. კონვენციის დებულებები არ ეხება არც ერთი ხელშემკვრელი მხარის იმ უფლებებს და მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობს ნებისმიერი მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებიდან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ამ უფლებების და მოვალეობების განხორციელების შედეგები სერიოზულად საზიანო და საშიში იქნება ბიოლოგიური მრავალფეროვნებისათვის.

2. რაც შეეხება ზღვის გარემოს, ხელშემკვრელი მხარეები ამ კონვენციის დებულებებს ისე ახორციელებენ, რომ არ შელახონ სახელმწიფოთა უფლებები და მოვალეობები, რომლებიც გათვალისწინებულია საზღვაო კანონით.

მუხლი 23.

მხარეთა კონფერენცია

1. ამით ფუძნდება მხარეთა კონფერენცია. მხარეთა კონფერენციის პირველ თათბირს მოიწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამის დირექტორ-შემსრულებელი ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. შემდგომში მხარეთა კონფერენციის მორიგი თათბირები გაიმართება ისეთი პერიოდულობით, როგორც კონფერენცია დაადგენს თავის პირველ თათბირზე.

2. მხარეთა კონფერენციის რიგგარეშე თათბირები გაიმართება მაშინ, როცა კონფერენცია ჩათვლის საჭიროდ, ან ნებისმიერი მხარის წერილობითი თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ სამდივნოს მიერ თხოვნის გაგზავნიდან ექვსი თვის განმავლობაში ამ თხოვნას მხარს დაუჭერს მხარეთა სულ ცოტა მესამედი.

3. მხარეთა კონფერენცია ერთსულოვნად ათანხმებს და იღებს პროცედურის თავის წესებს და იმ სხვა ნებისმიერ დამხმარე ორგანოთა პროცედურების წესებს, რომელთა დაფუძნება მას შეუძლია, აგრეთვე საფინანსო წესებს, რომლებიც არეგულირებს სამდივნოს დაფინანსებას. ყოველ მომდევნო თათბირზე იგი ამტკიცებს ბიუჯეტს ფინანსური პერიოდის შემდგომ თათბირამდე.

4. მხარეთა კონფერენცია დღენიადაგ აღევნებს თვალყურს ამ კონვენციის შესრულებას და ამ მიზნით:

a) განსაზღვრავს 26-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაციის გადაცემის ფორმას და პერიოდულობას და განიხილავს ასეთ ინფორმაციას, აგრეთვე ნებისმიერი დამხმარე ორგანოს მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს;

b) განიხილავს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ სამეცნიერო, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ რეკომენდაციებს, რომლებიც წარმოდგენილია 25-ე მუხლის შესაბამისად;

c) საჭიროების კვალობაზე განიხილავს და იღებს ოქმებს 28-ე მუხლის შესაბამისად;

d) საჭიროების კვალობაზე განიხილავს და იღებს კონვენციის და მისი დანართების შესწორებებს 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად;

e) განიხილავს ნებისმიერი ოქმის, აგრეთვე მისი ნებისმიერი დანართის შესწორებებს, და თუ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო, მხარეებსაც ურჩევს მათ მიღებას;

f) საჭიროების კვალობაზე განიხილავს და იღებს ამ კონვენციის და-

მატებითს დანართებს 30-ე მუხლის შესაბამისად;

გ) აფუძნებს ისეთ დამხმარე ორგანოებს, კერძოდ სამეცნიერო და ტექნიკურ საკითხებში კონსულტაციებისათვის, რომლებიც საჭიროდ ჩათვლება ამ კონვენციის განსახორციელებლად;

h) სამდივნოს მეშვეობით კონტაქტებს ამყარებს კონვენციის აღმასრულებელ ორგანოებთან კონვენციის შესრულების საკითხებზე, რათა შემუშავდეს მათთან თანამშრომლობის შესაბამისი ფორმები; და

i) განიხილავს და ახორციელებს ნებისმიერ დამატებითს ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ამ კონვენციის მიზნების მისაღწევად იმ გამოცდილების თვალსაზრისით, რომელიც მისი განხორციელების პროცესში დაგროვდა.

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მისი სპეციალური დაწესებულებები და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო, აგრეთვე ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ არის კონვენციის მხარე, კონვენციის თათბირებზე შეიძლება წარმოდგენილი იქნენ მეთვალყურეებით. ნებისმიერ სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანოს და დაწესებულებას, რომელთაც აქვთ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების და თანაბარზომიერი გამოყენების სფეროში მუშაობის გამოცდილება და რომელთაც სამდივნოს შეატყობინეს, რომ სურთ მეთვალყურეებად დაესწრონ მხარეების კონფერენციის თათბირს, შეუძლიათ თათბირში მონაწილეობა, თუ ამის წინააღმდეგი არ არის მხარეთა თათბირის დამსწრეთა სულ ცოტა მესამედი. მეთვალყურეთა დაშვება და მონაწილეობა რეგულირდება პროცედურის იმ წესებით, რომელიც მიიღო მხარეთა კონფერენციამ.

მუხლი 24.

სამდივნო

1. ამ მუხლის შესაბამისად ფუძნდება სამდივნო. მას ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

a) მხარეთა კონფერენციის თათბირების ორგანიზაცია და მომსახურება, როგორც ეს გათვალისწინებულია 23-ე მუხლით;

b) ნებისმიერი ოქმით მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულება;

c) ამ კონვენციის შესაბამისად თავისი ფუნქციების შესრულებაზე მოხსენებების მომზადება და წარდგენა მხარეთა კონფერენციისათვის;

d) საქმიანობის კოორდინირება სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანოებთან, კერძოდ, ისეთი ადმინისტრაციული და სახელმეკრულებო შე-

თანხმებების დადება, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მისი ფუნქციების ნაყოფიერი შესრულებისათვის; და

ე) სხვა ისეთი ფუნქციების შესრულება, რომლებიც შეიძლება მხარეთა კონფერენციამ განსაზღვროს.

2. თავის პირველ მორიგ თათბირზე მხარეების კონფერენცია ნიშნავს სამდივნოს იმ არსებული კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვიდან, რომლებიც მზად არიან შეასრულონ სამდივნოს ფუნქციები ამ კონვენციის შესაბამისად.

მუხლი 25.

დამხმარე ორგანო სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური კონსულტაციებისათვის

1. ამით ფუძნდება დამხმარე ორგანო სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური კონსულტაციებით მხარეთა კონფერენციის უზრუნველსაყოფად და, საჭიროების კვალობაზე, სხვა მისი დამხმარე ორგანოების უზრუნველსაყოფად კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებული კონსულტაციებით. ეს ორგანო ღიაა ყველა მხარის მონაწილეობისათვის და მრავალდარგობრივი ხასიათი აქვს. მასში შედიან მთავრობათა წარმომადგენლები, რომლებიც კომპეტენტური არიან შესაბამის დარგში. იგი რეგულარულად წარუდგენს მხარეთა კონფერენციას მოხსენებებს თავისი მუშაობის ყველა ასპექტზე.

2. მხარეთა კონფერენციის ხელმძღვანელობით და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად და მისი თხოვნით ეს ორგანო:

ა) მეცნიერულად და ტექნიკურად აფასებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების მდგომარეობას;

ბ) აჩვენებს იმ ღონისძიებათა შედეგების სამეცნიერო და ტექნიკურ შეფასებებს, რომლებიც განხორციელდა კონვენციის დებულებების შესაბამისად;

გ) ავლენს ახალ, ნაყოფიერ და ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებს და "ნოუ-ჰაუს" ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და თანაბარზომიერი გამოყენებისათვის და იძლევა ასეთი ტექნოლოგიების შემუშავების ან გადაცემის გზებისა და საშუალებებისათვის ხელშეწყობის რეკომენდაციებს;

დ) იძლევა კონსულტაციებს სამეცნიერო პროგრამებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კვლევა-ძიების და შემუშავების სფეროში, რომლებიც დაკავშირებულია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასთან და თანაბარზომიერ გამოყენებასთან;

და ე) იძლევა პასუხებს სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური

და მეოჯლოლოგიური ხასიათის შეკითხვებზე, რომლებიც შეიძლება მხარეების კონფერენციამ მისცეს ორგანოს და მის დაქმნულ ორგანოებს.

3. ორგანოს ფუნქციები, გამგებლობის სფერო, ორგანიზაცია და საქმიანობის ხასიათი შეიძლება დააზუსტოს მხარეთა კონფერენციამ.

მუხლი 26.

მოსხენებები

ყოველი ხელშემკვერელი მხარე მხარეთა კონფერენციისაგან განსაზღვრული პეროდელობით წარუდგენს მხარეთა კონფერენციას მოსხენებს ამ კონვენციის დებულებების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების და მათი ეფექტიანობის შესახებ კონვენციის მიზნების მიღწევის თვალსაზრისით.

მუხლი 27.

დავის რეგულირება

1. ამ კონვენციის განმარტების ან გამოყენების დროს ხელშემკვერელ მხარეებს შორის დავის წამოჭრის შემთხვევაში დაინტერესებული მხარეები ცდილობენ სადავო საკითხი მოლაპარაკების გზით მოაგვარონ.

2. თუ დაინტერესებული მხარეები მოლაპარაკების გზით ვერ შეთანხმდებიან, მათ შეუძლიათ ერთობლივად მესამე მხარეს სთხოვონ დახმარება.

3. ამ კონვენციის რატიფიცირების, მიღების, მოწონების ან მასთან შეერთების შემთხვევაში ან ამის შემდეგ ნებისმიერ დროს, სახელმწიფოს ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალურ ორგანიზაციას შეუძლია დეპოზიტარს გაუგზავნოს წერილობითი განცხადება იმის თაობაზე, რომ სადავო საკითხის მოსაგვარებლად, რომელიც ზემოაღნიშნული პირველი პუნქტის ან მეორე პუნქტის დებულებების შესაბამისად ვერ გადაწყდა, სავალდებულოა ერთი ან ორივე შემდეგი საშუალებებიდან:

a) საარბიტრაჟო განხილვა იმ პროცედურის შესაბამისად, რომელიც მოცემულია II დანართის პირველ ნაწილში;

b) დავის გადაცემა საერთაშორისო სასამართლოსათვის.

4. თუ მოდავე მხარეებმა არ მიიღეს, წინა მე-3 პუნქტის შესაბამისად, ერთი და იგივე ან ნებისმიერი პროცედურა, მაშინ დავა განიხილება შემათანხმებული პროცედურის საფუძველზე II დანართის მე-2 ნაწილი შესაბამისად, თუ მხარეები სხვაგვარად არ მორიგდნენ.

5. ამ მუხლის დებულებები გამოიყენება ნებისმიერი ოქმის მიმართ, თუ ამ ოქმში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 28.

ოქმების მიღება

1. ხელშემკვერელი მხარეები თანამშრომლობენ კონვენციის ოქმების შემუშავებასა და მიღებაში.
2. ოქმები მიიღება მხარეთა კონფერენციის თათბირზე.
3. ნებისმიერი შეთავაზებული ოქმის ტექსტს სამდივნო ხელშემკვერელ მხარეებს უგზავნის ასეთი თათბირის გამართვამდე სულ ცოტა ექვსი თვით ადრე.

მუხლი 29.

კონვენციის ან ოქმების შესწორებანი

1. ნებისმიერ ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია წარმოადგინოს კონვენციის შესწორებები, ოქმის ნებისმიერ მხარეს შეუძლია წარმოადგინოს ამ ოქმის შესწორებები.

2. კონვენციის შესწორებები მიიღება მხარეთა კონფერენციის თათბირზე. ნებისმიერი ოქმის შესწორებები მიიღება შესაბამისი ოქმის მხარეთა თათბირზე. კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის ნებისმიერი შესწორების ტექსტს, თუ ამ ოქმში არ არის გათვალისწინებული სხვა რამ, სამდივნო უგზავნის განსახილველი დოკუმენტის მხარეებს თათბირამდე (რომელზეც უნდა მიიღონ ეს ტექსტი) არა უგვიანეს ექვსი თვისა. სამდივნო შესწორებების ტექსტს გასაცნობად უგზავნის აგრეთვე კონვენციის ხელმოძვერ მხარეებს.

3. მხარეები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ ერთსულღონად შეთანხმდნენ კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის ნებისმიერი შესწორების მიღების თაობაზე; თუ ერთსულღონების მიღწევის ყველა შესაძლებლობა ამოწურულია, შეთანხმებას კი მაინც ვერ მიადწიეს, უკანასკნელ საშუალებად რჩება შესწორების მიღება თათბირის დამსწრე და განსახილველი დოკუმენტის კენჭისყრის მონაწილე მხარეთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით. დეპოზიტარი ყველა მხარეს უგზავნის სარატიფიკაციოდ, მისაღებად და მოსაწონებლად.

4. დეპოზიტარი წერილობითი ფორმით იღებს შეტყობინებას შესწორებების რატიფიცირების, მიღების ან მოწონების შესახებ. შესწორებები, რომლებიც მიიღება წინა, მე-3 პუნტის შესაბამისად, ძალაში შედის იმ მხარეებისათვის, რომლებიც ეთანხმებიან, ოთხმოცდაერთე დღეს მას შემდეგ, რაც ჩაბარდა შესანახად დოკუმენტები რატიფიცირების, მიღების ან მოწონების თაობაზე.

ამის შემდეგ შესწორებები სხვა ნებისმიერი მხარისთვის ძალაში შედის ამ მხარის მიერ შესწორებების რატიფიცირების, მიღების ან მოწონების თაობაზე არსებული დოკუმენტის ჩაბარებიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

5. მუხლის მიზნების შესაბამისად, ფრაზა “თათბირის დამსწრე და კენჭისყრის მონაწილე მხარეები“ ნიშნავს მხარეებს, რომლებიც ესწრებიან და მონაწილეობენ კენჭისყრაში.

მუხლი 30.

დანართების მიღება და მათში შესწორებების შეტანა

1. ამ კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის დანართი კონვენციის ან ასეთი ოქმის განუყოფელი ნაწილია და, თუ პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სხვა რამ, კონვენციის ან მისი ოქმის დამოწმება ამავე დროს მისი ნებისმიერი დანართის დამოწმებაა. ასეთი დანართები საპროცედურო, სამეცნიერო, ტექნიკური ან ადმინისტრაციული საკითხებით შემოიფარგლება.

2. თუ კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის დანართის მიმართ რაიმე ოქმით არ არის გათვალისწინებული სხვა რამ, მაშინ გამოიყენება ამ კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის დამატებითი დანართების შეთავაზების, მიღების და ძალაში შესვლის შემდეგი პოცედურები:

a) კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის დანართის შეთავაზება და მიღება ხდება 29-ე მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად;

b) ნებისმიერი მხარე, რომელსაც არ შეუძლია მიიღოს ამ კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის, რომლის მხარეც იგი არის, მიმართ დამატებითი დანართები, დეპოზიტარს წერილობითი ფორმით ატყობინებს ამას ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც დეპოზიტარი აცნობებს დანართების მიღებას. დეპოზიტარი დაუყოვნებლივ აცნობებს ყველა მხარეს ნებისმიერი შეტყობინების მიღებას. ნებისმიერ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს ადრე გაგზავნილი საწინააღმდეგო აზრის მქონე განცხადება, რის შემდეგაც დანართი ძალაში შედის მოცემული მხარისათვის ქვემოთ მოყვანილი c) ქვეპუნქტის დებულებების შესაბამისად.

c) დანართის მიღების თაობაზე დეპოზიტარის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან 1 წლის შემდეგ დანართი ძალაში შედის კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის ყველა შესაბამისი მხარისათვის, რომლებმაც არ წარმოადგინეს შეტყობინება ზემოთ მოყვანილ b) ქვეპუნქტის დებულებების შესაბამისად.

3. კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის დანართის მიმართ შესწორებების

შეთავაზება, მიღება და ძალაში შესვლა რეგულირდება იმის ანალოგიური პროცედურით, რომელიც დადგენილია კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის დანართის შეთავაზების, მიღებისა და ძალაში შესვლისათვის.

4. თუ დამატებითი დანართი ან დანართის შესწორება დაკავშირებულია ამ კონვენციაში ან მის ნებისმიერ ოქმში შესწორების შეტანასთან, მაშინ ასეთი დამატებითი დანართი ან შესწორება ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძალაში შევა კონვენციის ან შესაბამისი ოქმის შესწორება.

მუხლი 31.

ხმის უფლება

1. კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის ყოველ ხელშემკვერელ მხარეს აქვს ერთი ხმა, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია მე-2 პუნქტში.

2. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანოები მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებში ახორციელებენ თავიანთ ხმის უფლებას, აქვთ რა ხმების ის რაოდენობა, რომელიც ტოლია მათი წევრი სახელმწიფოების რიცხვისა, რომლებიც წარმოადგენენ კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის ხელშემკვერელ მხარეებს. ასეთი ორგანიზაციები არ ახორციელებენ თავიანთ ხმის უფლებას, თუ მათი წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ თავიანთი ხმის უფლებას, და პირიქით.

მუხლი 32.

კავშირი ამ კონვენციასა და მის ოქმებს შორის

1. სახელმწიფოს ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალურ ორგანიზაციას შეუძლია რომელიმე ოქმის მხარე გახდეს, თუ იგი არის ან ხდება იმავდროულად კონვენციის მხარე.

2. ნებისმიერი ოქმის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების უფლება აქვთ მხოლოდ ამ ოქმის მხარეებს, ნებისმიერ ხელშემკვერელ მხარეს, რომელმაც არ მოახდინა ოქმის რატიფიკაცია, არ მიიღო ან არ მოიწონა იგი, შეუძლია მეთვალყურის სტატუსით მიიღოს მონაწილეობა ამ ოქმის მხარეთა ნებისმიერ თათბირში.

მუხლი 33.

ხელმოწერა

კონვენციაზე ხელის მოწერა შეუძლია ყველა სახელმწიფოს და ეკონომიკური ინტეგრაციის ნებისმიერ რეგიონალურ ორგანიზაციას

რიო-დე-ჟანეიროში 1992 წლის 5 ივნისიდან 1992 წლის 14 ივნისამდე, აგრეთვე გაეროს ცენტრალურ დაწესებულებებში, ნიუ-იორკში 1992 წლის 15 ივნისიდან 1993 წლის 4 ივლისამდე.

მუხლი 34.

რატიფიცირება, მიღება ან მოწონება

1. კონვენცია და ნებისმიერი ოქმი ექვემდებარება სახელმწიფოების და ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციების მიერ რატიფიცირებას, მიღებას ან მოწონებას. რატიფიცირების, მიღების ან მოწონების დოკუმენტები შესანახად ბარდება დეპოზიტარს.

2. ზემოდმოყვანილ პირველ პუნქტში მოხსენიებულ ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც კონვენციის ან ნებისმიერი ოქმის ხელშემკვრელი მხარე ხდება იმ დროს, როცა არც ერთი მისი წევრი სახელმწიფო არ არის ხელშემკვრელი მხარე, ეკისრება ყველა მოვალეობა, რომლებიც კონვენციიდან ან ოქმიდან გამომდინარეობს. იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ორგანიზაციის ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფო კონვენციის ან შესაბამისი ოქმის ხელშემკვრელი მხარეა, ეს ორგანიზაცია ან წევრი სახელმწიფოები ღებულობენ გადაწყვეტილებას კონვენციიდან ან ოქმიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების თაობაზე, ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციას და წევრ სახელმწიფოს არ შეუძლიათ ერთდროულად განახორციელონ კონვენციიდან ან ოქმიდან გამომდინარე უფლებები.

3. ზემოაღნიშნულ პირველ პუნქტში მოხსენიებული ორგანიზაციები რატიფიცირების, მიღების ან მოწონების შესახებ დოკუმენტებში აცხადებენ თავიანთი კომპეტენციის სფეროს კონვენციით ან შესაბამისი ოქმით მოსაგვარებელ საკითხებში. ეს ორგანიზაციები აგრეთვე აცნობენ დეპოზიტარს თავიანთი კომპეტენციის სფეროში ნებისმიერ ცვლილებას.

მუხლი 35.

შეერთება

1. კონვენცია ან ნებისმიერი ოქმი ღიაა სახელმწიფოების და ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციების შესაერთებლად იმ დღიდან, როცა კონვენცია ან შესაბამისი ოქმი იხურება ხელმოწერისათვის. შეერთების დოკუმენტები შესანახად ბარდება დეპოზიტარს.

2. ზემოდმოყვანილ პირველ პუნქტში მოხსენიებული ორგანიზაციები, შეერთების შესახებ თავიანთ დოკუმენტებში აცხადებენ თავიანთი კომპე-

ტენციის სფეროს იმ საკითხებში, რომლებსაც არეგულირებს კონვენცია ან შესაბამისი ოქმი. ეს ორგანიზაციები აცნობენ აგრეთვე დეპოზიტარს ნებისმიერ შესაბამის ცვლილებას თავიანთი კომპეტენციის სფეროში.

3. 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები გამოიყენება ეკონომიკური ინტეგრაციის იმ რეგიონალური ორგანიზაციებისათვის, რომლებიც შეუერთდებიან ამ კონვენციას ან მის ნებისმიერ ოქმს.

მუხლი 36.

ძალაში შესვლა

1. ეს კონვენცია ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ ოცდამეათე დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

2. ნებისმიერი ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ იმდენი დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან ოთხმოცდამეათე დღეს, რომლებიც აღნიშნულია ამ ოქმში.

3. თითოეული ხელშემკვრელი მხარისათვის, რომელიც ახდენს კონვენციის რატიფიცირებას, იღებს, იწონებს ან უერთდება მას რატიფიცირების, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ 30-ე დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შემდეგ, კონვენცია ძალაში შედის ხელშემკვრელ მხარეთა რატიფიცირების, მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ ასეთი დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

4. ნებისმიერი ოქმი, თუ იგი სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ხელშემკვრელი მხარისათვის, რომელიც ამ ოქმის რატიფიკაციას ახდენს, იღებს ან იწონებს, ან უერთდება მას ზემორე მე-2 პუნქტის თანახმად ძალაში შესვლის შემდეგ, ძალაში შედის ოთხმოცდამეათე დღეს იმ დღიდან, როცა ეს ხელშემკვრელი მხარე შესანახად ჩააბარებს თავის დოკუმენტს რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ, ან იმ დღეს, როცა კონვენცია ძალაში შედის ამ ხელშემკვრელი მხარისათვის, იმის მიხედვით, თუ რა უფრო გვიან მოხდება.

5. ზემოაღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტების მიზნებისათვის არც ერთი დოკუმენტი, რომელსაც ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაცია შესანახად ჩააბარებს, იმ დოკუმენტების დამატებითად არ განიხილება, რომლებიც ამ ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა ჩააბარეს შესანახად.

მუხლი 37.

დამატებითი შენიშვნები

კონვენციის მიმართ არანაირი დამატებითი შენიშვნა არ დაიშვება.

მუხლი 38.

გასვლა

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია კონვენციის ძალაში შესვლიდან ორი წლის შემდეგ ნებისმიერ დროს გავიდეს კონვენციიდან, რაც წერილობით უნდა შეატყობინოს დეპოზიტარს.

2. ნებისმიერი ასეთი გასვლა ძალაში შედის ერთი წლის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპოზიტარი მიიღებს შეტყობინებას ან უფრო მოგვიანებით, ვადაში, რომელიც აღნიშნული იქნება გასვლის შესახებ შეტყობინებაში.

3. ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც ამ კონვენციიდან გადის, გასულად ითვლება ყოველგვარი ოქმიდან, რომელთა მხარეც იგი არის.

მუხლი 39.

დაფინანსების დროებითი წესი

21-ე მუხლი დებულებების თანახმად, მისი სრული გარდაქმნის პირობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის გლობალური გარემოს ფონდი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი წარმოადგენენ 21-ე მუხლში გათვალისწინებულ ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც დროებით არსებობს კონვენციის ძალაში შესვლისა და მხარეთა კონფერენციის პირველ თათბირს შორის პერიოდის განმავლობაში, ან იმ დრომდე, სანამ მხარეთა კონფერენცია 21-ე მუხლის შესაბამისად არ განსაზღვრავს ასეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას.

მუხლი 40.

დროებითი დონისძიებანი სამდივნოს მიმართ

სამდივნო, რომლის შექმნასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამის დირექტორ-აღმასრულებელი უზრუნველყოფს, წარმოადგენს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამდივნოს, რომელიც დროებითს საფუძველზე არსებობს კონვენციის ძალაში შესვლისა და მხარეთა კონფერენციის თათბირს შორის პერიოდში.

მუხლი 41. დეპოზიტარი

კონვენციის და ნებისმიერი ოქმის დეპოზიტარის ფუნქციებს ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

მუხლი 42.

ავთენტური ტექსტები

კონვენციის დედანი, რომლის ტექსტები ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე თანაბრად ავთენტურია, შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

რის დასტურადაც ქვემოთ ხელისმომწერნი, სათანადოდ უფლება-მოსილნი, ხელს ვაწერთ კონვენციას.

დადებულია რიო-დე-ჟანეიროში ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი წლის ხუთ ივნისს.

დასართი I

განსაზღვრება და მონიტორინგი

1. ეკოსისტემები და ბინადრობის ადგილები: რომლებსაც ახასიათებთ დიდი მრავალფეროვნება, ენდემურ ან საფრთხეში მყოფ სახეობათა სიმრავლე, ან შეიცავენ ცოცხალ ველურ ბუნებას, აუცილებელია სამიგრაციო სახეობებისათვის; აქვთ სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო მნიშვნელობა, ან რეპრეზენტაციული თუ უნიკალური ხასიათი, ან დაკავშირებული არიან ძირითად ეკოლუციურ ან სხვა ბიოლოგიურ პროცესებთან;

2. სახეობები და თანასაზოგადოებები, რომლებიც საფრთხეშია და მოშინაურებული ან კულტივირებული სახეობების მონათესავე ველურ სახეობებს წარმოადგენენ; სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო ან სხვა ეკონომიკური ღირებულების მქონენი; სოციალური, სამეცნიერო ან კულტურული მნიშვნელობის მქონენი; ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების და თანაბარზომიერი გამოყენების კვლევის დარგში დიდი მნიშვნელობის მქონე, მაგალითად ინდიკატორი სახეობანი; და

3. სოციალური, სამეცნიერო ან ეკონომიკური მნიშვნელობის მქონენი, აღწერილი გეომეები და გენები.

დანართი II

ნაწილი 1

საარბიტრაჟო გარჩევის პროცედურა

მუხლი 1

მოსარჩელე მხარე ატყობინებს სამდივნოს, რომ მხარეები, 27-ე მუხლის შესაბამისად, დავას გადასცემენ საარბიტრაჟო გარჩევისათვის. შეტყობინება შეიცავს საარბიტრაჟო გარჩევის შინაარსს და ნაწილობრივ მოიცავს, კონვენციის ან ოქმების იმ მუხლებს, რომელთა განმარტებამ და გამოყენებამ გამოიწვია დავა. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ დავის საგანზე სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნაზე, მაშინ საგანს განსაზღვრავს საარბიტრაჟო სასამართლო. სამდივნო ამ სახით მიღებულ ინფორმაციას გადაუგზავნის კონვენციის ან შესაბამისი ოქმის ყველა დაინტერესებულ ხელშემკვრელ მხარეს.

მუხლი 2

1. ორი მხარის დავის დროს საარბიტრაჟო სასამართლოში სამი წევრი შედის. თითოეული მოდავე მხარე ნიშნავს თითო არბიტრს და ამრიგად არჩეული ორი არბიტრი შეთანხმებით ნიშნავს მესამე არბიტრს, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს. ამ უკანასკნელს უფლება არა აქვს იყოს მოდავე მხარეთა მოქალაქე, ჰქონდეს ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი ერთ-ერთში, მუშაობდეს მათთან ან რაიმე ფორმით დამოკიდებულება ჰქონდეს ამ საქმესთან.

2. ორზე მეტ მხარეს შორის დავის შემთხვევაში მხარეები, რომელთაც დავაში საერთო ინტერესები აქვთ, ერთმანეთთან შეთანხმებით ნიშნავენ სასამართლოს ერთ წევრს.

3. ნებისმიერი ვაკანსია შეივსება იმ პროცედურის შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია თავდაპირველი დანიშვნის მიხედვით.

მუხლი 3

1. თუ მეორე არბიტრის დანიშნიდან ორი თვის გასვლის შემდეგ არ დანიშნულა საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე, მაშინ მხარეების თხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ნიშნავს მას მომდევნო ორი თვის განმავლობაში.

2. თუ დავის ერთ-ერთი მხარე არ ნიშნავს არბიტრს თხოვნის მიღებიდან

ორი თვის განმავლობაში, მეორე მხარეს უფლება აქვს შეატყობინოს ეს გენერალურ მდივანს, რომელიც ნიშნავს მას მომდევნო ორი თვის განმავლობაში.

მუხლი 4

საარბიტრაჟო სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებები გამოაქვს კონვენციის დებულებების, ნებისმიერი შესაბამისი ოქმების და საერთაშორისო სასამართლოს ნორმების დებულებების თანახმად.

მუხლი 5

თუ მოდავე მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, მაშინ საარბიტრაჟო სასამართლო განსაზღვრავს პროცედურის საკუთარ წესებს.

მუხლი 6

ერთ-ერთი მხარის თხოვნით, საარბიტრაჟო სასამართლო შეუძლია ურჩიოს დაცვის აუცილებელი დროებითი ღონისძიებანი.

მუხლი 7

მოდავე მხარეები ხელს უწყობენ საარბიტრაჟო სასამართლოს მუშაობას და, კერძოდ, იყენებენ თავიანთ ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას:

a) წარუდგენენ საქმესთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს, ინფორმაციებს და მასალებს; და

b) საჭიროების კვალობაზე აძლევენ შესაძლებლობას გამოიძახოს მოწმეები ან ექსპერტები და გაეცნოს მათ ჩვენებებს.

მუხლი 8

მხარეები და არბიტრები მოვალენი არიან უზრუნველყონ საარბიტრაჟო სასამართლო გარჩევისას კონფიდენციალურად მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის საიდუმლოება.

მუხლი 9

თუ საარბიტრაჟო სასამართლო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას, საქმის კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, სასამართლო ხარჯები მოდავე მხარეებს შორის თანაბრად ნაწილდება. სასამართლო აღრიცხავს მთელ თავის დანახარჯებს და მხარეებს წარუდგენს ამ ხარჯების საბოლოო ანგარიშს.

მუხლი 10

ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, თუ დავაში აქვს სამართლებრივი ხასიათის ინტერესი, რომელსაც შეიძლება შეეხონ საქმის გამო გამოტანილი გადაწყვეტილებით, შეუძლია სასამართლოს თანხმობით მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში.

მუხლი 11

სასამართლოს შეუძლია მოისმინოს შემხვედრი სარჩელები, რომლებიც უშუალოდ დავის საგნიდან გამომდინარეობს, და მიიღოს გადაწყვეტილება.

მუხლი 12

საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებები საპროცედურო საკითხებზე და საქმის არსებითს საკითხებზე მისი წევრების ხმათა უმრავლესობით მიიღება.

მუხლი 13

თუ მოდავე მხარეთაგან ერთ-ერთი არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სასამართლოში ან არ შეუძლია გამოსვლა თავისი საქმის დასაცავად, მეორე მხარეს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს განაგრძოს მოსმენა და გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება. თუ ერთ-ერთი მხარე არ ესწრება ან არ შეუძლია თავისი საქმის დაცვა, ეს ვერ შეაფერხებს საქმის გარჩევას. საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე საარბიტრაჟო სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ სარჩელი ფაქტობრივად და იურიდიულად დასაბუთებულია.

მუხლი 14

სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვს თავისი საბოლოო დაფუძნებიდან 5 თვის შემდეგ, თუ საჭიროდ არ ჩათვლის ამ ვადის გაგრძელებას კიდევ ერთი პერიოდით – არა უმეტეს 5 თვისა.

მუხლი 15

საარბიტრაჟო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება შემოიფარგლება დავის საგნით და თან ახლავს იმ მოტივების ახსნა, რომლებიც საფუძვლად უდევს მას. იგი შეიცავს იმ წევრთა სახელებს, რომლებიც

მონაწილეობდნენ მის მიღებაში და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების თარიღს. სასამართლოს ნებისმიერ წევრს შეუძლია დაურთოს თავისი განსაკუთრებული აზრი ან აზრი, რომელიც განსხვავდება საბოლოო გადაწყვეტილებისაგან.

მუხლი 16

დადგენილება სავალდებულოა მოდავე მხარეთათვის. იგი არ ექვემდებარება გასაჩივრებას, თუ მოდავე მხარეები წინასწარ არ შეთანხმებულან გასაჩივრების პროცედურაზე.

მუხლი 17

ნებისმიერი უთანხმოებანი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მოდავე მხარეებს შორის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების განმარტებისას ან შესრულებისას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია გადასცეს განსახილველად იმ საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა ეს გადაწყვეტილება.

ნაწილი 2

შეთანხმების პროცედურა

მუხლი 1

შეთანხმებელი კომისია იქმნება ერთ-ერთი მოდავე მხარის თხოვნით. თუ მხარეები სხვანაირად არ შეთანხმებულან, ამ კომისიაში შედის 5 წევრი, რომელთაგან ორს ყოველი დაინტერესებული მხარე ნიშნავს, ხოლო თავმჯდომარეს ერთობლივად ირჩევენ წევრები.

მუხლი 2

დავაში, რომელშიც ორზე მეტი მხარე მონაწილეობს, საერთო ინტერესების მქონე მხარეები ერთმანეთთან შეთანხმებით ნიშნავენ კომისიაში თავიანთ წევრებს. თუ არის სხვადასხვა ინტერესების მქონე ორი ან მეტი მხარე, ან ვერ შეთანხმდნენ საერთო ინტერესების თაობაზე, ისინი წევრებს ცალ-ცალკე ნიშნავენ.

მუხლი 3

თუ მხარეებისთვის განსაზღვრული რომელიმე დანიშვნა არ ხდება შეთანხმებელი კომისიის შექმნის შესახებ მოთხოვნის წამოყენების თა-

რილიდან ორი თვის განმავლობაში, მაშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, თხოვნის წარმდგენი მხარის შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში, თვითონ ნიშნავს კომისიის წევრებს მომდევნო ორი თვის განმავლობაში.

მუხლი 4

თუ შემთანხმებული კომისიის თავმჯდომარე არ აურჩევიათ კომისიის ბოლო წევრების დანიშვნის შემდეგ ორი თვის განმავლობაში, მაშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, ერთ-ერთი მხარის შესაბამისი მიმართვის საფუძველზე ნიშნავს თავმჯდომარეს მომდევნო ორი თვის განმავლობაში.

მუხლი 5

შემთანხმებული კომისია გადაწყვეტილებებს იღებს თავის წევრთა ხმების უმრავლესობით. თუ მოდგვე მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, მაშინ იგი ადგენს თავის საკუთარ პრცედურას და შეაქვს დავის გადასაწყვეტად წინადადება, რომელსაც მხარეები განიხილავენ.

მუხლი 6

შემთანხმებული კომისიის კომპეტენციის გამო უთანხმოების შემთხვევაში საკითხს ეს კომისია წყვეტს.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

345 ვარდიკო ნადიბაიძის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ვარდიკო ნადიბაიძე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პანტაინო გომუაძე.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

346 ალექსანდრე კავსაძის საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ალექსანდრე კავსაძე საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტაიზ ნიკულოშვილი.

თბილისი, 1994 წლის 26 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

347 ლევან ჯაფარიძის საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ლევან ჯაფარიძე საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტაიზ ნიკულოშვილი.

თბილისი, 1994 წლის 26 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

348 თამაზ კვაჭანტირაძის საქართველოს რესპუბლიკის
განათლების მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს თამაზ კვაჭანტირაძე საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტაანო რჩაულოშვილი.

თბილისი, 1994 წლის 26 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

349 ჯამლეთ ბაბილაშვილის საქართველოს რესპუბლიკის
გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ჯამლეთ ბაბილაშვილი საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

პანტაანო რჩაულოშვილი.

თბილისი, 1994 წლის 26 აპრილი.